ლინ პასკო: "ჩვენ უკვე დავიწყეთ საუბრები მომავალზე" A3

"თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 14 იანვარი, 2004 წელი. №10 (559)

ფასი 50 თეთრი

ნადარეიშვილმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა

გუშინ, გვიან ღამით, თანამდებობიდან გადადგა აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი. ამ გადაწყვეტილებამდე, დახურულ კარს მიღმა, დაახლოებით ოთხი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა დებატები. სხდომას უზენაესი საბჭოს 40 დეპუტატი ესწრებოდა. თავმჯდომარის გადაყენებას 16 ხმა სჭირდებოდა და გაირკვა, რომ ამ რაოდენობის ხმები კენჭისყრაზე უპრობლემოდ შეიკრიბებოდა. ამიტომ, ნადარეიშვილმა მოვლენებს დაასწრო და, დაპირისპირების თავიდან აცილების მოტივით, თავად გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ.

ჟურნალისტებთან საუბრისას, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ან უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამსახურში სიარულს ის გააგრძელებს და მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრამდე მოვალეობას შეასრულებს.

24 საათი

ეკონომიკა

გზა ევროპისაკენ

ევროკავშირი საქართველოს დასახმარებლად უახლოეს სამ წელიწადში 28 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს. ამის თაობაზე გუშინ ოფიციალურად განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა საქართველოში ტორნბენ ჰოლცემ.

A4

უცხოეთი

ამერიკის სამიტის მოსალოდნელი შედეგები

მექსიკის ქალაქ მონტერეიში ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მეთაურთა სამიტი გაიხსნა. ოცდათოთხმეტი სახელმწიფოს ლიდერმა, მათ შორის აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, დასავლეთ ნახევარსფეროს წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი პრობლემები უნდა განიხილონ.

A5

საზოგადოება

ავლაბრელებს „ტუზი დაეცათ"

"ეს რა ტუზი დაგვეცა, ტო, ავლაბარი ყველაზე პრესტიჟული უბანი გახდება, სინათლეც გვექნება, წყალიც, ქუჩებსაც გაგვიკეთებენ," – ამბობდნენ გახარებული ავლაბრელები.

A6

სამართალი

„უკანონოდ მოპოვებული ქონება მუზეუმის საკუთრებაში გადავა"

A7

ამინდი

თბილისი	12
ქუთაისი	13
ბათუმი	14
სოხუმი	12
ფოთი	13
თელავი	11
ზუგდიდი	13
გორი	9
ახმეტა	10
ჭიათურა	11
გაგრა	9
სამტრედია	13

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1300
ევრო	2.7130
გირვანქა სტერლ.	3.9281
რუბლი	0.0737

აღიარება

კვლავ მტკიცებულებათა დედოფალია, წამება - მთავარი იარაღი

თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებულები ძალოვანებს წამებაში ადანაშაულებენ

ინგა ალავიძე

„ხავერდოვანი რევოლუციის" სკანდალური გაგრძელება ქართულ სამართალწარმოებაში დაწყებული გადატრიალება, პროკურატურასა და შსს-ში აღძრული რეზონანსული საქმეების ხმაურიანი გახსნითა და სადამსჯელო ღონისძიებებით კვლავ მიმდინარეობს. ბოლო წარმატებული საქმე, რომელიც "ხავერდოვანი რევოლუციის" ტალღაგადავლილმა ძალოვანებმა ჩაატარეს, "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის მძევლობიდან გათავისუფლების სპეცოპერაცია იყო.

"ეს ჯერ ჟურნალია, კინო მერე ნახეთ," – არაერთხელ განაცხადა პოლიციის ბოლოდროინდელი მუშაობით კმაყოფილმა შს მინისტრმა, რომლის უწყებამაც რამდენიმე დღის წინ თამაზ მაღლაკელიძის გათავისუფლებისას ისეთი სპეცოპერაცია ჩაატარა, რომ შს მინისტრს ვესტერნის ჟანრის ფილმში ეგონა თავი.

გაგრძელება A7 გვერდზე

გია ვაშაკიძე და სხვა ბრალდებულები სამართალდამცველებს მტკიცებულებათა უკანონოდ მოპოვებაში ადანაშაულებენ.

გიორგი ბაბაჯანი. ფოტო

პროფესიული ქვედანაყოფები აშშ-მ სრულ კმაყოფაზე აიყვანა

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისთვის"

ფინანსური კრიზისის საფრთხის წინაშე მყოფ საქართველოს ახალ ხელისუფლებას სოციალურ ნიადაგზე სამხედროების მღელვარება აღარ ემუქრება. შეერთებული შტატები, 3 მილიონი დოლარის ფარგლებში, ექვსი თვით დააფინანსებს "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული პროფესიული ქართული ქვედანაყოფების შრომის ანაზღაურებას, ხოლო თურქეთმა დიდი რაოდენობით სურსათი გამოაგზავნა ქართველი ჯარისკაცების ღარიბული რაციონის შესავსებად.

ოფიციალური ვიზიტით საქართველოში მყოფმა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ლინ პასკომ და საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ სამშაბათს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც ამერიკის მხარე საქართველოს, უნაცვალგებო დახმარების სახით, 10 მილიონ დოლარს გამოუყოფს. ამ თანხიდან 3 მილიონი დოლარი "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილე ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ხელფასების დაფარვას მოხმარდება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ჯარისკაცების შრომის ანაზღაურება, პირველადი შეთანხმების თანახმად, დამქირავებელ მხარეს, საქართველოს მთავრობას უნდა განეხორციელებინა, 2003 წლის ბოლოს ქვეყნაში განვითარებული ფინანსური კრიზისის გამო ქვეყნის ახალი ხელისუფლება ვეღარ ახერხებდა სახელმწიფო სტრუქტურებისა და არმიის დაფინანსებას. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილი 3 მილიონი დოლარი კი, რომელიც საქართველოში თვის ბოლოს ჩამოირიცხება, საკმარისია იმისათვის, რომ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში ჩაბმული 1200 ჯარისკაცის ხელფასის პრობლემა, სულ მცირე, 6 თვით გადაიჭრას.

"ქართველი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ხელფასის ანაზღაურება არ იყო ჩვენი ვალდებულება, მაგრამ ამ ნაბიჯით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცოტა ხნით მაინც დაიზოგება საბიუჯეტო თანხა, რომელსაც საქართველოს მთავრობა სხვა პროგრამების დაფინანსებას მოახმარს," - განაცხადა შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ მაილსმა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

პარალელურად, ორშაბათს ფოთის პორტში ღუზა ჩაუშვა ამერიკულმა გემმა "სან ლორენცომ", რომელმაც საქართველოს არმიისთვის 70-მდე ერთეული საავტომობილო ტექნიკა ჩამოიტანა. საქართველოს შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ თემურ ლორიას თქმით, საავტომობილო ტექნიკა ზურგის დანიშნულებისაა და იგი მე-11 ბრიგადის იმ ლოგისტიკური ბატალიონისთვისაა განკუთვნილი, რომელსაც ამერიკელი ინსტრუქტორები 2 თებერვლიდან გაწვრთნიან.

გაგრძელება A3 გვერდზე

დღევანდელი მოდერნი, ხვალ შეიძლება კლასიკად იქცეს

ილიკო სუხიშვილი

ბესო გელსვანელი. ფოტო

ქახელი სტუდენტები აჭარის ლიდერს ემუქრებიან

ზვიად რუაძე
ქახეთიდან

ნოემბრის რევოლუციის შემდეგ კახელებმა დიქტატურის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გაილაშქრეს. ამჯერად მათი სამიზნე აჭარის ლომი ხდება. კახელი ახალგაზრდები ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები თანატოლების უფლებების დასაცავად არაერთი ღონისძიების გატარებას გეგმავენ. მანამდე კი თელაველი სტუდენტები ასლან აბაშიძის წინააღმდეგ გამოდიან. ისინი აჭარის მეთაურისგან საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას და უკანონოდ დაკავებული "კმარას" აქტივისტების გათავისუფლებას მოითხოვენ.

"იმ შემთხვევაში, თუ ასლან აბაშიძე არ გაათავისუფლებს უკანონოდ დაკავებულ "კმარელებს" და არ გააუქმებს საგანგებო მდგომარეობის შესახებ გაცემულ ბრძანებას, შევარდნაძის და მეზვრიშვილის ბედი ეწევა. კახელი სტუდენტები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ აჭარელი ძმების უფლებებს," - ამბობენ თელაველი სტუდენტები.

ასეთმა საპროტესტო განცხადებამ, როგორც ჩანს, ასლან აბაშიძე და მისი ერთგული ჯარისკაცები ძალზე გააღიზიანა, რის გამოც აბაშიძის შიკრიკებმა კახელ სტუდენტებს გაუზრდელები უწოდეს და დაემუქრნენ კიდეც. დაპირისპირების თავიდათავი წარმოთქმული სიტყვები - "სისხლის უკანასკნელ წვეთამდე" - აღმოჩნდა. **"ფრაზები, რომელიც მე წარმოვთქვი, აჭარელმა ქალბატონებმა პირდაპირი გაგებით აღიქვეს. აბა, წარმოიდგინონ მათ თავიანთი თავი იმ მშობლების ადგილას, რომლის შვილებიც არაფრის გამო დააკავეს,"** - ამბობს განცხადების ავტორი, თელავის უნივერსიტეტის სტუდენტი გელა ბაცანაძე. აჭარაში მიმდინარე მოვლენებს გუშინ უკვე კახელი "კმარელებიც" გამოეხმაურნენ. ისინი ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერს გაფრთხილებას აძლევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ რეგიონის სტუდენტობა აბაშიძის რეჟიმის დასამხობად აჭარისკენ დაიძრება. **"ჩვენ შევალთ მშვიდად და, შევარდნაძის მსგავსად გადავაგდებთ ასლან ბაბუს თავის რეზიდენციიდან,"** - იმუქრებიან კახელი "კმარელები".

დენის იმპორტი – ერთადერთი გზა კრიზისის დასაძლევად

მაია ურუშაძე

გუშინ საქართველოს ენერგოსექტორის მენეჯერი უცხოური კომპანიების წარმომადგენლები სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიას შეხვდნენ და საკმაოდ მკაცრი კრიტიკაც დაიმსახურეს. სახელმწიფო მინისტრმა მათ, კრიზისის მიზეზების ერთმანეთისთვის გადაბრალების ნაცვლად, მოსახლეობის ელექტრომომარაგების პრობლემების გადაწყვეტა მოსთხოვა. გუშინვე, სახელმწიფო მინისტრთან შეიქმნა "ენერგეტიკის სფეროში ფინანსური კრიზისის დაძლევისა და მართვის საბჭო, რომელსაც კრიზისის გამომწვევი მიზეზების ანალიზი და მისი აღმოფხვრა დაევალება.

თუ ენერგეტიკული ობიექტების დაცვა არ გაძლიერდა, თუ ელექტროენერგიის დამატებითი წყაროები არ გამოიძებნა, თუ ელექტროენერგიის განაწილება სამართლიანად არ მოხდა, საქართველოს ენერგოსექტორში მომუშავე უცხოელი

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B1 სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

დენის იმპორტი - ერთადერთი გზა კრიზისის დასაძლევად

პირველი გვერდიდან

მენეჯერები მოსახლეობის ელექტრომომარაგებას და დაწესებული გრაფიკების დაცვას ვერ შეძლებენ – ასეთი მკაცრი რეალობის წინაშე დააყენეს გუშინ უცხოელმა მენეჯერებმა სახელმწიფო მინისტრი. ენერგოსექტორის უცხოელი მენეჯერების უცვლელი მოთხოვნის შესრულებას – შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯებით ენერგოობიექტების დაცვის გაძლიერებას – მინისტრი გიორგი ბარამიძე დღეს შეუძლებლად მიიჩნევს. ზურაბ ჟვანია კი კატეგორიულია: მისი თქმით, "გაერთიანებულმა სადისტრიბუციო კომპანიამ", გაუთავებელი ზოგადი წუწუნის ნაცვლად, ობიექტებზე შეჭრისა და თავდასხმის ყველა ფაქტი სამართალდამცველებს უნდა შეატყობინოს. მით უმეტეს, რომ მსგავსი ფაქტების ორგანიზატორთა გამოვლენა და დასჯა რთული არ იქნება: როგორც წესი, დღევანდელ ქართულ სინამდვილეში "სახელმწიფო ელექტროსისტემისა" თუ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქვესადგურებზე შეჭრა დეკლარირებულად ხდება.

გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრი მოითხოვს, რომ "გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" ქვეყნის მოსახლეობის ელექტრომომარაგების გაუმჯობესებაზე იზრუნოს. მით უმეტეს, რომ ენერგოსექტორში არსებული რეალობა სახარბიელო არ არის. ენგურჰესზე წყლის მარაგი თითქმის ამოწურულია, რის გამოც მალე სადგურზე ელექტრომომარაგების შეზღუდვა გახდება საჭირო.

ამ პირობებში, სახელმწიფო მინისტრი კრიზისის დაძლევის ერთადერთ გზას იმპორტის მოცულობის მატებაში ხედავს. შედეგად, მალე "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" რუსეთიდან იმპორტის გაზრდა მოუწევს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, 21 იანვრიდან რუსეთიდან საქართველოს რეგიონებისთვის განკუთვნილი 100 მეგავატი სიმძლავრის დენი შემოვა.

რაც შეეხება თბილისის ელექტრომომარაგებას, "თელასის" გენერალური დირექტორის დანგირას მიკოლაიუნასის განცხადებით, დენს მხოლოდ ის ორგანიზაციები მიიღებენ, რომლებიც მის საფასურს გადაიხდიან. დღევანდელი მდგომარეობით, თბილისში, დაახლოებით, 500-მდე საბიუჯეტო ორგანიზაციას "თელასის" საკმაოდ სოლიდური ვალი აქვს. მათი დავალიანების დასაფარად თანხების მოძიებას კი ამჟამად ფინანსთა სამინისტრო ცდილობს.

საგადასახადოს ახალმა უფროსმა მაღაზიებს ჩამოუარა

მაია მოსიაშვილი

რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსად "ნაციონალი" იოსებ მაზმიშვილი ორი დღის წინ წარადგინეს. თავისი პირველი სამუშაო დღე ახალმა ხელმძღვანელმა რუსთავის იმ სავაჭრო ობიექტების შემოვლით დაიწყო, რომლებიც, მისი ვარაუდით, ბიუჯეტს გადასახადებს უმალავენ.

კანონით, თუ ობიექტის წლიური საქონელბრუნვა 100 ათას ლარს აღემატება, მან დამატებითი ღირებულების გადასახადი უნდა გადაიხადოს. მაზმიშვილი დარწმუნებულია, რომ საკმაოდ მსხვილი მაღაზიები, დღგ-სგან გათავისუფლების მიზნით, თავიანთი საქონელბრუნვის რეალურ ციფრებს მალავენ.

"თქვენ ნაჩვენები გაქვთ დღეში 174 ლარის საქონელბრუნვა. ჩემი აზრით, ეს არის კანონის და წესრიგის უგულებელყოფა, რადგან თქვენ დღეში ათჯერ მეტს ვაჭრობთ. მე გთხოვთ, რომ ამის შემდეგ მაინც დავიწყოთ მუშაობა რეალურ რეჟიმში, რეალური ფასებითა და დაბეგვრით," - ასე მიმართავდა საგადასახადოს ახალი უფროსი მაღაზიების მეპატრონეებს, რომელთაც არ დაუმალავთ, რომ ისინი ნამდვილ ციფრებს მართლაც არ აფიქსირებენ. **"იყოს რეალური საგადასახადო კოდექსი და ციფრებიც რეალური იქნება,"** - აცხადებენ ისინი.

პრობლემა, რომლის მოგვარებაც საგადასახადოს ახალმა შეფმა გადაწყვიტა, არც ახალია და არც მხოლოდ რუსთავისთვისაა დამახასიათებელი. საქართველოში ალბათ ბევრია, მაგალითად, "რუსთავი 2000"-ის მსგავსი მაღაზიები, სადაც ყოველდღიურად 2000 ლარის საქონელს ვაჭრობენ, თუმცა ოფიციალურად თვეში 500 ლარს აფიქსირებენ. როგორც იოსებ მაზმიშვილი აცხადებს, სიტუაციის გამოსასწორებლად კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა იქნება მიღებული. ასევე აუცილებლად დაისჯებიან ის ინსპექტორები, რომლებიც გადასახადების დამალვას ხელს უწყობდნენ თავიანთი უნიათობისა და თუ სხვა ინტერესების გამო.

"ასეთი ღონისძიებების გატარება აუცილებელია, რადგან ეს ხელს შეუწყობს კონტრაბანდის განდევნას და საგადასახადო სამსახურების კეთილსინდისიერ მუშაობას. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ძველებურად საქმიანობის გაგრძელება და კანონის უგულებელყოფა დაუშვებელია. ასეთია დღევანდელი ხელისუფლების ნება," - განუცხადა "24 საათს" საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსმა.

დედოფლისწყაროს გამგეობაში საკადრო წმენდა დაიწყო

ზვიად რუაძე
კახეთიდან

ახალი ხელისუფლების მიერ დაწყებულმა საკადრო წმენდამ კახეთის რეგიონში განსხვავებული ხასიათი მიიღო. დედოფლისწყაროში გამგებლის მოადგილეების შეცვლის შემდეგ, ჯერ კულტურის განყოფილებაზე მიდგა. თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზად რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე, "ნაციონალი" იოსებ ხაჩიშვილი უწყების ხელმძღვანელის ნელი გობეჯიშვილის კორუმპირებულობას ასახელებს. ხაჩიშვილის განცხადებით, გობეჯიშვილმა საახალწლო ღონისძიებისთვის გამგეობის მიერ გამოყოფილი სამი ათასი ლარი არამიზნობრივად გახარჯა. "იმაში, რომ ქალბატონი ნელი არამიზნობრივად ხარჯავდა ფულს, ეჭვი ახალი წლის საღამოსვე შეგვეპარა, რადგან ღონისძიებას თანხის დახარჯვისა არაფერი ეტყობოდა," - ამბობს ხაჩიშვილი. "ნაციონალის" ეჭვები მას შემდეგ უფრო გამართლდა, როცა წინ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია დაუდეს. **"ამჯერად გობეჯიშვილის მიმართ უკვე სხვა საქმეებსაც ვიკვლევთ. როგორც ირკვევა, რაიონის ძველ ხელმძღვანელობას მისთვის, თავის დროზე, საშენი მასალებისთვის თანხები გამოუწერია, მაგრამ მასალა არსად ჩანს, ფული კი დახარჯულია,"** - ამბობს გამგებლის მოადგილე.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სულ მალე "ნაციონალების" რისხვა უკვე საგადასახადო სამსახურის უფროსს დაატყდება. ხაჩიშვილის თქმით, ამ უწყებაში სისტემა თავდაყირა დგას. რაიონის ბიუჯეტისთვის კუთვნილი თანხები კი არსად ჩანს დაფიქსირებული.

ნინო ბურჯანაძე ბრიუს ჯექსონს შეხვდა

13 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე გარდამავალი დემოკრატიების პროექტის პრეზიდენტს ბრიუს ჯექსონს შეხვდა, რომელიც ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისათვის აუცილებელი პროცესების მომზადებაში ეხმარება საქართველოს. შეხვედრაზე ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას საამისოდ. ბრიუს ჯექსონი უკვე რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს და ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები შეასრულა კიდეც. ამჟამად მზადდება წინადადებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს მიზნის მიღწევაში დაეხმარება.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური

თავდასხმა თავდასხმის პასუხად

აფხაზეთის ახალგაზრდული ორგანიზაციები კატეგორიულად მოითხოვდნენ ნადარეიშვილის გადადგომას.

გიორგი ასანიშვილი

აფხაზეთის ახალგაზრდული, არასამთავრობო და პოლიტიკური ორგანიზაციები განაგრძობენ თამაზ ნადარეიშვილთან დაპირისპირებას. მისი გადაყენების ლოზუნგით გამართულმა ღონისძიებებმა უკვე პერმანენტული ხასიათი მიიღო. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ოპონენტები დაჟინებით ითხოვენ, რომ დევნილებს თავისი პოლიტიკური ნების გამოხატვისა და ახალი ლიდერის არჩევის შესაძლებლობა მიეცეთ.

გუშინ სახალხო დამცველის ოფისში საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს აფხაზეთის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა სათათბიროს წევრებმა. ისინი მიიჩნევენ, რომ მიზანთან ახლოს არიან და ნადარეიშვილს უკვე "წყალი აქვს შემდგარი". სათათბიროს წარმომადგენლის კობა ჩოფლიანის მტკიცებით, აფხაზეთის რიგი სახელმწიფო სტრუქტურები და აფხაზეთის დეპუტაციის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადადგომის მოთხოვნას.

ნადარეიშვილის ოპოზიციას სურს, აფხაზეთის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მამუკა მაისურაძის ოჯახზე 8 იანვარს განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის ფაქტიც ოპონენტის წინააღმდეგ გამოიყენონ.

სათათბიროს წევრთა განცხადებით, ნადარეიშვილის დაქვემდებარებაში მყოფი აფხაზეთის სპეციალური სამსახურის უფროსი ნუკრი დარასელია სიტყვიერად შეურაცხყოფდა, აშანტაჟებდა მამუკა მაისურაძეს და მოითხოვდა, დაუყოვნებლივ გადამდგარიყო თანამდებობიდან, რადგან მან მხარი დაუჭირა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინააღმდეგ მიმდინარე აქციას.

როგორც პრესკონფერენციის ორგანიზატორები აღნიშნავენ, მაისურაძის მიმართ აგრესია ამით არ ამოწურულა: 8 იანვრის ღამეს შეიარაღებული პირები შევარდნენ აფხაზეთის ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბინაში, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლეს და რადგან მამუკა მაისურაძე სახლში არ იმყოფებოდა, დედამისს დაუწყეს მუქარა.

აფხაზეთის ახალგაზრდული ორგანიზაციების სათათბირო მომხდარს აფასებს, როგორც ტერორისტულ აქტს და საგანგებო მიმართვას უგზავნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს, შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი ბარამიძეს, სახალხო დამცველს თემურ ლომსაძეს და სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის უფროსს გოგი ალექსიძეს.

"ამ ფაქტს ვაფასებთ, როგორც პირდაპირ ტერორს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მიმართ და მიგვაჩნია, რომ გასროლა მოხდა არა მხოლოდ მამუკა მაისურაძის, არამედ მთელი აფხაზეთის ახალგაზრდობისა და იმ ადამიანების მისამართით, ვინც ნადარეიშვილის გადადგომას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციის ხელახალ არჩევას ითხოვს," - ნათქვამია მიმართვაში.

აფხაზეთის ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე თეა უგულავა ირწმუნება, რომ მამუკა მაისურაძეზე ზენოლა დღემდე გრძელდება. **"ვინაიდან თანამდებობიდან მაისურაძის გადაყენების იურიდიული საფუძველი ვერ მონახა, ნადარეიშვილმა გადაწყვიტა, ახალგაზრდობის დეპარტამენტი სპორტის დეპარტამენტთან გააერთიანოს და ასეთი სტრუქტურული რეორგანიზაციის გზით ჩამოიშოროს გზიდან მამუკა მაისურაძე,"** - აცხადებს თეა უგულავა.

ნადარეიშვილის მხარდამჭერთა მიტინგი

ირაკლი ლეონიძისა და ფოტო

დღისით ნადარეიშვილი კონტრშეტევაზე გადავიდა, საღამოს კი გადადგა.

ზაზა ფაჩიკაშვილი

"იმელის" შენობის წინ თამაზ ნადარეიშვილის მხარდამჭერთა მიტინგი გაიმართა, რომელზეც მხურვალე სიტყვას დაუზარელი ტაში მოჰყვებოდა. მიტინგი ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ნადარეიშვილის ოპონენტები მიწასთან გაესწორებინათ და მათთვის ბრალი დაედოთ სამშობლოს ღალატში.

ბრალდებები, ძირითადად, აფხაზეთის "მარადმწვანე" დეპუტაციის მისამართით ისმოდა, რომლის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ნადარეიშვილის გადადგომის მოთხოვნას. ვინ იყო ის, ვინც აფხაზეთში ქართველი მოსახლეობიდან სანადირო თოფებიც კი ამოიღო, - კითხულობდა გამომსვლელი და, გივი ლომინაძეო - პასუხობდა მსმენელი. გამოსვლებს შორის იყო გამამხნევებელი შეძახილები. ბოლოს მიტინგზე თამაზ ნადარეიშვილიც გამოვიდა, რომელმაც თავის მხარდამჭერ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და ახალი წელიც მოულოცა. ნადარეიშვილის აზრით, მისი მოწინააღმდეგეების პრეტენზიები და ლოზუნგები საეჭვოდ ემთხვევა იმ ულტიმატუმის მოთხოვნებს, რომელიც სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გაერო-ს წარმომადგენლის ხელით გამოუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას.

"ამიტომ ჩვენ პოზიციების დათმობა არ შეგვიძლია, რადგანაც აფხაზეთი პირადად ჩემთვის არ არის მხოლოდ პოლიტიკა, არ არის მხოლოდ სამსახური. აფხაზეთი ჩემი ცხოვრების მიზანია და მე გაძლევთ სიტყვას, ბოლომდე ვიბრძოლებ იმისათვის, რომ აფხაზეთში, მდინარე ფსოუზე ქართული დროშა აფრიალდეს. ასევე დიდი იმედი მაქვს ჩვენი ხელისუფლების მხარდაჭერისა, პირადად ბატონ მიხეილ სააკაშვილის, რომელიც თავისი ეროვნული შემართებით, პატრიოტიზმით სწორ გზას ადგას," – ასეთი პათეტიკური რიტორიკით დაასრულა გამოსვლა ნადარეიშვილმა.

პატიმრებმა საპროტესტო აქცია შეწყვიტეს

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კატეგორიულ განცხადებას "კანონიერი ქურდებისთვის" კბილებში მუშტის მოხვედრის შესახებ და პრეზიდენტის მიერვე გაცემულ ბრძანებას, რომ ციხეში ბუნტის ჩასაქრობად ძალისმიერი მეთოდები იყოს გამოყენებული, შედეგი მოჰყვა.

ე.წ. "კანონიერი ქურდის" ზაზა ამბროლაძის მხარდასაჭერად ციხეში დაწყებული ბუნტი შეწყდა. თბილისის №5, ზუგდიდისა და ქუთაისის საპყრობილეებში გუშინწინ, დილით დაწყებული აქცია საღამოსვე დასრულდა. პატიმრები სასამართლო პროცესებზე გავიდნენ და საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობას კვლავინდებურად აგრძელებენ.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ პატიმრებთან ჩატარებული განმარტებითი საუბრებისა და მოსალოდნელი შედეგების განმარტების შემდეგ აქცია შეწყდა. "პატიმართა საპროტესტო აქციის შეწყვეტის შემდეგ საპყრობილეებში სრული წესრიგია, დაცვა გაძლიერებულია და საპყრობილის თანამშრომლები ნებისმიერი ექსცესის ჩასახშობად მზად არიან," - განაცხადა თბილისის №5 საპყრობილეში ვიზიტის შემდეგ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ გია გეწაძემ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გუშინ, გამთენიისას, ავჭალის კოლონიაში მომხდარი კიდევ ერთი ინციდენტი აღკვეთეს. საუბარია, ავჭალის №6 მკაცრი რეჟიმის კოლონიაში პატიმრის გაქცევის მცდელობის აღკვეთაზე. 28 წლის პატიმარი გელა კუტუბიძე კოლონიის თანამშრომლებმა მაშინ დაიკავეს, როდესაც ის აკრძალულ ზოლში გადასვლას ცდილობდა.

გელა კუტუბიძეს 6 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. გაქცევის მცდელობისათვის მას სასჯელი სამი წლით დაუმძიმდება. **24 საათი**

აბაშაში ავღანელთა კავშირის თავმჯდომარე მოკლეს

ავღანელთა კავშირის აბაშის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, 44 წლის გივი ჯანჯღავა წუხელ, აბაშის რაიონის სოფელ კონდოფოში, საკუთარ ეზოში, ავტომატიდან გასროლით მოკლეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის თემურ მურღულიას განცხადებით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ერთ-ერთი პირი უკვე დაკავებულია. მას იარაღი, რომლითაც გასროლა მოხდა, დაკავებისას ჩამოართვეს. თემურ მურღულია დაკავებულის ვინაობას ჯერჯერობით არ ასახელებს.

წინასწარი ინფორმაციით, გივი ჯანჯღავას სახლს ოთხი ნიღბიანი კრიმინალი დაესხა თავს და ეზოდან ჯანჯღავას კუთვნილი მიკროავტობუსის გატაცებას შეეცადა. ჯანჯღავა მას შემდეგ მოკლეს, რაც მან თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი ამოიცნო. ოჯახის უფროსის მკვლელობის შემდეგ თავდამსხმელებმა მისი მეუღლე და შვილი იარაღის კონდახით სცემეს. **მედია-ნიუსი**

თურქული გემი, ჭერჭერობით, ჭარიმას არ იხდის

რამდენიმე კვირის წინ ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავებული თურქული თევზსაჭერი სეინერის "აბალ ბალიკ ჩილიკის" მფლობელებს 300 ათასი ლარის ჯარიმის გადახდის ვადა ორ დღეში ეწურებათ. ოფიციალური შეტყობინება იმის შესახებ, აპირებს თუ არა ამ თანხის გადახდას თურქული მხარე, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში ჯერ არ მიუღიათ. ამჟამად ფოთში იმყოფება ეკიპაჟის 16 წევრიც.

შეგახსენებთ, რომ გემის მეპატრონეებს უფლება აქვთ, ჯარიმის გადახდის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ ფოთის საქალაქო, შემდეგ კი ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრონ. თუ ორივე სასამართლო ჯარიმის გადახდის შესახებ ადმინისტრაციულ ოქმს ძალაში დატოვებს, მაშინ სეინერი აუქციონზე უნდა გაიყიდოს.

თურქული სეინერი სოხუმიდან 20-25 მილის დაშორებით 4 იანვარს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შეჭრის, უკანონო თევზჭერისა და სანაოსნო წესების დარღვევის გამო დაიკავეს. იგი 46 ტონა თევზით იყო დატვირთული.

აღსანიშნავია, რომ "აბალ ბალიკ ჩილიკი" ანალოგიური დარღვევების გამო ქართველმა მესაზღვრეებმა ორი წლის წინათაც დაიკავეს, თუმცა მაშინდელი კანონმდებლობა მხოლოდ 24 ლარით დაჯარიმებას ითვალისწინებდა. **მედია-ნიუსი**

ჰუმანიტარული ტვირთი თურქეთიდან

ქართველი ძალოვნებისთვის კვების ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტი 3-4 თვის განმავლობაში აღარ გაიღებს. თურქეთის მთავრობამ საქართველოს 1560 ტონა სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტი გამოუგზავნა, რომელიც ქართველ ძალოვნებს 3-4 თვის განმავლობაში ეყოფათ. ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ეს საქართველოსთვის დიდი შეღავათი იქნება, რადგან ძალოვანი სტრუქტურების კვებისთვის ბიუჯეტი თვეში 1,2 მლნ ლარს ხარჯავს.

გუშინ, დილით, ზაჰესის საბაჟო ტერმინალში, ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის ჰუმანიტარული დახმარების პირველი ნაწილი მიიღო. ტვირთის გადმოცემის ცერემონიალს თურქეთის სახელმწიფო მინისტრი მეჰმედ აიდინი და თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში დიჯლე ქოფუზი დაესწრნენ. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, რომელიც დახმარების "განმკარგავი" მხარე გახლავთ, ჰუმანიტარული დახმარება სხვადასხვა სახის კვების პროდუქტებით (ფქვილი, მზესუმზირის ზეთი, ბრინჯი, სტაფილო, შაქრის ფხვნილი, კარტოფილი, კვერცხი და ა.შ.) დატვირთული 90 სატვირთო მანქანისაგან შედგება და სამ ეტაპად განხორციელდება.

ამჟამად ზაჰესის საბაჟო ტერმინალში 28 სატვირთო მანქანა დგას, ორი მანქანა კი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშია. საინტერესოა, რომ ამ 90 მანქანიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ათია განკუთვნილი. იანვრის ბოლომდე საქართველო დახმარებას სრულად მიიღებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დახმარების მიმღები მხარეა საქართველოს მთავრობა და მას ფინანსთა სამინისტრო გაანაწილებს. **24 საათი**

მილსადენის მუშაკთა პროფკავშირები კონტრაქტორს აფრთხილებს

გუშინ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე დასაქმებულ მუშაკთა პროფკავშირებმა პირველი შეკრება თბილისში, გაერთიანებული პროფკავშირების ოფისში გამართეს.

როგორც სააგენტო „მედია-ნიუსს" პროფკავშირის თავმჯდომარემ ნოდარ დვალმა აცნობა, მათ სამშენებლო კონტრაქტორის, კომპანია „სპი კაპაგ-პეტროფაგის" ადმინისტრაციისთვის წარსადგენი მოთხოვნები წერილობით ჩამოაყალიბეს და კონტრაქტორს გაუგზავნეს.

მუშაკები ითხოვენ ხელფასების 50 პროცენტით მომატებას, კვების გაუმჯობესებას, სამუშაო საათების სნორად აღრიცხვას და მივლინების თანხების გაცემას.

პროფკავშირმა კონტრაქტორი გააფრთხილა, რომ ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენზე დასაქმებული საქართველოს მოქალაქეები კიდევ ერთ, უფრო მასშტაბურ და ორგანიზებულ გაფიცვას დაიწყებენ.

ამ პრობლემების მოუგვარებლობის გამო მუშებმა არაერთი გაფიცვა უკვე მოაწყვეს. სწორედ ბოლო გაფიცვის შემდეგ, დეკემბერში, კონტრაქტორის წინადადებით, მილსადენზე დასაქმებულებმა თავიანთი პროფკავშირი შექმნეს. კონტრაქტორი მაშინ აცხადებდა, რომ მუშათა ორგანიზაციასთან ურთიერთობა და ამ გზით პრობლემების გადაჭრა მისთვის უფრო ადვილი და მისაღებია. **მედია-ნიუსი**

რუმინეთში საქართველოს საელჩო გაიხსნება

გუშინ თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მირჩა დონ ჯოანა. იგი შეხვდა არჩეულ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, მოქმედ პრეზიდენტს ნინო ბურჯანაძეს, სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას და საგარეო უწყების ხელმძღვანელებს. კანცელარიაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გაირკვა, რომ მალე რუმინეთში საქართველოს საელჩო გაიხსნება.

ჯოანას ერთდღიანი ვიზიტი ეხებოდა საქართველო-რუმინეთის ორმხრივ ურთიერთობას, მომავალი თანამშრომლობის გაფართოებას ეკონომიკის და სამხედრო სფეროებში. შეხვედრებზე, ასევე, განიხილეს ევროპული ინტეგრაციის საკითხი. რუმინეთის სახელმწიფო გვპირდება, რომ იგი საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცესთან დაახლოებაში დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას გაუზიარებს. **24 საათი**

კაკუბავა ვაშაკიძეს იცავს და უშიშროებას „ამხელს"

ირაკლი ლეონიძისა

ბორის კაკუბავა

„თავს ვალდებულად ვთვლი, ხმა ავიმაღლო ქვეყანაში მომავალი დიქტატურის რეალური საფრთხის წინააღმდეგ და მოვითხოვ, შეწყდეს ხელისუფლებაში მოსული სამეულის და მათი გუნდის თარეში, ვისაც შევარდნაძესთან ერთად წლების მანძილზე დიდი წვლილი მიუძღვის ქვეყნის ნგრევაში", — განაცხადა გუშინ პრესკონფერენციაზე პარლამენტის წევრმა, სრულიად დევნილთა ლიგის ხელმძღვანელმა ბორის კაკუბავამ. კაკუბავას განცხადებით, ეს ოპერაცია, ხელისუფლებასთან შეთანხმებით, თავიდან ბოლომდე უშიშროების სამინისტროში იყო დაგეგმილი.

„მაღლაკელიძის ტყვეობაში ყოფნის და გათავისუფლების ოპერაცია ჩატარდა ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ მიჩნეული გენერლის გია ვაშაკიძის თავიდან მოსაცილებლად. ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ვაშაკიძე იგორ გიორგაძის მომხრეებთან ერთად გიორგაძის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ამზადებდა", — განაცხადა კაკუბავამ. პარლამენტარისთვის უცნობია, გენერალი ვაშაკიძე არის თუ არა გიორგაძის გუნდის წევრი სინამდვილეში, მაგრამ აცხადებს, რომ ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის მეთოდები დემოკრატიული ქვეყნისთვის მიუღებელია. კაკუბავას თქმით, შს და უშიშროების მინისტრებმა მაღლაკელიძის სახით მოიტაცეს და გაათავისუფლეს კაცი, ვისაც მარტო სახელმწიფო ხაზინიდან „3 კუბური მეტრი" ფული აქვს გატანილი. **მედია-ნიუსი**

სოხუმში შემუშავებულ წინადადებებს საპკაშვილს ტალიავინი გააცნობს

საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის აზრით, მშვიდობის მხარდამჭერი, დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში. ორშაბათს სოხუმში გაერო-ს გენმდივნის სპეცწარმომადგენელი სამშვიდობო ძალების სარდალს, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ევტეევს შეხვდა.

ამ შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაცია, დსთ-ს სამშვიდობო ძალების და გაერო-ს მისიის შემდგომი ურთიერთქმედებები საკითხები. როგორც გაერო-ს თბილისის ოფისში აცხადებენ, სოხუმი მზად არის მოლაპარაკებების განახლებისათვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხზე და, ამ მიზნით, საქართველოს ახალი ხელისუფლებისათვის წინადადებათა პაკეტი მოამზადა. მათი ინფორმაციით, პაკეტი გადაეცა საქართველოში გაერო-ს სპეციალურ წარმომადგენელს ჰაიდი ტალიავინის, რომელიც ორშაბათს ჩავიდა სოხუმში და იქ სამ დღეს დაჰყოფს. სოხუმი საქართველოს ახალ პრეზიდენტს სთავაზობს, უარი თქვას აფხაზეთის პრობლემის ძალით გადაწყვეტაზე, ივალდებულოს ადრე მიღწეული შეთანხმებების შესრულება და დასავლეთ საქართველოში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ ქმედითი ზომები მიიღოს.

აფხაზური მხარის წინადადებებს ჰაიდი ტალიავინი საქართველოს ახალ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს გადასცემს. სპეცწარმომადგენელი მოხსენებას ამზადებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაციის და მისი დარეგულირების პერსპექტივების შესახებ, რომელიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაეცემა. **პრაიმ-ნიუსი**

ორი სიტყვით

ბაქო. ნატო-ს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში, სექტემბერში, აზერბაიჯანში დაგეგმილი სწავლებების "Cooperativ Best Effort-2004" დაგეგმარების კონფერენცია მიმდინარეობს 13-15 იანვარს ბაქოში. კონფერენციაში ნატო-ს წევრი ქვეყნები - აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, უნგრეთი, პოლონეთი, თურქეთი, ასევე პარტნიორი ქვეყნები - ავსტრია, რუმინეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, მაკედონია, ხორვატია, შვეიცარია, ლიტვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ბელორუსი და მოლდოვა მონაწილეობენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სახალხო მოძრაობის "ჩვენი აჭარის" აქტივისტების ცნობით, საქართველოში 2003 წლის ნოემბრის მოვლენებისა და 2004 წლის 4 იანვარს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე ავტონომიურ რესპუბლიკაში საკადრო ცვლილებებს ახორციელებს და მოსკოვში მოღვაწე ნათესავს აწინაურებს. გუშინ, ასლან აბაშიძის განკარგულებით, თანამდებობიდან გაათავისუფლეს ქედის რაიონის გამგებელი ჯემალ გვარიშვილი, რომლის ნაცვლად მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი, აჭარის ლიდერის ბიძაშვილის შვილი - ელდარ დევაძე დაინიშნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

სოხუმი. აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის პირად ნარმომადგენელს შუამდგომლობას სთხოვენ. ოფიციალურ სოხუმს 31 იანვრისთვის დანიშნულ გაერო-ს უშიშროების საბჭოზე დასწრება სურს, სადაც აფხაზეთის კონფლიქტის მონესრიგების საკითხი უნდა განიხილონ. ამასთან დაკავშირებით, სეპარატისტულმა ხელისუფლებამ განცხადება გუშინ ჰაიდი ტალიავინის სოხუმში ვიზიტისას გააკეთა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯიინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაბანი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

პროფესიული ქვედანაყოფები აშშ-მ სრულ კმაყოფაზე აიყვანა

პირველი გვერდიდან

"ეს არის "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის შემდგომი ეტაპი, რაც ითვალისწინებს უზრუნველყოფის გაუმჯობესებას მე-11 ბრიგადისთვის. სწორედ ამ ბრიგადის შემადგენლობაში შევიდნენ ძირითადად ის ბატალიონები, რომლებიც "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის შედეგად გაიწვრთნენ," - აცხადებს გენერალი ლორია.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს არმიის პრობლემების გადასაწყვეტად, ვაშინგტონთან ერთად, დახმარების ხელი თურქეთმაც გამოიღო. ანკარამ, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი მსხვილი დონორია, ქართულ ჯარს კვების პრობლემები 4 თვით მოუხსნა.

ამ შემთხვევაში ლაპარაკია ჰუმანიტარულ დახმარებაზე, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ასევე გუშინ მიიღო.

ქვეყნისათვის კრიტიკულ სიტუაციაში სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან ასეთ გულუხვ დახმარებას ქართველი ექსპერტები უპრეცედენტოს უწოდებენ, თუმცა აუცილებლად მიიჩნევენ კონტროლის გამკაცრებას, რათა ჰუმანიტარული დახმარება არამიზნობრივად არ დაიხარჯოს.

ცოტა ხნის წინ, სახმელეთო ჯარების ყოფილმა სარდალმა, მაიორმა გიორგი ბლიაძემ უახლოესი წარსულის ერთი ჰუმანიტარული დახმარების ისტორია გაგვიზიარა.

"ავიღოთ 2002 წელს თურქეთის გრანტით შემოტანილი საწვავი. მე უშუალოდ ვხელმძღვანელობდი იმის დათვლას, თუ როგორ და რა რაოდენობის საწვავი სჭირებოდა შეიარაღებულ ძალებს. და ეს ნამდვილად არ იყო 3 ათასი ტონა დიზელი. ეს იყო 3-ჯერ, 4-ჯერ ნაკლები. თუ სად გაქრა დანარჩენი საწვავი, ამაზე შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვათ, თუ სათანადო მოკვლევა არ დაინიშნა, შესაბამისი უწყებების მხრიდან," - ფიქრობს მაიორი ბლიაძე.

შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მზად არის პარტნიორი ქვეყნებისგან მიღებული ყველა ჰუმანიტარული დახმარების გამოყენების მიზნობრიობა ნებისმიერი ინსტანციის წინაშე დაამტკიცოს. მთავარია ეს ირწმუნონ იმ ადამიანებმა, რომლებიც ქვეყნისათვის რთულ პერიოდში სამხედრო სამსახური აირჩიეს.

ამ ჯარისკაცებს ამერიკელები არა მხოლოდ წვრთნიან, არამედ ხელფასითაც უზრუნველყოფენ.

საქინფორმი

ლინ პასკო: "ჩვენ უკვე დავიწყეთ საუბრები მომავალზე"

ვერიკო თევზაძე

"მე შევხვდი საქართველოს არჩეულ პრეზიდენტს სააკაშვილს, ჩვენ უკვე დავიწყეთ საუბრები მომავალზე... ვფიქრობ, რომ თითოეულ ქართველს შეუძლია, იამაყოს იმ პროცესებით, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. ამერიკის მთავრობა გააკეთებს მაქსიმუმს, რათა დაეხმაროს საქართველოს მოქალაქეებს თავიანთი სურვილების განხორციელებაში," - აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილის ლინ პასკოს მორიგ ვიზიტს ოპტიმისტური განწყობა თან სდევს.

პასკოს ამჟამინდელი სტუმრობა საქართველოსა და ამერიკას შორის ხელშეკრულების გაფორმებით დაგვირგვინდა. გუშინ კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და ამერიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა ხელი მოაწერეს საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, გამოყოფს თანხას "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში ჩართულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა, ასევე ქართველი მესაზღვრეებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ნაწილების ორი თვის ხელფასების დასაფარავად.

გუშინვე პასკომ და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს. აჭარისა და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობაზე საუბრისას პასკომ განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა არ აპირებს, ჩაერიოს საქართველოს შინაურ სააქმეებში. **"ჩემი წინა შეხვედრა ასლან აბაშიძესთან ახალი ხელისუფლების თხოვნით მოხდა,"** - განუმარტა ჟურნალისტებს პასკომ.

ნინო ბურჯანაძე აჭარასა და ცენტრს შორის ურთიერთობაში გარკვეულ პროგრესს ხედავს და ამის მაგალითად რეგიონის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას და აჭარის მიერ ცენტრალურ ბიუჯეტში სოლიდური თანხის გადმორიცხვის ფაქტს ასახელებს. ბურჯანაძის აზრით, ცენტრმაც და რეგიონმაც თანაბრად უნდა გადადგან კონსტრუქციული ნაბიჯები არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე პასკომ და ბურჯანაძემ განაცხადეს, რომ რუსეთი ვალდებულია, შეასრულოს სტამბულის სამიტის ხელშეკრულება, რომელიც რუსეთისგან მოითხოვს სამხედრო ბაზების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან. ბურჯანაძის ინფორმაციით, მან მოსკოვში გამართული ვიზიტისას პუტინს შესთავაზა, რომ ამ საკითხზე მომუშავე სპეციალურმა კომისიებმა მაის-ივნისამდე დაასრულონ მოლაპარაკებები ბაზების გაყვანის ვადებთან დაკავშირებით.

პასკომ ვიზიტისას ოფიციალურად დაადასტურა საქართველოს არჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციაზე ამერიკის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის სტუმრობის ფაქტი.

ლინ პასკო და მიხეილ სააკაშვილი - საუბრები მომავალზე.

საქინფორმი

გზა ევროპისაკენ

ბურიანა ბასაევის ფოტო

ტორნბენ ჰოლცე და თამარ ბერუჩაშვილი ევროინტეგრაციის აუცილებლობაზე საუბრობენ.

ევროკავშირი საქართველოს დასახმარებლად უახლოეს სამ წელიწადში 28 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს. ამის თაობაზე გუშინ ოფიციალურად განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა საქართველოში ტორნბენ ჰოლცემ. დახმარების ინდიკატურ პროგრამას გუშინ ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობაში ტორნბენ ჰოლცემ და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, ევროპული პროგრამების ეროვნულმა კოორდინატორმა თამარ ბერუჩაშვილმა მოაწერეს ხელი.

მაია ურუშაძე

1992-2003 წლებში ევროპის მიერ "ტასისის" ეროვნული პროგრამის ფარგლებში საქართველოსათვის გაწეული დახმარება - 84 მილიონ ევროს, ევროდახმარების მთლიანი მოცულობა კი 385 მილიონ ევროს შეადგენს.

საქართველოს მიერ გასულ წელს "დამსახურებულმა" უარყოფითმა შედეგებმა დახმარებების ნაკადის შემცირების საშიშროება წარმოშვა. **"ბოლო დროს ევროკავშირის ექსპერტები საქართველოს მაღალ შეფასებას არ აძლევდნენ, თუმცა ახალი მთავრობა იძლევა იმედს, რომ საქართველო დაძლევს მის წინაშე მდგარ სირთულეებს და გადალახავს ბარიერებს, რაც მას ევროკავშირში გაწევრიანებაში უშლიდა ხელს,"** – განუცხადა "24 საათს" ევროკავშირის წარმომადგენელმა საქართველოში ტორნბენ ჰოლცემ.

ჩანს, სწორედ ამ იმედით ზრდის ევროკავშირი საქართველოსთვის დახმარების მოცულობას. "2004-2006 წლების "ტასისის" ეროვნული ინდიკატური პროგრამა საქართველოსათვის" – ეს არის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია ის პრიორიტეტები, რომელთა დაფინანსებასაც უახლოესი სამი წლის განმავლობაში ევროკავშირი იკისრებს. ასეთი სფერო კი ორია:

პირველი მათგანი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმაა, რისთვისაც საქართველო 11 მილიონ 500 ათას ევროს მიიღებს. თამარ ბერუჩაშვილის განმარტებით, ევროკავშირთან პარტნიორობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება და ინტეგრირების პროცესის თანდათან გაღმავებას გულისხმობს. სწორედ ამ მიზნით შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის პროგრამა, რომლის კოორდინაციასაც მინისტრთა კაბინეტის შექმნის შემდეგ კაბინეტის შემადგენლობაში საგანგებოდ შექმნილი "ევროკავშირში ინტეგრაციის საგენტო" იკისრებს. საქართველოს ხელისუფლებისა და ევროკავშირის ამ გეგმების თაობაზე "24 საათს" სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ თამარ ბერუჩაშვილმა აცნობა. მისივე თქმით, ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული პროექტები საქართველოს მოქალაქეებსა და ბიზნესწრეებს ევროპის ქვეყნებთან ურთერთობას გაუადვილებს და ქართულ პროდუქციას ევროპული ბაზრისთვის მისაღებად აქცევს. **"საქართველოსთვის ევროპის ბაზარზე დამკვიდრება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ევროკავშირი კი ყველაზე რთული ბაზარია. ამასთან, უახლოეს მომავალში მისი გაფართოება იგეგმება. იმისათვის, რომ ამ ბაზარზე ქართული პროდუქცია დაუბრკოლებლად შედიოდეს, ის საქართველოდან ევროპული სტანდარტების შესაბამისად დამუშავებული უნდა გადიოდეს, უნდა მიჰყვებოდეს შესაფერისი დოკუმენტაცია. ევროკავშირის ექსპერტთა კონსულტაციები სწორედ ამ სტანდარტების დამკვიდრებაში დაეხმარება საქართველოს,"** – აცხადებს ბერუჩაშვილი. დღეისათვის ევროპულ კანონმდებლობასთან ინტეგრაციის პროგრამას ევროკავშირი სხვადასხვა უწყებებში ცალ-ცალკე ახორციელებს – საბაჟოზე, სასამართლო და სასჯელაღსრულებით სისტემებში.

მეორე სფერო, რომელსაც ევროკავშირი 12 მილიონ 500 ათასი ევროთი დააფინანსებს, გარდამავალი პერიოდის სოციალური შედეგების დაძლევის მხარდაჭერაა. როგორც "24 საათს" ტორნბენ ჰოლცემ განუმარტა, ევროპის თანხები, ძირითადად, სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე დაიხარჯება. დაფინანსდება ჯანდაცვის სექტორის პროექტები. **"ამ თანხებით მოხდება კლინიკებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მათი უახლესი სტანდარტების მიხედვით აღჭურვა,** – აცხადებს ტორნბენ ჰოლცე და იმედოვნებს, რომ მართალია, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო სამედიცინო დახმარების დაფინანსება არ მოხდება, **"მაგრამ ევროკავშირის თანხები მოსახლეობას სიღარიბის დაძლევაში დაეხმარება და იგი თავად გახდება გადახდისუნარიანი."**

გარდა ამისა, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარებიდან 4 მილიონი ევრო კონფლიქტური ზონების რეაბილიტაციის პროგრამაზე დაიხარჯება. ჰოლცეს განცხადებით, ეს თანხები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ რეაბილიტაციასა და კონფლიქტების შემდგომში თავიდან აცილებას მოხმარდება.

ტორბენ ჰოლცეს განცხადებით, **"გუშინ ხელმოწერილი ინდიკატური პროგრამის საფუძველზე მალე დეტალური სამოქმედო პროგრამები შემუშავდება, სადაც დეტალურად აღიწერება და დაკონკრეტდება ის პროექტები, რომელთა დაფინანსებაზეც ევროკავშირის თანხები უნდა დაიხარჯოს."**

მოკლედ

მსოფლიო ბანკი თბილისში წყალსადენების აღდგენას აფინანსებს

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ნაძალადევისა და ჩუღურეთის უბნებში წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. "თბილწყალკანალის" ცნობით, ზაქარაიას ქუჩაზე ამ ქსელის შეცვლა იანვრის ბოლომდე დასრულდება. კილომეტრის სიგრძის საკანალიზაციო მიღების და 2 კილომეტრის სიგრძის განშტოებების შეცვლაზე 270 ათასი ლარი დაიხარჯება. დავითაშვილის ქუჩაზე ახალი წყალსადენი და საკანალიზაციო სისტემა იანვრის ბოლოს ამოქმედდება. სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე სულ 250 ათასი ლარია გამოყოფილი. ტერენტი გრანელის ქუჩაზე მიმდინარეობს 600 მეტრის სიგრძის წყალსადენის და 560 მეტრის საკანალიზაციო მილის შეცვლა. ანალოგიურ სამუშაოებს ლამის ქუჩაზე ასრულებენ, რაზეც 450 ათასი ლარია გამოყოფილი. ახტალას ქუჩაზე 1958 წელს ჩადებული ძველი მილების შეცვლაზე 860 ათასი ლარი დაიხარჯება. სამუშაოები, სავარაუდოდ, მარტამდე დასრულდება. **მედია-ნიუსი**

"ვარციხეჰესის" რეაბილიტაციისთვის KFW-მ 8,5 მილიონი ევრო გამოყო

"ვარციხეჰესის" რეაბილიტაციისთვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (KFW) საქართველოს 8,5 მილიონი ევროს ოდენობის შეღავათიანი კრედიტი გამოუყო, რომლის ათვისებაც პარლამენტში საკრედიტო ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ დაიწყება. როგორც "ინტერ-პრესს" საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს, კრედიტის ძირითადი ნაწილი სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშთან ნაპირსამაგრი და სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად დაიხარჯება. "ამით თავიდან ავიცილებთ სოფლის დატბორვას. სამშენებლო სამუშაოები ჰესის წყალსაცავის მდგომარეობასაც გააუმჯობესებს," - განაცხადეს სამინისტროში. კრედიტიდან 1,5 მილიონი ევრო ჰესის მეოთხე აგრეგატის აღსადგენად დაიხარჯება, რაც სისტემას დამატებით 40 მეგავატ სიმძლავრეს მისცემს. "ვარციხეჰესის" კასკადში, რომელიც იმერეთში მდებარეობს, ოთხი მცირე ჰესი და 8 აგრეგატი შედის. ჰესის დადგმული სიმძლავრე 184 მეგავატია, თუმცა ჰიდროენერგეტიკული სიმცირის გამო ამჟამად 70 მეგავატის დატვირთვით მუშაობს. "ვარციხეჰესის" კასკადის რეაბილიტაციისთვის KFW-მ 63,5 მილიონი გერმანული მარკის ოდენობის კრედიტი ჯერ კიდევ 1998 წლის ბოლოს გამოყო. საკრედიტო ხელშეკრულებას რატიფიკაცია პარლამენტმა 2001 წელს გაუკეთა. ჩატარებული ტენდერის საფუძველზე პროექტის განხორციელება ბერძნული კომპანიას - "ტერნას" დაეკისრა, თუმცა მისი მხრიდან პირობების შეუსრულებლობის გამო KFW-მ მასთან კონტრაქტი გააუქმა. პროექტის შემდგომი განხორციელება ეჭქვეშ იდგა, თუმცა KFW-მ გადაწყვიტა, რომ კრედიტი საქართველოსთვის დაეტოვებინა. ამჯერად გადაწყდა, რომ 31 მილიონი ევრო მთლიანად "ვარციხეჰესს" აღარ მოხმარდებოდა. კრედიტიდან 8,5 მილიონი ევრო ჰესს ერგო, დანარჩენი კი ქართული ენერგოსისიტემის სხვა რგოლებზე გადანაწილდა. **ინტერ-პრესი**

მოხდება თუ არა ქართველთა არალეგალური შემოსავლების ლეგალიზება

ტაბუდადებული ინფორმაციის გაცვლა დაიწყო

ნინო ნარჩემაშვილი

ილარი ლოგოგიძის ფოტო

ნიკა გეგუჩაძის თქმით მალე თბილისს სხვადასხვა ქვეყნების ექსპერტები ეწვევიან.

ყველამ ყოველთვის იცოდა, რომ ქართველი ჩინოვნიკებისა თუ საქმოსნების ქონების მნიშვნელოვანი, სოლიდური ნაწილი წლების განმავლობაში უსაფრთხოდ ინახება და მრავლდება უცხოეთის ბანკებში. ხალხის ხარჯზე გამდიდრებული ქართული პოლიტიკური და ბიზნესელიტა თავის უკანონო შემოსავლებს საქართველოდან შორს, მის საზღვრებს გარეთ მალავდა და დაუსჯელობის იმედით არხეინად აგრძელებდა ცხოვრებას. აღნიშნული საკითხი არაერთხელ გახდა იმჟამინდელი იუსტიციის მინისტრის, არჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ცხარე გამოსვლების თემა მთავრობის სხდომებსა თუ ხელისუფლების სხვადასხვა შეკრებებზე. პირველი დარტყმა კი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე, რომელზეც საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება იძულებული გახდა, რეაგირება გაეკეთებინა, ევროსაბჭოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ქართული მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებით წარმოიშვა, როცა აღნიშნულმა ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლებას "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ" კანონპროექტის შემუშავება და მიღება მოსთხოვეს. კანონპროექტის ძირითადი იდეა და მიზანი ქვეყანაში შავი ფულის გათეთრების ნინაალმდეგ ბრძოლა გახლავთ და ამის გარეშე ქვეყნისათვის ტრანშებისა თუ სხვა ფინანსური დახმარებების გამოყოფა სათუო ხდება. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში განსახილველად ჯერ კიდევ 2002 წლის ნოემბერში იქნა შეტანილი. მაშინ კანონის მიღების გაჭიანურების გამო საქართველომ ევროსაბჭოსგან ბოლო გაფრთხილებაც მიიღო და ე.წ. შავ სიაში მოხვედრის საშიშროება დაემუქრა (უკრაინა, რომელიც შავ სიაში მოხვდა, ცივილური სამყაროსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა და, ფაქტობრივად, ტრანშებისა თუ სხვა ფინანსური დახმარებების გარეშე დარჩა).

დაახლოებით წელინადნახევრიანი მსჯელობის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის შესახებ" კანონი მაინც მიიღო და ჩამოყალიბდა კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებული ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომლის მიერ მოპოვებული მასალა შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს გადაეცემა (აღნიშნული სტრუქტურის ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში ყოფნის სურვილი ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა მთავრობისა და უშიშროების საბჭოს სხდომებზე არაერთხელ დაუფიქსირა, თუმცა საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და იმ მოტივით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი კანონპროექტის იდეის უშუალო შემსრულებელი იყო, ეროვნული ბანკის სასარგებლოდ გადაწყდა; თანაც, როგორც სებ-ში აღნიშნავენ, ასეთია მსოფლიო პრაქტიკა).

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ნიკა გეგუჩაძის განცხადებით, სამსახური, რომელიც წინა ხელისუფლების პიროებებში შეიქმნა, სრულფასოვნად წელს - 1 იანვრიდან ამოქმედდა. დღეს მიმდინარეობს მუშაობა, რათა საქართველო იმ 90 ქვეყანას შეუერთდეს, რომელთა შესაბამისი სამსახურები ერთ საერთო ორგანიზაციაში - "ეგმონტის ჯგუფში" არის გაერთიანებული. რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებს შორის არალეგალური შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გაცვლა და დახმარება შესაძლებელია ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ "ეგმონტის ჯგუფში" გაერთიანების შესახებ განაცხადი ქართულმა მხარემ გასულ წელს შეიტანა, მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად, როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციასა თუ გაერთიანებაში, აქაც 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს დაელოდნენ. ნიკა გეგუჩაძის თქმით, ინფორმაციის გაცვლის პროცესი დაიწყო და, სავარაუდოდ, თებერვლის თვეში ევროსაბჭოს ეგიდითაა დაგეგმილი საქართველოში შვეიცარიის ანალოგიური სამსახურის ხელმძღვანელის ვიზიტი. მისივე ინფორმაციით, თბილისში სხვადასხვა ქვეყნების ექსპერტებიც ჩამოვლენ. რაც შეეხება უცხოეთის ბანკებში არსებული ქართველი კორუმპირებული ჩინოვნიკების ანგარიშების გაყინვას, ამ საქმეს მიმდინარე ეტაპზე პროკურატურა განიხილავს, თუმცა აუცილებელია კანონში "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის შესახებ" ცვლილებები შევიდეს, რაც კონკრეტული ღონისძიებების გატარების საფუძველი იქნება. მისივე თქმით, მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დღეისათვის საქართველო შავ სიაში მოხვედრას გადაურჩა.

შექმნილია საქართველოს ეკონომიკის პროგნოზირების მოდელი

თამარ ხორბალაძე

საქართველოს ეკონომიკაში სიახლეა - "ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის" შექმნის აუცილებლობაზე ზოგადი საუბრების ფონზე უცხოეთში მოღვაწე ქართველი ეკონომისტები ქმნიან საქართველოს ეკონომიკის პროგნოზირების მოდელს. მოდელი შეიქმნა ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრში, რომლის წარმომადგენლებიც აშშ ჰოპკინსის უნივერსიტეტის დოქტორი გიორგი ჭილაძე და იაპონიის სახელმწიფო ადმინისტრირების და პოლიტიკის ეროვნული ინსტიტუტის მაგისტრი დათო ჭკადუა არიან. ისინი უცხოეთში მუშაობდნენ ამ მოდელის შექმნაზე, საქართველოში კი მათი პარტნიორი ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი კახა უგულავა გახლავთ.



ილარი ლოგოგიძის ფოტო

საქართველოში ეკონომიკის პროგნოზირების მოდელი შეიქმნა.

საქართველოს ეკონომიკის პროგნოზირების მოდელი შექმნილია დასავლური ინსტიტუტების მიერ აპრობირებული "ეკონომიკური პროგნოზირების" მოდელის შესაბამისად, თუმცა გამიზნულია კონკრეტულად საქართველოსთვის. ეს გახლავთ უპრეცედენტო შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, რაც შესაძლებელი ხდება ეკონომიკური პროგნოზირება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმთავითვე გახლდათ პროფესიონალი, თანამედროვე სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების მცოდნე ეკონომისტებისა და რეალური ეკონომიკური პროგნოზირების დეფიციტი. მიუხედავად ქვეყანაში არაერთი ეკონომიკურპროფილიანი სამინისტროს არსებობისა, ეკონომიკის დაგეგმვა და პროგნოზირება ჩვენში დაიყვანება სამ-ოთხ პარამეტრზე გათვლილ ბიუჯეტამდე და ინდიკატორულ გეგმამდე, რომელიც იმავე ორ პარამეტრზეა გათვლილი.

მეტიც - ჯერ კიდევ 1997 წელს წარმოშობილმა რუსეთის ცნობილმა უდიდესმა კრიზისმა, რომელმაც რუსეთზე მეტად, საბოლოო ჯამში, საქართველო, მისი ვალუტა და მისი ბიუჯეტი დააზარალა, დაადასტურა, რომ საქართველოში არ ფლობდნენ არა მხოლოდ ეკონომიკური პროგნოზირების რეალურ მეთოდოლიგიას, არამედ - ელემენტარულ, ეკონომიკურად მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ხოლო ის, რომ წლების მანძილზე საგადასახადო ცვლილებების მიღება აბსოლუტურად "გაუთვლელად" ხდებოდა, ბოლო პერიოდში დამტკიცებულმა ცვლილებებმაც დაადასტურა, რომელსაც საერთოდ არ ახლდა ეკონომიკური დაანგარიშებები მოსალოდნელი შედეგების თაობაზე.

მეტიც – ჯერჯერობით, არ არის დათვლილი არც დღევანდელი ხელისუფლების მიერ უკვე გახმოვანებული ეკონომიკური ნაბიჯების მოსალოდნელი შედეგები.

კახა უგულავას ინფორმაციით, მოდელი, რომლის პრეზენტაციაც ქართველი ეკონომისტებისა და საზოგადოების წინაშე ხვალ შედგება, საშუალებას იძლევა, რომ როგორც საქართველოს აქტიურ პარტნიორ ქვეყნებში მომხდარი მოვლენის, ისე საქართველოს რომელიმე დარგში მომხდარი ძვრის, ან ხელისუფლების მიერ გადადგმული (ან გადასადმელი) ნაბიჯების შედეგთა პროგნოზირება მოხდეს.

მისი ინფორმაციით, **"ამგვარი მოდელი მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) შექმნისას წევრი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ანალიზისათვის. სწორედ ამ მოდელის მიხედვით იქნა პროგნოზირებული, თუ რა შედეგების მომტანი იქნებოდა ამა თუ იმ ქვეყნისათვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება".**

თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ამჯერად მოდელი მხოლოდ საქართველოსთვის არის შექმნილი და ეკონომისტებისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, რომ:

"ეკონომიკის პროგნოზირების მოდელის (CGE) ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების პროგნოზირება, რაც სახელმწიფოს ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების საშუალებას აძლევს.

ეკონომიკის პროგნოზირების მოდელი გვაძლევს დეტალურ პროგნოზს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მრავალი სცენარისათვის.

მოდელი შეიცავს 500-ზე მეტ ეკონომიკურ პარამეტერს;

მოდელი მოიცავს ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის ყველა ძირითადი ბლოკის ანალიზს;

მოიცავს ეკონომიკის 14 დარგს (იმ მოცულობით, რომელთა სტატისტიკური მონაცემებიც ქვეყანაში არსებობს);

მოიცავს სექტორული, საგადასახადო და საგარეო ვაჭრობის ანალიზს".

"24 საათის" კითხვაზე - დღევანდელი სტატისტიკის ნაკლებად სანდოობის პირობებში, არსებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაკეთებული პროგნოზები რამდენად იქნება შესაბამისობაში მოყვანილი რეალობასთან? კახა უგულავა ამბობს, რომ "ცდომილება" რეალობასა და სტატისტიკურ მონაცემებს შორის ყველა სფეროში დაახლოებით ერთი და იგივე პროცენტია, ამიტომ დინამიკის დანახვა არსებული სტატისტიკური მონაცემების ბაზაზეც შესაძლებელია; თუმცა აქვე ამბობს, რომ **"სტატისტიკის დაბალ დონეს საქართველოში ისიც განაპირობებს, რომ მასზე მოთხოვნა არ არსებობს. მას შემდეგ, რაც გაჩნდება სტატისტიკურ მონაცემებზე მოთხოვნა, სტატისტიკოსებიც იძულებულნი გახდებიან, ახალ მოთხოვნებს უპასუხონ".**

ცენტრი, სადაც აღნიშნული მოდელი შეიქმნა, მომავალში უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექსპერტების დიდი სპეკტრის მოზიდვას გეგმავს და თანამშრომლობას სთავაზობს როგორც ახალ ხელისუფლებას, ისე ცალკეულ დარგებში დასაქმებულ სერიოზულ ბიზნესმენებს, რომელთათვის ეკონომიკური პროგნოზირება, შესაძლოა, ბიზნესწარმატების საფუძვლადაც იქცეს.

რა როლი ითამაშა "პარმალატის" გაკოტრებაში "ბენქ ოფ ამერიკამ?"

ადამ მჭედლიძე

იტალიური გიგანტის "პარმალატის" გაკოტრებამ უკვე უდიდესი სკანდალი ააგორა, რომელიც უახლოეს მომავალში, ალბათ, ბევრ მაქინაციას ახდის ფარდას როგორც იტალიაში, ისევე მის ფარგლებს გარეთ.

"პარმალატის" საქმის გამო აღძრული გამოძიების მორიგ მსხვერპლებად "ბენქ ოფ ამერიკას" ყოფილი თანამშრომელი და "პარმალატ ვენესუელას" ყოფილი თავკაცი იქცნენ. ეს უკანასკნელი პატიმრობაშია აყვანილი, ხოლო "ბენქ ოფ ამერიკას" ყოფილი თანამშრომელი ლუკა სალა გამოძიებამ დაკითხა. დაკითხვას სალას მიერ "ლა რეპუბლიკასათვის" მიცემული ინტერვიუ მოჰყვა, ეჭვის ქვეშ მყოფმა ფინანსისტმა თავი იმართლა და საკუთარი თავიცა და ბანკიც "პარმალატის" ბინძური მაქინაციების მსხვერპლად გამოაცხადა.

სალა გახლდათ "ბენქ ოფ ამერიკას" იტალიური კორპორაციულისაფინანსო შტოს თავკაცი და მისი ორგანიზაციის ერთ-ერთი პარტნიორი სწორედ "პარმალატი" იყო. როცა ეს უკანასკნელი გაკოტრდა, იტალიელი სამართალდამცავები ფრიად დაეჭვა იმ ფაქტმა, რომ "პარმალატის" პარტნიორმა ბანკმა არაფერი უწყოდა კომპანიაში შექმნილი კატასტროფული ფინანსური ვითარების შესახებ. გამოძიებას ბუნებრივად დაებადა ვერსია იმის თაობაზე, რომ ლუკა სალას მეთაურობით "ბენქ ოფ ამერიკას" იტალიური შტო, ალბათ, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ თვალს ხუჭავდა "პარმალატის" პრობლემებზე და ხელს უწყობდა კომპანიის ფასიანი ქაღალდების გაყიდვას. მოგეხსენებათ, ამგვარი სამწუხარო პრეცედენტი უკვე არსებობს ახლო წარსულში გაკოტრებული ამერიკული გიგანტების – "ენრონისა" და "ანდერსენის" სახით, როცა ამ უკანასკნელმა არაფერი იცოდა "ენრონში" შექმნილი ვითარების შესახებ და შედეგად მართლმსაჯულების მთელი რისხვა სწორედ მას დაატყდა თავს.

"ლა რეპუბლიკასათვის" მიცემულ ინტერვიუში სალამ განაცხადა, რომ ისიც და "ბენქ ოფ ამერიკაც" მწარედ მოატყუეს. **"მე ყოველ ცისმარე დღეს ვწყევლი იმ წუთებს, როცა "პარმალატმა" თავის კლიენტად ჩვენი ბანკი შეარჩია,** - ასე მგზნებარედ გამოვიდა სალა, **- სამწუხაროდ, როცა შენთან "პარმალატისნაირი" სერიოზული სახელის მქონე კომპანია მოდის, მის ფინანსურ საქმეებს იმდენად აღარ უკვირდები. აი, სად დავუშვით ჩვენ შეცდომა. ჩვენ უდანაშაულოები ვართ."**

მაგრამ ძალზე საეჭვოა, რომ სამართალდამცავებზე ამ ტირადებმა იმოქმედოს; მით უმეტეს, რომ გასულ წელს სალა სამუშაოდ სწორედ "პარმალატში" გადავიდა და კომპანიის მაქინაციების შესახებ არც იქ დაბადებია ეჭვი. სწორედ ამიტომ "ბენქ ოფ ამერიკას" იტალიური შტოს ოფისში ახლა ჩხრეკები ტარდება.

"პარმალატის" საქმესთან დაკავშირებით უკვე 9 კაცია აყვანილი პატიმრობაში. მათ შორის, როგორც უკვე ვახსენეთ, ბოლო გახლავთ "პარმალატ ვენესუელას" ყოფილი თავკაცი ჯოვანი ბონიჩი. ეჭვები უკავშირდება ამ უკანასკნელის მოღვაწეობას ოფშორულ კაიმანის კუნძულებზე, სადაც იგი "პარმალატის" ადგილობრივ შტოს, "ბონლატს" განაგებდა და, როგორც ვარაუდობენ, მაშინ სერიოზული მაქინაციები ჩაატარა. კერძოდ, ბონიჩის მმართველობისას გაჩნდა ყალბი დოკუმენტი, რომელიც იუწყებოდა "ბონლატში" არარსებული 3,9 მილიარდი ევროს დაბანდების შესახებ.

გამოძიებას ბევრი რამის გარკვევა მოუნევს. როგორც მოგეხსენებათ, უკვე პატიმრობაშია აყვანილი თვით "პარმალატის" დამაარსებელი კალისტო ტანციც. ბოლო გამოკვლევებით, გაკოტრებული კომპანიის ვალები 13 მილიარდ ევროს აღწევს. საიდან დაგროვდა ეს თანხა, ამას, ალბათ, მალე შევიტყობთ.

ამერიკის სამიტის მოსალოდნელი შედეგები

ლევან ღირსიაშვილი

მექსიკის ქალაქ მონტერეიში ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მეთაურთა სამიტი გაიხსნა. ოცდათოთხმეტი სახელმწიფოს ლიდერმა, მათ შორის აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, დასავლეთ ნახევარსფეროს წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი პრობლემები უნდა განიხილონ. სასაუბრო და საკამათო კი მსოფლიოს ამ ნაწილში საკმაოდ ბევრია. განსაკუთრებით მწვავე პრობლემების წინაშე ლათინური ამერიკის ქვეყნები დგანან, სადაც კორუფციის მასშტაბებმა და მოსახლეობის სიღარიბემ უკვე საგანგაშო ხასიათი შეიძინა. უპირველესი მოსაგვარებელი საკითხი კი ლათინურ ამერიკის ქვეყნებს და აშშ-ს შორის გამწვავებული ურთიერთობებია, რადგანაც სამხრეთ ამერიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი თავისი სიღარიბის და განუვითარებლობის მნიშვნელოვან მიზეზად ვაშინგტონის პოლიტიკას მიიჩნევს. მოსახლეობასთან ერთად, თეთრი სახლისადმი უკმაყოფილებას სამხრეთ ამერიკის მთავრობებიც გამოთქვამენ. ამ პირობებში კი სამიტის მონაწილეებმა ერთიანი თავისუფალი სავაჭრო სფეროს შექმნის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.

"სიღარიბე უპირველესი პრობლემაა, რაც ჩვენ აუცილებლად უნდა დავძლიოთ. ამ ნახევარსფეროში ამდენი გაღატაკებული ადამიანი არასდროს ყოფილა. დღეს ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოვახერხოთ თანაბარ პირობებში ზრდის მიღწევა," - განუცხადა სამიტის მონაწილეებს ჩილეს პრეზიდენტმა რიკარდო ლაგოსმა.

სამიტის მასპინძელმა მექსიკის პრეზიდენტმა ვისენტე ფოქსმა განაცხადა, რომ სიღარიბის დაძლევის მოწოდებას უერთდება. **"უთანასწორობა და განუვითარებლობა უპირველესი უსამართლობაა, რაც დემოკრატიის არსებობას და მომავალს ჩვენს ნახევარსფეროში რეალურ საფრთხეს უქმნის. გარდა ამისა, ეს უსამართლობა თითოეული მოქალაქის ღირსებას ბღალავს,"** - განაცხადა ფოქსმა. მისი თქმით, ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის მოსახლეობის 44 პროცენტი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. **"ეს კი უდიდესი საფრთხეა, რომელიც ჩვენს დემოკრატიასა და დასავლეთ ნახევარსფეროს სტაბილურობას ემუქრება,"** - დასძინა მექსიკის პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა ბუშმა კი თავის გამოსვლაში ძირითადი ყურადღება კუბის ლიდერის ფიდელ კასტროს პრობლემაზე გაამახვილა. **"დიქტატორული რეჟიმების ადგილი ამერიკაში არ არის. კონტინენტის ყველა მოქალაქეს თავისუფალი ცხოვრების ღმერთისგან მინიჭებული უფლება გააჩნია,"** - განაცხადა ბუშმა. მან სამიტის მონაწილე ლიდერებს მოუწოდა, ხელი შეუწყონ კუბაში დემოკრატიის დამყარებას. რაც შეეხება სიღარიბის დამარცხებას, პრეზიდენტმა ბუშმა ამის უმთავრეს რეცეპტად სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაცია დაასახელა.

საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ბუშის ამ განცხადებას არცთუ აღფრთოვანებით შეხვდნენ ბრაზილიის, არგენტინის და ვენესუელის ლიდერები, რომლებიც კუბის რევოლუციის მამასთან საკმაოდ თბილ ურთიერთობებს ინარჩუნებენ. ამასთანავე, ამ ქვეყნების ხელმძღვანელებს სურთ, რომ სამიტის მუშაობის ძირითადი ყურადღება სოციალური პრობლემების მოგვარებაზე იყოს გამახვილებული. ვაშინგტონი კი მონტერეის შეხვედრის ძირითად სამიზნედ ვაჭრობის, კონტინენტის უსაფრთხოების და კორუფციის საკითხებს მიიჩნევს.

აშშ-ს და მექსიკის პრეზიდენტები

დამკვირვებელთა ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც მექსიკისა და აშშ-ს ლიდერების ორმხრივი შეხვედრა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მათ შორის არსებით საკითხებზე საკმაოდ მნიშვნელოვანი უთანხმოება სუფევდა. ვისენტე ფოქსმა კატეგორიულად არ დაუჭირა მხარი ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებას. მიუხედავად ამისა, ორივე პრეზიდენტი აცხადებს, რომ მათი უთანხმოება უკვე ისტორიის კუთვნილებაა და ახლა მექსიკას და აშშ-ს მჭიდრო თანამშრომლობა სჭირდებათ. ვისენტე ფოქსის განსაკუთრებული მოწონება პრეზიდენტ ბუშის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებულმა განცხადებამ დაიმსახურა, რომლის თანახმადაც, თეთრი სახლი მზად არის, აშშ-ში არალეგალურად მომუშავე ემიგრანტებს განსაკუთრებული კანონიერი ბაზა შეუქმნას. შეერთებულ შტატებში ხომ საკმაოდ ბევრი არალეგალურად ჩასული მექსიკელი მუშაობს. **"ამ იდეის მოსამწიფებლად გარკვეული დროა საჭირო. ჩვენთვის ცხადია, რომ ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, განსაკუთრებით, მიგრაციის ინტენსიურობის გათვალისწინებით,"** - განაცხადა ფოქსმა.

ამასთანავე, სამიტის მსვლელობის დროს, ჯორჯ ბუში შეეცადა, თავისი ინიციატივა უფრო დაეკონკრეტებინა: **"ეს გეგმა არ წარმოადგენს ამნისტიას და არ ნიშნავს, რომ დოკუმენტაციის გარეშე მომუშავე ემიგრანტებს მოქალაქეობის მიღებისაკენ გზა ავტომატურად ეხსნებათ. ჩემი წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ დროებითი მომუშავეები სამუშაოს დასრულების შემდეგ თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ. ამ ვადების შესახებ კი მე კონგრესთან აქტიურ მოლაპარაკებას გავმართავ."**

საინფორმაციო სააგენტოები მონტერეიდან იუწყებიან, რომ ამერიკის სამიტი დღის წესრიგში შესატან საკითხებთან დაკავშირებით აქტიური კამათით და უთანხმოების დაფიქსირებით დაიწყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეერთებული შტატები დაჟინებით მოითხოვს, რომ სამიტის ძირითადი ყურადღება თავისუფალი სავაჭრო ზონის საკითხებზე გამახვილდეს.

მემარცხენე პოზიციებით ცნობილი ბრაზილიის პრეზიდენტი ლულა კი თავის თანამოაზრე კოლეგებთან ერთად მიიჩნევს, რომ თავისუფალი სავაჭრო ზონა რეგიონის ურთულეს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს ვერ გადაჭრის. მათი პოზიცია ნათელია: საბაზრო რეფორმების და თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლის მიუხედავად, სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები, დაახლოებით, 200 მილიონი ადამიანი კვლავ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

ამდენად, მონტერეის სამიტის წარმატებით და რაიმე კონკრეტული შედეგებით დასრულებას დამკვირვებლები სკეპტიკურად უყურებენ.

წყალი - კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი წყარო ახლო აღმოსავლეთში

გასულ კვირას ისრაელმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ანკარა ისრაელისთვის მიწოდებული წყლის სანაცვლოდ მაღალტექნოლოგიურ იარაღს მიიღებს. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი წყლის შეზღუდული რესურსები და რეგიონის სახელმწიფოების მიერ მათი გაკონტროლების სურვილია.

თუ არიელ შარონს ექვსდღიანი ომის მიზეზების შესახებ შეეკითხებით, იგი გიპასუხებთ, რომ 1967 წლის ომი, რეალურად, ორი წლით ადრე დაიწყო. მისი თქმით, ისრაელმა პასუხი გასცა არა სირიის ტანკებს, არამედ დამასკოს მიერ გამოგზავნილ ბულდოზერებს.

ომის დაწყებამდე ორი წლით ადრე, დამასკომ უზარმაზარი არხის მშენებლობა დაიწყო, რომელიც მდინარე იორდანის ორ მთავარ შესართავს ისრაელისაკენ გზას გადაუკეტავდა. ამ არხის მეშვეობით სირია საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების მორწყვას გეგმავდა. მტკნარი წყლის ამ წყაროს გადაკეტვა ისევე ემუქრებოდა ებრაული სახელმწიფოს არსებობას, როგორც - ნებისმიერი არაბული არმია. მაშინ, არტილერიისა და ავიაციის გამოყენებით, ისრაელმა დამასკოს ამ გეგმაზე ხელი სამუდამოდ ააღებინა.

ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა 1979 წელს ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერამდე ამგვარი განცხადება გააკეთა: "ერთადერთი საკითხი, რასაც ომში ეგვიპტის კიდევ ერთხელ ჩათრევა შეუძლია, წყალია."

დაახლოებით, იგივე განაცხადა იორდანიის მეფე ჰუსეინმა, როდესაც 11 წლის წინ ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმება დადო.

გასულ კვირას თურქეთმა ისრაელთან არაორდინალურ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად, ანკარა ისრაელში ტანკერების მეშვეობით მილიონობით ტონა მტკნარ წყალს გააგზავნის, რომლის სანაცვლოდ მაღალტექნოლოგიურ იარაღს მიიღებს. რამდენიმე წლის წინ ორ ქვეყანას შორის წყალქვეშა მილსადენის აშენების პროექტი არსებობდა, მაგრამ სიძვირის გამო ორივე მხარემ ამ გეგმის განხორციელებაზე მაშინ უარი თქვა. წყლის გადასაზიდად უზარმაზარი ტანკერების აშენებაც იმდენად ძვირი ჯდება, რომ, შესაძლოა, არც ეს პროექტი განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ თურქეთი ისრაელის მოთხოვნის მხოლოდ სამი პროცენტის დაკმაყოფილებას შეძლებს.

იმის მიუხედავად, განხორციელდება ეს პროექტი თუ არა, რეგიონის სახელმწიფოებს შორის ისრაელის წყლით მომარაგებისათვის მძაფრი კონკურენცია კვლავაც გაგრძელდება, ისევე, როგორც წყლის მოწოდების წყაროებზე საკუთრების საკითხის გარჩევა, რაც პალესტინელებთან დაუსრულებელი კონფლიქტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, ხელს უშლის სირიასთან სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვას და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

რეგიონის მტკნარი წყლის სამი მთავარი წყარო – იორდანი, ტიგროს-ევფრატი და ნილოსი მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. თურქეთს, ლიბანსა და ეგვიპტეს წყლის დამატებითი წყაროები არ სჭირდებათ, რაც ხშირად მეზობლების უწყლოდ დატოვების ხარჯზე ხდება: სირია დღემდე აპროტესტებს თურქეთის მიერ მდინარე ევფრატზე კაშხლის მშენებლობას, რაც სირიის მიმართულებით წყლის მოცულობის შემცირებას გამოიწვევს.

იორდანია, ისრაელი და პალესტინის ტერიტორია, ამ თვალსაზრისით, ყველაზე უფრო დაჩაგრულები არიან. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, რეგიონში ისრაელი წყლის ყველაზე დიდი მომხმარებელია. 1967 წლიდან მოყოლებული, ისრაელი წყალზე თავის მოთხოვნილებას, ძირითადად, პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიიდან მოპოვებული რესურსებით იკმაყოფილებს. აღსანიშნავია, რომ ისრაელი თავად პალესტინელებს ამ რესურსებით სარგებლობის ნებას არ აძლევს. ისრაელისათვის წყლის მოწოდების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა გოლანის მაღლობები, რომელსაც, ამავდროულად, უზარმაზარი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს. გოლანის მაღლობებიდან დამასკო ხელისგულივით მოჩანს. გოლანის მაღლობები ისრაელმა 1967 წელს დაიპყრო.

თავად ისრაელის ტერიტორიაზე მტკნარი წყლის მარაგი მხოლოდ გალილეის ზღვაშია, სადაც წყლის დონე თანდათან კლებულობს და კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება. ექსპერტების შეფასებით, გალილეის ზღვის არსებობას მალე, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს.

ახლო აღმოსავლეთის ანალიტიკოსების აზრით, ძირითად პრობლემას ისრაელის სოფლის მეურნეობა ქმნის, რომელიც წყლის ყველაზე დიდი მომხმარებელია. თუმცა, მისი წილი ისრაელის მთლიან შიდა პროდუქტში 2.5 პროცენტს არ აღემატება. არადა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები ძალზე მნიშვნელოვან ინტერესთა ჯგუფებს ქმნიან, რომელთა გათვალისწინება ისრაელის ყველა მთავრობას უწევს.

ამ ყველაფრისთვის კი საზღაურს, რეალურად, პალესტინელები იხდიან. 1993 წლის ოსლოს სამშვიდობო შეთანხმების თანახმად, ისრაელმა დასავლეთ სანაპიროზე არსებულ წყლის რესურსებზე კონტროლი შეინარჩუნა. პალესტინელი ჰიდროლოგის ამჯად ალეივის თქმით, "ახლა, ისრაელის თანხმობის გარეშე, პალესტინელებს ერთი ჭის გათხრაც არ შეუძლიათ."

ისრაელი დასავლეთ სანაპიროზე მოპოვებული წყლის 80 პროცენტზე მეტს მოიხმარს. ამასთან ერთად, პალესტინელების წყალსაქაჩები და ფილტრები ძალზე ცუდი ხარისხისაა. სწორედ წყლის ნაკლებობა და ცუდი ხარისხი განაპირობებს პალესტინელებს შორის უამრავი ეპიდემიისა და დაავადების არსებობას. სიტუაცია ყველაზე კრიტიკულია ღაზას სექტორში, სადაც ისრაელი უსაფრთხოების კედელს აშენებს, რომელმაც ებრაული და არაბული დასახლებები ერთმანეთისაგან უნდა გამიჯნოს. პალესტინელები მას აპარტეიდის კედელს უწოდებენ. მათი თქმით, კედელი იმგვარად შენდება, რომ მტკნარი წყლის წყაროების უმრავლესობა სწორედ ისრაელის მხარეს მოექცეს.

გაერო-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ "ისლამონლაინისათვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ წყალი ისრაელსა და პალესტინას შორის შეთანხმებას ყველაზე დიდ დაბრკოლებას უქმნის. "წყალი ისრაელის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. ებრაელებს თავად დაპყრობილი ტერიტორიები კი არა, არამედ ამ ტერიტორიებზე არსებული წყალი აინტერესებთ."

თავის მხრივ, სირია ისრაელის მიერ ოკუპირებული გოლანის მაღლობების დაბრუნებაზე ხელის აღებას არ აპირებს, რაც რეგიონში დაძაბულობას ზრდის.

ექსპერტების ერთი ნაწილის თქმით, ისრაელსა და იორდანიას შორის დადებული ხელშეკრულება, შესაძლოა, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში მოდელად გამოდგეს. ამ ხელშეკრულებაში დეტალურად არის განერილი მხარეების უფლება-მოვალეობები და წყლის ის მოცულობა, რომელიც ყოველწლიურად ისრაელის ტერიტორიის გავლით იორდანიას უნდა მიეწოდოს.

დაზვერვის საკითხებში ისრაელის მთავრობის ყოფილი მრჩეველის მარტინ შერმანის აზრით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად "ისრაელმა არაბების ალტრუიზმის უნდა იწამოს, უნდა დაიჯეროს, რომ არაბები ზოგჯერ საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოიქცევიან, რათა ისრაელის ჰიდროლოგიური მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ. მე ვერ წარმომიდგენია, რანაირად უნდა მოხერხდეს ეს".

გარდიანი

თურქმენბაში იარაღს აჭიდარუნებს

მარიამ დურდიევა
IWPR

ბოლო წლებში თურქმენეთი გამუდმებით ხდება საერთაშორისო კრიტიკის ობიექტი, ხან ადამიანის უფლებათა დარღვევის, ხან პრესის თავისუფლების შეზღუდვის, ხან პიროვნების კულტის დამკვიდრების, ხან რის და ხან რის გამო. თურქმენბაში საერთაშორისო ზეწოლას შეიარაღებული ძალების მოდერნიზებით პასუხობს.

ნიაზოვმა არმიის აღმშენებლობა მას შემდეგ დააჩქარა, რაც რუსეთთან ურთიერთობები გაუფუჭდა და რაც სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაამხეს. პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის თქმით, მას შემდეგ, რაც სადამის ქანდაკების დამხობა ნახა, ნიაზოვი ერთი კვირა არავის ელაპარაკებოდა და ძალიან ცუდ ხასიათზე იყო. მთელი თურქმენეთი ნიაზოვის გრანდიოზული ქანდაკებებითა და სურათებით არის მოფენილი.

თურქმენეთზე საერთაშორისო ზეწოლის კულმინაცია იყო გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 2003 წლის ნოემბერში მიღებული რეზოლუცია, რომელმაც ეს ქვეყანა ადამიანის უფლებათა და პრესის თავისუფლების შეზღუდვის გამო მკაცრად დაგმო. რეზოლუციას გაერო-ს წევრი ქვეყნების უმეტესობამ დაუჭირა მხარი, მაგრამ აშხაბადს ყველაზე ცუდად რუსეთის მხარდაჭერა ენიშნა. რუსეთი თურქმენული გაზის გასაღების მთავარ ბაზარს და ქვეყნისათვის მყარი ვალუტის მთავარ წყაროს წარმოადგენს.

თურქმენეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები მას შემდეგ დაიძაბა, რაც აშხაბადმა თურქმენეთში მცხოვრებ რუსებს მოსთხოვა, ან რუსეთის მოქალაქეობაზე ეთქვათ უარი, ან ქვეყანა დაეტოვებინათ.

ნიაზოვი სახელმწიფო დეპარტამენტმაც მკაცრად გააკრიტიკა ადამიანის, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დარღვევისა და ოპოზიციისა და თავისუფალი მედიის შევიწროების გამო. ვაშინგტონმა განაცხადა, რომ თუ ვითარება არ შეიცვლება, იგი თურქმენეთის წინააღმდეგ სანქციების დანესებასაც არ გამორიცხავს.

ყველაზე უფრო მწვავე კი ევროპარლამენტის რეზოლუცია იყო, რომელშიც ნათქვამია: "ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ისედაც მძიმე ვითარება ბოლო ხანს კიდევ უფრო გაუარესდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ შუა აზიურ სახელმწიფოში შეიქმნა ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ტოტალიტარული სისტემა."

ცენტრალური აზიის სპეციალისტების აზრით, იმის ნაცვლად, რომ პრობლემების გამოსწორება ეცადა, თურქმენბაშიმ მთელი ყურადღება არმიის გაძლიერებაზე გადაიტანა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ 1996 წელს თურქმენეთი მანვე გამოაცხადა ნეიტრალურ სახელმწიფოდ.

საზღვარგარეთ იარაღის მასობრივმა შესყიდვებმა და ჯარისკაცთა რაოდენობის განუხრელმა ზრდამ, თურქმენეთი შეიძლება რეგიონის უმსხვილეს სამხედრო ძალად აქციოს. ამჟამად, ამ მხრივ რეგიონის უპირობო ლიდერი უზბეკეთია.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ქვეყნის საჰაერო ძალების მოდერნიზაციაზე. საქართველოში კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა 22 თურქმენულ ავიაგამანადგურებელს, აქვე იყიდეს კიდევ ორი თვითმფრინავი.

შეიქმნა საჰაერო თავდაცვის ახალი სისტემა. უკრაინაში შეიძინეს თანამედროვე სარადარო სისტემა, რომელიც მოწინააღმდეგის აღმოჩენის საშუალებას იძლევა ჰაერშიც და ხმელეთზეც, თანაც ისე, რომ მონინააღმდეგე ვერ ხვდება, რომ მიაგნეს. ამავე დროს, აშხაბადმა საკუთარ ტერიტორიაზე რუსული ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტების განთავსებაზე ცივი უარი განაცხადა.

არმიაში გატარდა სტრუქტურული ცვლილებები. უმაღლესი ჩინის ოფიცერთა თითქმის მთელი შემადგენლობა, მათ შორის - შტაბების უფროსები, დაითხოვეს. ორჯერ გაიზარდა გაწვევა და, შედეგად, არმიას ყოველ წელიწადს 100 ათასი ახალწვეული ემატება.

საზღვაო საზღვრის დაცვისათვის ასევე უკრაინიდან შეიძინეს საპატრულო კატარღები, ირანიდან გრძელვადიანი იჯარით აიღეს უფრო მსხვილი კატარღები.

ეს ყველაფერი კი თურქმენეთის მეზობლების გარდა, არ შეიძლება არ აწუხებდეს აზერბაიჯანს, რომელთანაც აშხაბადს ტერიტორიული პრეტენზიები აქვს - მეზობლები კასპიის ზღვის შუაგულში მდებარე საბადოს ვერ იყოფენ.

გაძლიერდა სახმელეთო საზღვრების დაცვა. ეკლიანი მავთულებით გადაიღობა მთელი საზღვარი უზბეკეთთან. გაიზარდა სასაზღვრო ჯარების რაოდენობა.

უზბეკეთთან ურთიერთობები გაუარესდა 2002 წელს, მას შემდეგ, რაც ნიაზოვმა მასზე განხორციელებულ თავდასხმაში ტაშკენტი დაადანაშაულა. უზბეკეთს, თურქმენეთისაგან განსხვავებით, სერიოზული "პატრონი" ჰყავს აშშ-ს სახით, რომელიც ტაშკენტს ტერორიზმის წინააღმდეგ ომში თავის მოკავშირედ აცხადებს.

"გაზპრომმა" ბელარუსს გაზის მიწოდება შეუწყვიტა

ახალი წლიდან "გაზპრომმა" ბელარუსს გაზის მიწოდება შეუწყვიტა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ მოსკოვმა და მინსკმა "ბელტრანსგაზის" მომავლის შესახებ შეთანხმების მიღწევა ვერ შეძლეს. რუსეთს სურს, რომ ერთობლივი რუსულ-ბელარუსული კომპანია შეიქმნას, რომელსაც "ბელტრანსგაზი" მართვაში გადაეცემა. ლუკაშენკო გაზსადენების სისტემას 5 მილიარდ დოლარად აფასებს, გაზპრომი კი მასში მხოლოდ 600 მილიონს იხდის.

რუსული წყაროების ცნობით, ბელარუსს წელიწადში 20 მილიარდი კუბური მეტრი გაზი სჭირდება. აქედან 2 მილიარდს მას "იტერა" და "ტრანსნაფტა" მიაწვდიან, "გაზპრომი" კი მხოლოდ 10 მილიარდის მიწოდებას აპირებს და ისიც მას შემდეგ, რაც "ბელტრანსგაზის" ბედი გადაწყდება.

ვაი, ბაზრის დირექტორებს

"თბილისი "ჭ" კატეგორიის ქალაქს დაემსგავსა. ხვალინდელი დღიდან, როცა საკრებულოს თავჯდომარე მივა და ნახავს, რომ ბაზრობების ირგვლივ არის ანტისანიტარია, გაუვალი გზები, მე პასუხს მოვთხოვ ბაზრის ადმინისტრაციას და ეს არ იქნება თავზე ხელის გადასმა. ბაზრის დირექტორებს არანაირი წილები არ გექნებათ არსად მისატანი, რაც წინა ხელისუფლების პერიოდში იყო. კეთილი ინებეთ და თავად აიღეთ ხელში ნიჩაბი, ცოცხი და პრობლემა მოაგვარეთ, " – ამ სიტყვებით მიმართა საკრებულოს ახალმა თავჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა თბილისის ბაზრის დირექტორებს და პრობლემის მოსაგვარებლად ორი დღე მისცა.

თამარ დვალი

მართალია, თბილისის საკრებულოს ახალი თავჯდომარე ბატონი ზაზა ბეგაშვილი თბილისელია, მაგრამ მას ბაზრის მიმდებარე ტერიტორიებზე შექმნილი ანტისანიტარიული მდგომარეობა ახლახანს, ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ქუჩებში ფეხით სიარულისა და ხალხთან გასაუბრების დროს შეუმჩნევია. ბეგაშვილმა თავისი მიმართვა ბაზრის დირექტორების მიმართ საკმაოდ მკაცრი ტონით დაიწყო: **"მე მოვითხოვ, რომ პრობლემა ორ დღეში იქნას გადაჭრილი, თორემ არცერთი თქვენთაგანი თავის ადგილზე არ დარჩება. გამობრძანდით თქვენი თბილი კაბინეტებიდან და შეხედეთ, რა მდგომარეობაა თქვენი ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებზე."**

არანაკლებ მკაცრი გამოსვლა ჰქონდა საკრებულოს ვიცე პრემიერს კახა შენგელიას. მან კონკრეტული ფაქტები მოიშველია და განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინათ, თბილისში ბოტულიზმით სამი მოქალაქე გარდაცვლილა. მათ ბაზარში კუსტარულად დამზადებული კონსერვი შეუძენიათ. **"ერთი ოჯახიდან სამი ადამიანი გარდაიცვალა კუსტარულად დამზადებული კონსერვით. ბოტულიზმი აღმოაჩნდა კიდევ 10 მოქალაქეს და ამაში ბაზრების ადმინისტრაციაა დამნაშავე. ბაზრები სავსეა კუსტარულად შებოლილი თევზებით. იყიდება ოჯახში დამზადებული კონსერვები, რაც აკრძალულია. მიმდებარე ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება ხომ საგანგაშოა. ერთი მანქანა ხრეში მაინც მიიტანეთ თქვენი ბაზრების წინ და შეაკეთეთ დანგრეული გზები, "** – განაცხადა შენგელიამ.

საკრებულოს თავჯდომარისა და ვიცე პრემიერის მკაცრ გამოსვლებს ბაზრის დირექტორები კატეგორიულად არ დაეთანხმნენ და ხელი პოლიციისკენ გაიშვირეს. **"აბსოლუტურად არ ვეთანხმები დღეს წაყენებულ ბრალდებებს. ქუჩაში გარე მოვაჭრეებს პოლიცია და გამგეობის წარმომადგენლები აყენებენ. მე როგორ მოვიქცე, მითხარით, გამგეობას დავუპირისპირდე თუ პილიციას? ჩემს კომპეტენციაში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი არ შედის. იქ პოლიციას დიდი მაფია აქვს და მე ვერაფერს გავხდები. გარეთ რომ ვაჭრობა აიკრძალოს, ეს ჩემს ინტერესებში ყველაზე მეტად შედის. 600 ადგილიან ბაზარში 100 კაცი დგას. გარეთ უფრო ეყიდებათ და შიგნით შემოსვლა აღარავის უნდა. ეს პრობლემა მოაგვარონ და მე ნიჩბის ხელში დაჭერას და გზის შეკეთებას არ ვითაკილებ,"** – განაცხადა ნავთლუღის ბაზრის დირექტორმა შოთა ოთიურიძემ, რომლის მოსაზრებასაც თითქმის ყველა ბაზრის დირექტორი დაეთანხმა.

შექმნილ ვითარებაში ადმინისტრაციული პოლიცია დაადანაშაულა სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილემ ირაკლი გიორგობიანმაც :

"პოლიცია დაინტერესებულია იმით, რომ გარე ბაზრობა არსებობდეს. ისინი აქედან წილებს იღებენ. ანტიკორუფციულ ჯგუფთან ერთად ვმუშაობდი და ქალაქის მასშტაბით რომ გადავიანგარიშეთ, გარე ვაჭრობიდან რა თანხები იკრიბებოდა, ეს დაახლოებით 11 მილიონ ლარს უდრიდა. აქედან 600 ათას ლარს ადმინისტრაციულ პოლიციას უხდიდნენ გარე მოვაჭრეები."

ავლაბრელებს „ტუზი დაეცათ"

ნანა ქადაგიძვილი

"ეს რა ტუზი დაგვეცა, ტო, ავლაბარი ყველაზე პრესტიჟული უბანი გახდება, სინათლეც გვექნება, წყალიც, ქუჩებსაც გაგვიკეთებენ," – ეუბნებოდნენ გახარებული ავლაბრელები გუშინ პრეზიდენტის მომავალი რეზიდენციის მოსანახულებლად მისულ ქალაქის მერსა და მთავარ არქიტექტორს. პრეზიდენტის რეზიდენციის ისტორიულ უბანში მოწყობის იდეას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტებიც იწონებენ, თუმცა, იდეის განმახორციელებელთა კეთილსინდისიერება აეჭვებთ.

"როდის გადაიხედავს აქედან პრეზიდენტი?"

გიორგიძა ბასიანის ფოტო

დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში, ბარათაშვილის ქიმზე შემომართულ უზარმაზარ შენობას, სადაც ამჟამად თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოა განლაგებული, ცოტა ხანში, ალბათ, ვეღარ იცნობთ. არა მხოლოდ ეს შენობა, არამედ მისი მიმდებარე ტერიტორია მთლიანად შეიცვლება. მართალია, სარეზიდენციო შენობის პროექტი ჯერ არ გაკეთებულა, მაგრამ ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა ირაკლი როსტომაშვილმა დაახლოებითი მონახაზი მაინც გააკეთა. 1800 კვადრატული მეტრის შენობას ბოლო პერიოდში მიშენებული, განსაკუთრებით ავარიული ნაწილი ჩამოეშლება, საძირკველი გამაგრდება, სახურავი გადაიხურება, საკომუნიკაციო სისტემა გაკეთდება. ეზოში განთავსებული გეოდეზიურ-კარტოგრაფიული ფონდისა და სტამბის შენობებიც დაიცლება. ბარათაშვილის ქიმის თავზე კი პარკი გაშენდება. **"ეს პარკი მხოლოდ პრეზიდენტის კი არა, ყველასი იქნება. სააკაშვილს ყოველთვის უნდოდა, რომ ხალხის გვერდით ყოფილიყო,"** – განაცხადა როსტომაშვილმა.

კეთილმოწყობა-არქიტექტურის სამსახურების ხელმძღვანელებითა და ჟურნალისტებით გარშემორტყმულმა ქალაქის მერმა შენობის ყოველი კუთხე-კუნჭული დაათვალიერა. **"თქვენ ისტორიულ ოთახში იმყოფებით, პრეზიდენტის მომვალი კაბინეტი, ალბათ, აქ იქნება,"** – ივარაუდა სამმართველოს უფროსის კაბინეტში შესულმა ზოდელავამ. უპატრონოდ და უავეჯოდ მიტოვებული უზარმაზარი დარბაზის მომავალი კი ჟურნალისტებმა იწინასწარმეტყველეს, აი, სხდომათა დარბაზიც ვიპოვეთო. საერთოდ კი, შენობის ინტერიერი ისეთ მდგომარეობაშია, დღეს მისი პრეზიდენტის რეზიდენციად წარმოდგენა ცოტა ძნელია. საძირკვლისა და კედლების გამაგრების შემდეგ, შენობის დაკლაკნილი, ვიწრო დერეფნები და პატარ-პატარა ოთახები, ალბათ, საფუძვლიანად გადაკეთდება, მაგრამ გარე ფასადი, როგორც ქალაქის ხელმძღვანელობა აცხადებს, ნაკლებად შეიცვლება.

ქალაქის ხელმძღვანელი პირების სტუმრობითა და საკუთარი მომავლით დაინტერესებული ავლაბრელები ზოდელავას კუდში დაყვებოდნენ და მის ნათქვამს ჟურნალისტებზე ნაკლები ინტერესით როდი ისმენდნენ. მათ შორის ის ქალბატონიც გამოჩნდა, რამდენიმე დღის წინათ ბარათაშვილის ქიმზე შემომდგარ შალვა ნათელაშვილს რომ კუდით ქვა ასროლინა. **"ასეთი შანსის ხელიდან გაშვება იქნება? უბანი დასუფთავდება, განათდება. ნათელაშვილს ვინ ჰკითხავს, პრეზიდენტი საიდან გადმოიხედავს,"** – ამჯერადაც აქტიურობდა ქალბატონი. ავლაბრელთა შორის ისეთებიც იყვნენ, პრეზიდენტობის მეზობლობამ რომ შეაშინა. რეზიდენციას ჩვენი სახლებიც არ მიაყოლონო, ამბობდნენ, მაგრამ ზოდელავამ და როსტომაშვილმა შეშინებული მოქალაქეები დაამშვიდეს. **"რეზიდენციის მოწყობა მოსახლეობას არანაირად არ დააზარალებს. რეზიდენცია მხოლოდ პოლიციის სამმართველოს, სტამბისა და გეოდეზიურ-კარტოგრაფიული ფონდის შენობებს დაიკავებს. ამ შენობებში განთავსებულ უწყებებს კი უკეთეს, უფრო მყარ შენობებს მოვუძებნით. მოსახლეობას კი არც გაასახლებენ და არც შეავიწროებენ, პირიქით, ავლაბარი პრესტიჟულ უბნად იქცევა, ინვესტორები დაინტერესდებიან და დანგრეულ სახლებსაც ეშველება,"** – განაცხადეს მათ. თუმცა, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS) სწორედ ეს საკითხი აფიქრებს.

"ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, რომ ქალაქის ამ ნაწილმა ახალი ფუნქცია შეიძინოს. არც იმას უარვყოფთ, რომ ყოფილი "გაის" შენობა რეკონსტრუქციას ექვემდებარება და მშვენივრად შეიძლება მისი ადაპტაცია. უბრალოდ, ქალაქის არქიტექტურის სამსახური ქალაქის ისტორიულ უბანში პრეზიდენტის რეზიდენციის მოწყობის ინიციატივით ისე გამოვიდა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტებს აზრი არ ჰკითხა. ეს არის მკაცრი დაცვითი ზონა და ნებისმიერი აქტიური ჩარევის კონცეფცია უნდა იყოს ძეგლთა დაცვის სამსახურებთან განხილული და შეთანხმებული," – აცხადებს არიქიტექტორ-რესტავრატორი ნატო ცინცაბაძე. ქალაქპროექტის დირექტორი ნანა ცომაია კი გვარწმუნებს, რომ ავლაბრის რეკონტრუქციის გეგმა ჯერ კიდევ 80-იან წლებში შეიმუშავეს და თუკი რეზიდენციის მოწყობის შემდეგ, ამ უბნით ინვესტორები დაინტერესდებიან, ყველაფერი აღნიშნული გეგმის მიხედვით გაკეთდება.

სიყვარული ჩემია, სიცოცხლე კი შენი

თამარ დვალი

"თოვლი მინდა და არ მოდის თოვლი..." ეს ფრაზა გუშინ უნივერსიტეტის გაყინულ სააქტო დარბაზში ამოვიკითხე 11 წლის ნიკა მელქაძის ლექსების კრებულიდან. თუმცა ამ დროს თბილისში უკვე კარგად თოვდა.

ნიკა და მისი თანატოლები გუშინ ქალთა საქველმოქმედო კავშირ "დედის კალთის" პრეზიდენტმა ირმა ვაჩეიშვილმა და მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებმა საახალწლო კონცერტზე მიიწვიეს. ეს ის 600 ბავშვია, რომლებსაც საზოგადოებაში მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს ეძახიან.

ნიკა 4 წლიდან წერს ლექსებს. როგორც თავად აღნიშნა, მის პოეზიაში სიყვარულის თემატიკა სჭარბობს. ნიკას უკვე დიდი ხანია, თოვლის ბაბუის აღარ სჯერა. თუმცა, ახალ წელს მაინც დიდი ხალისით ხვდება. პატარა პოეტის ყველაზე დიდი ოცნება კომპიუტერის შეძენა ყოფილა და მას ეს ოცნება ახლახან, პრეზიდენტის სტიპენდიის წყალობით აუსრულებია.

მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში საკმაოდ ციოდა, ადგილები მაინც შევსებული იყო. როგორც ირმა ვაჩეიშვილმა გვითხრა, მათი ორგანიზაცია, შექმნის დღიდან, ამ კატეგორიის ბავშვებზე ზრუნავს. "დედის კალთა" მსგავს კონცერტებს ყოველი წლის 13 იანვარს უწყობს პატარებს. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა გუშინდელი საღამოსთვის შვიდი ათასი ლარი გამოყო. როგორც ამ სამსახურის უფროსმა დავით პავლიაშვილმა გვითხრა, მომავალი წლიდან ბიუჯეტში უფრო მეტი თანხები ჩაიდება და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ, ზაფხულში დაისვენონ.

"ჩვენ კასპში ვცხოვრობთ და სახელმწიფოსგან არანაირ დახმარებას არ ვღებულობთ. კარგი იქნება, თუ რაიონებსაც მიხედავენ და ცოტაოდენ შეღავათებს მაინც დაგვიწესებენ. 10 წლის შვილი მყავს და ჯერჯერობით წერა კითხვაც ვერ ვასწავლე. მას, წესით, მასწავლებელი უნდა აკითხავდეს სახლში. იქნებ ამ ახალმა მთავრობამ მაინც მოგვხედოს, " – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ერთ-ერთმა მშობელმა თამარ გაბოძემ.

ახლა კი ნიკას ლექსსაც მოვუსმინოთ:

"სიყვარული ჩემია, სიცოცხლე კი შენი,
ადრე რომ არ დავბერდეთ, გვინდა ბევრი ფერი,
ბინდდება, მზე ჩადის - სიყვარულის დევნით,
ამ სიცოცხლის სანაცვლოდ, შენ სიყვარულს ელი
შენთვის დამიფენია სიყვარული ფერხთით
ყველა ბოროტებისგან დაგვიფარავს ღმერთი."

ჯერ კანონი, მერე დანგრევა

როგორც ძეგლთა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე ლეილა თუმანიშვილი აცხადებს, თბილისში, შავთელის ქუჩის №22-24-ში მდებარე ავარიულ სახლს მანამ არ დაანგრევენ, ვიდრე მეპატრონე კანონის მოთხოვნებს არ შეასრულებს და უსაფრთხოების დაცვაზე არ იზრუნებს. შენობის ახალმა მფლობელმა, რომელმაც ის ძველი მეპატრონეებისგან რამდენიმე თვის წინათ შეიძინა, სახლის დაშლა უკანონოდ დაიწყო. შენობის დაშლა, თუ ის მწვავედ ავარიულია და ახლო მაცხოვრებლებს საფრთხეს უქმნის, დაშვებულია მხოლოდ კულტურის მინისტრის ნებართვის საფუძველზე. აღნიშნული შენობის მფლობელს ეს ნებართვა აღებული არ ჰქონდა. გარდა ამისა, შენობის დაშლისას, ის დამცავი კედლით უნდა იყოს შემოღობილი, რაც აგრეთვე არ იყო შესრულებული. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ პროექტის თანახმად, ეს შენობა, რომელიც არქიტექტურულ ძეგლად ითვლება, თავდაპირველი სახით უნდა აღდგეს.

მედია-ნიუსი

"სანტე კლაუსის" საშობაო მოგზაურობა

ყველასათვის ცნობილმა კომპანია "სანტემ" საშობაოდ გადაწყვიტა ბავშვებისთვის კიდევ ერთი დიდი სიურპრიზი მოეწყო და მათთან საჩუქრებით დატვირთული "სანტე კლაუსი" გაუშვა. "სანტე კლაუსი" პირველად მივიდა დიღმის ბავშვთა სახლში, შემდეგ კი თავის მეგობრებთან ერთად მოიარა მრავალი ეზო და გაახარა ყველა ბავშვი.

მას ბავშვებისთვის მიჰქონდა ქოთანში ჩარგული ცოცხალი ნაძვის ხე და საჩუქრები. ნაძვის ხეს ყველა ერთად რთავდა და იწყებოდა ცეკვა, თამაში, სიმღერა და ლექსის თქმა. "სანტე კლაუსთან" შეხვედრის დღესასწაული საჩუქრების დარიგებით მთავრდებოდა, რომელშიც იყო "სანტეს" პროდუქცია, სხვადასხვა სათამაშოები, ტკბილი ნუგბარი და წვენები.

"სანტე კლაუსი" ამბობდა, რომ იგი გამოაგზავნა ბოჩოლა სანტემ. ბოჩოლა არის "სანტეს" ახალი სიმბოლო. "სანტეს" შესახებ არსებობს ერთი ძველი ლეგენდა – დიდი ხნის წინათ უცხოელები ჩამოვიდნენ საქართველოში და დმანისის ტერიტორიას ათვალიერებდნენ. ერთ-ერთი უცხოელის ბიჭმა მალე მოიწყინა და ავად გახდა. ექიმებმა რომ ვერაფერი გაუგეს, გადაწყვიტეს დმანისის რძე დაელევნებინათ, როგორც ყველაზე სასარგებლო რძე საქართველოში. დალია თუ არა იმ ბავშვმა, მაშინვე გამოკეთდა. დიდებმა კი აღტაცებით შესძახეს - "სანტე, სანტე!" – რაც ფრანგულად ჯანმრთელობას ნიშნავს. ამის შემდეგ დმანისის რძე გამოიყენება გემრიელი და სასარგებლო "სანტეს" პროდუქციის წარმოებაში.

ასეთი სიურპრიზი მოუწყო ნატურალური რძისა და წვენების მწარმოებელმა კომპანია "სანტემ" თბილისელ ბავშვებს, რომლებიც "სანტესგან" მომავალშიც მრავალ სიურპრიზს უნდა ელოდნენ. "სანტეს" გადაწყვეტილი აქვს, რომ ამიერიდან ხშირად გამოჩნდეს თბილისის ქუჩებსა და ეზოებში და გაახაროს პატარები.

"სანტე კლაუსი" დიდუბეში.

ძველი პოლისებიც ძალაშია და ახლის გაცემაც მიმდინარეობს

ზაზა ფაჩუაშვილი

გასული წლის მუნიციპალურ პროგრამებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა "სასწრაფო სამედიცინო მომსახურების საქალაქო პროგრამა", რომელიც ერთმანეთის დაუძინებელ მტრებს – "ლეიბორისტებსა" და "ნაციონალებს" შორის პოლიტიკური დებატების საგნადაც იქცა. აღნიშნული პროგრამის ფორმატის თაობაზე ორივე პარტიას თავისი ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ "ნაციონალებმა" იმარჯვეს და დედაქალაქში უფასო "03"-ს იდეოლოგებისა და განმახორციელებლის ფრიად მომგებიანი სახელი დაიმკვიდრეს.

უფასო სასწრაფოს შემდეგ გამოძახებები გაორმაგდა.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ბიუჯეტის კრიზისისა და დაუსრულებელი დებატების გამო უფასო სასწრაფო დახმარების საქალაქო პროგრამა 18 სექტემბერს დაიწყო.

ამ მომსახურების მიღების მსურველ თბილისის მაცხოვრებელს ადგილობრივ პოლიკლინიკაში უნდა აეღო სპეციალური ინდივიდუალური ბარათი, რომლის აღება სრულიად უფასოა. სწორედ ამ ბარათის მფლობელს ენიჭებოდა სასწრაფოს სამი უფასო გამოძახების უფლება. ბარათის გამოყენება ოჯახის სხვა წევრს არ შეეძლო. მოქალაქის მიერ ბარათის ამოწურვის შემდეგ გამოძახება ფასიანი ხდებოდა და 6 ლარი ღირდა.

პოლისიანი პაციენტების გარდა "03"-ის მომსახურება უფასო იყო შემდეგი შემთხვევების დროსაც:

- ყველა სახის ქუჩის შემთხვევა,
- მასობრივი უბედური შემთხვევა,
- ავტოსატრანსპორტო შემთხვევა,
- ბავშვები 0-16 წლამდე,
- უგონო მდგომარეობა,
- სხეულის მძიმე დაზიანება, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას,
- სამამულო ომის მონაწილე და მთთან გათანაბრებული პირი,
- ხანდაზმულების მომსახურება (90 წლის ზემოთ),
- მშობიარე ქალის გადაყვანა სამეანო დაწესებულებაში. აღნიშნულ შემთხვევებში ბარათი საჭირო არ არის და, ცხადია არც იმას აქვს მნიშვნელობა მოქალაქე თბილისელია თუ არა.

ეს ყველაფერი იგივე დარჩა, ოღონდ ახალი წლის დასაწყისში წარმოიშვა ორი კითხვა: ძალაშია თუ არა შარშანდელი გამოუყენებელი პოლისები და რა ეშველება მათ, ვინც სამი უფასო გამოძახების პოლისი ბოლომდე ამოწურა.

კითხვებზე პასუხობს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე არჩილ მორჩილაძე:

"ეს კითხვები, პრინციპში, არ უნდა წარმოშობილიყო, ვინაიდან ჩვენმა საქალაქო სამსახურმა უკვე გააფრთხილა ყველა პოლიკლინიკა და აუხსნა, რომ ძველი, გამოუყენებელი პოლისებიც ძალაშია და ახალი ინდივიდუალური მომსახურების ბარათების გაცემაც უნდა დაიწყონ".

პროგრამის მიმდინარეობისა და ახალი სასწრაფო მანქანების მდგომარეობის შესახებ ვესაუბრეთ "03"-ის მთავარ ექიმს დავით გველესიანს.

- როგორ იმუშავა შარშანდელმა მუნიციპალურმა პროგრამამ?

- პროგრამამ საკმაოდ კარგად იმუშავა. ერთადერთი, რაც მას სჭირდება სათანადო ფინანსური დახმარებაა, რათა პროგრამამ იარსებოს და უფრო განვითარდეს.

იმდენი საბიუჯეტო დავალიანება დაგვიგროვდა, რომ აპირებენ ჩვენს ანგარიშს ყადაღა დაადონ.

ეს შეფერხება წარმოიშვა ცნობილი მოვლენების დროს, ამიტომ იმედია, რომ ყველაფერი გამოსწორდება თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსების შეფერხებას პროგრამის შეფერხება, ჯერჯერობით, არ გამოუწვევია.

დღე-ღამის განმავლობაში საშუალოდ ვასრულებთ 300-320 გამოძახებას. აქედან ნახევარზე მეტი მოდის უფასო გამოძახებებზე. ქალაქს 30 მანქანით ვემსახურებით.

- მანქანები რა მდგომარეობაშია?

- მათ შორისაა ძველი "ჰიუნდაებიც", რომლებიც 7 წელია მუშაობენ და ისევ მწყობრში არიან. მე თვითონაც მიკვირს, მაგრამ ძალიან გამძლე მანქანები ყოფილა. რაც შეეხება ოც ახალ მანქანას, ჯერჯერობით, მუშაობენ. რუსული მანქანების კვალობაზე არა უშავთ, მაგრამ არა მგონია, 2-3 წელზე დიდხანს გაძლონ.

რაც შეეხება "03"-ს ანგარიშის დაყადღებას, არჩილ მორჩილაძის განცხადებით, საქალაქო სამსახური ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქმე აქამდე არ მივიდეს.

სასწრაფო დახმარების პროგრამა პრიორიტეტულია და, პირველ რიგში, მას დავაფინანსებთო, განაცხადა მორჩილაძემ.

მიუსაფარ ბავშვებს სამუშაოს სთავაზობენ

ნონა მაისურაძე

ბევრმა, ალბათ, არც კი იცის, რომ ნუცუბიძის ფერდობზე SOS ბავშვთა სოფელი "თბილისი" არსებობს. მისი მშენებლობა 1992 წელს დაიწყო და 1996 წლის ოქტომბერში პატარებს აქ ცხოვრების შესაძლებლობა მიეცათ. თქვენი თვალით რომ ნახოთ ეს გონიერი და მშვენიერი პატარები, მიხვდებით, რომ მათაც აქვთ სრული უფლება, საზოგადოებაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ.

აქ თორმეტი ოჯახია, თითოეულ მათგანში შვიდი სხვადასხვა ასაკის ბიჭი და გოგონა ცხოვრობს. ჰყავთ "დედა", დეიდა, პედაგოგი. ბავშვები ჩვეულებრივ სკოლებში, მხატვრულ სტუდიებსა თუ სპორტულ ჯგუფებში დადიან. სოფელში სულ 82 ბავშვი ცხოვრობს. ბავშვთა სოფელი რეგულარული მიზნობრივი შემოწირულობებით ფინანსდება, მატერიალური უზრუნველყოფა შეფობის მეშვეობითაც ხდება. ორგანიზაციის პრეზიდენტი ქალბატონი კირა მიქელაძეა.

"თბილისს" საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ თანადგომა აღმოუჩინა და მათი დახმარებით დასაქმდება თოთხმეტი ბავშვი. ისინი სკოლის დამთავრების შემდეგ უგზო-უკვლოდ უნდა გაფანტულიყვნენ და ქუჩის მაცხოვრებელთა იმ რიგებს შეერთებოდნენ, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდებიან.

"ჯი და ჯი", "ფოლკსვაგენი", "ყუმური", "ინტერტური", "საზღვაო ბანკი", "ვალენსია", ვაგონშემკეთებელი ქარხანა, "ალდაგი", "საქთხევადგაზი", "ბერუკა", "თბილგვირაბმშენი", "დიო", საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია - ეს ის ორგანიზაციებია, სადაც ახალგაზრდები დასაქმდებიან. ამ ფირმების ხელმძღვანელებმა პასუხისმგებლობა აიღეს უმწეო ბავშვებზე და მათი მომავალი განსაზღვრეს.

ამერიკელები - ფინანსურ დახმარებას, შინაგან საქმეთა მინისტრი კი კრიმინალებისგან გაწმენდას გვპირდება

თამარ კაკიტაძე

გია ბარამიძეს ლინ პასკო შეხვდა.

თეიმურ სხირტლაძისა და ოთარ ფოფხაძის ფოტოები

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში დიდი სტუმრიანობა იყო. თავდაპირველად, სამინისტროს ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ჰუსეინ ამინიან თუსი ესტუმრა. ელჩის სტუმრობის მიზანი, იმ ქართველი მაშველებისთვის მადლობის თქმა იყო, რომლებმაც მიწისძვრით დაზარალებულ ირანელებს, საკუთარის სიცოცხლის ფასად, მძიმე დღეებში დახმარება გაუწიეს.

ირანის ქალაქ ბამში დეკემბერში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ საქართველოდან 24 ქართველი მაშველი, აქედან, ორი ექიმი წავიდა. მართალია, შს სამინისტროს საგანგებო სიტუაციის მთავარი სამმართველოს ცენტრალური საავარიო სამაშველო ასეულის უფროსის ელგუჯა ჯავრიშვილის თქმით, ქართველმა მაშველებმა ნანგრევებიდან ვერც ერთი ცოცხალი ადამიანის ამოყვანა ვერ შეძლეს, მაგრამ, როგორც ამინიან თუსმა შეხვედრაზე აღნიშნა, ქართველების დახმარება ირანელებისთვის ფასდაუდებელია. სწორედ აღნიშნული დახმარებისთვის ირანის ელჩმა 24-ვე ქართველი მაშველი საპატიო სიგელით და საჩუქრებით (მიწის თხილით და "რაფაელოთი") დააჯილდოვა.

ირანის ელჩის გამგზავრებიდან, რამდენიმე წუთში შინაგან საქმეთა სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლინ პასკო და აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩად მაილსი ეწვია. შეხვედრა შს მინისტრის კაბინეტში ერთი საათის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, რის შემდეგაც სტუმარმაც და მასპინძელმაც შეხვედრასთან დაკავშირებით პრესისთვის მოკლე კომენტარები გააკეთეს.

"ამერიკის შეერთებული შტატები რეალურ ნაბიჯებს დგამს საქართველოსთან ურთიერთობისა და იმ დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის, რომლებიც ქვეყნის განვითარებას ხელს შეუწყობს. მინდა, მადლობა მოვახსენო ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას და თავად ლინ პასკოს იმ დახმარებისათვის, რაც მათ ჩვენს სამინისტროს გაუწიეს. დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენ ვისაუბრეთ იმ საქმეებზე, რის გაკეთებაც ამ ერთი თვის განმავლობაში მოვასწარით და რის გაკეთებასაც მომავალში ვგეგმავთ. ამასთან, გავეცანით კონკრეტულ პროგრამებს და პროექტებს, რის დაფინანსებასაც ამერიკა მომავალში გეგმავს," – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და მიკროფონი სტუმარს დაუთმო.

"სამინისტროში სტუმრობისას გვინდოდა გაგვეგო, რა სიძნელეებთან დგას ეს სისტემა. როგორც მოგეხსენებათ, ამერიკის შეერთებული შტატები ბევრ პროგრამას ახორციელებს იმისათვის, რომ საქართველოს დაეხმაროს. ამერიკაში ჩასვლის შემდეგ აქ არსებულ მდგომარეობას ჩემს ხელმძღვანელობას მოვახსენებ და შევთანხმდებით იმაზე, თუ რა სახით იქნება უმჯობესი საქართველოსთვის დახმარება", - აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ.

"შეხვედრაზე სტუმარმა კმაყოფილება გამოთქვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბოლო პერიოდში ნარკობიზნესის, კანონიერი ქურდების, კორუფციის და სხვა სახის დანაშაულების წინააღმდეგ გაწეულ სამუშაოზე. ლინ პასკომ მოიწონა ის, რომ სისხლის სამართლის საქმეები აღძრულია არა მარტო დანაშაულის ფაქტებზე, არამედ კონკრეტულ პიროვნებებზეც და დაგვპირდა, რომ დახმარებას გაგვიწევს საქართველოში სიმშვიდისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით," - აღნიშნა ჩვენთან საუბარში შს მინისტრის მოადგილემ შოთა ასათიანმა.

გუშინდელი შეხვედრის შემდეგ, მასპინძლებიც და სტუმარიც თავს იკავებდნენ იმ პროექტებზე და დახმარებებზე კონკრეტული საუბრისაგან, რის გაღებასაც ამერიკის მხარე საქართველოსთვის გეგმავს. თუმცა, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აშშ საქართველოს შს სამინისტროს მიმდინარე წელს მხოლოდ ერთი პროექტის, კერძოდ, პანკისის ხეობაში სიმშვიდის შენარჩუნებისთვის 11 მილიონ დოლარს გადმოურიცხავს. ეს ინფორმაცია თავად გიორგი ბარამიძემაც დაადასტურა.

"აღნიშნული თანხა საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნებას მოხმარდება. რა თქმა უნდა, ამაში პანკისის ხეობაც იგულისხმება," – განაცხადა მინისტრმა.

სტუმრების გაცილების შემდეგ კი გიორგი ბარამიძე ჩვეულ სამუშაო რიტმს დაუბრუნდა და მედიას ბოლო დღეების შედეგები გააცნო.

შს მინისტრის ინფორმაციით, დაკავებულია ს.ს "საქართველოს საფოსტო ბანკის" საბურთალოს ფილიალის დირექტორი ზაურ ჯალაღონია. ჯალაღონიას ბრალი ედება ლტოლვილთა შემწეობის თანხების - 500 ათასი ლარის მითვისებასა და 2 110 ათასი ლარის მითვისების მცდელობაში.

ჯალაღონიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სხვისი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის მუხლით არის აღძრული, რაც 6-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

"ადამიანები, რომლებიც დევნილების და პენსიონერების თანხებს იპარავდნენ, უნდა დაისაჯონ. ამას ვპირდებოდით საზოგადოებას და დანაპირებს ვასრულებთ კიდეც," - ამბობს მინისტრი.

ე.წ. კანონიერი ქურდების თემას გიორგი ბარამიძემ გვერდი ვერც გუშინდელ ბრიფინგზე აუარა.

"დაპატიმრებულია ე.წ. კანონიერი ქურდი ალექსანდრე ქურასბედიანი, მეტსახელად "წრიპა". ასე გაგრძელდება მომავალშიც, მანამ, ვიდრე საქართველო კრიმინალებისაგან არ გაიწმინდება. ჩვენ ყველანაირ კანონიერ გზას გამოვიყენებთ იმისათვის, რომ ქურდი ციხეში იჯდეს," – ასეთი განცხადებით დაასრულა გუშინდელი შეხვედრა გიორგი ბარამიძემ.

აღიარება კვლავ მტკიცებულებათა დედოფალია, წამება - მთავარი იარაღი

პირველი გვერდიდან

დიღმის ტყეში, დიდგორის მთაზე განხორციელებული ოპერაცია საზოგადოების წინაშე "ქულებჩაწერილი" სამართალდამცველებისთვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ძალოვანებმა, გატაცებულის გათავისუფლების გარდა, შემკვეთის დაპატიმრებაც შეძლეს.

სამწუხაროდ, კანონდამცველთა მიერ "კრიმინალისტიკის ახალ ფურცლად" მონათლული გათავისუფლების ოპერაცია ანუ, ახალი გუნდის მიერ გახსნილი პირველი რეზონანსული საქმის ოპერაცია სერიოზული ხარვეზით ჩატარდა.

საქმე ისაა, რომ გატაცებაში ბრალდებულთა ადვოკატების მტკიცებით, დაკავებულები სასტიკად ნაწამები და ნაცემები არიან. ბრალდებულთა ადვოკატებისა და ოჯახის წევრთა განცხადებით, სამივე ეჭვმიტანილი ძალოვანებმა ჯერ საბურთალოს სასაფლაოზე აიყვანეს, სადაც მათზე პირველი შეტევა განახორციელეს, ხოლო დაკავებულთა "დამუშავება" შემდეგ, თბილისის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში გაგრძელდა. ამ ინფორმაციას ადასტურებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც, ისინი, ვინც გუშინწინ, გვიან ღამით, ორთაჭალის საპყრობილეში გადაყვანილ გენერალმაიორ გია ვაშაკიძესა და ელდარ გოგბერაშვილს შეხვდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები დღეს სპეციალურ პრესკონფერენციას გამართავენ და შეხვედრის დეტალებზე ისაუბრებენ.

"როგორც პატიმრებმა გვითხრეს, დაკავების შემდეგ, ჯერ სასაფლაოზე აიყვანეს, პოლიციელები ისროდნენ ჰაერში, დახვრეტის იმიტაცია მოაწყვეს, დაკავებულები უცემიათ კიდეც, სხვათა შორის, როგორც ბრალდებულებმა გვითხრეს, სასაფლაოზე მათ წამებას შს და უშიშროების მინისტრებიც ესწრებოდნენ. შემდეგ თბილისის პოლიციის სამმართველოში წაიყვანეს, სადაც, როგორც პატიმრები აცხადებენ, მათი წამება უფრო სასტიკი მეთოდებით გაუგრძელებიათ. მათი თქმით, წამებისას გამოყენებული იყო აირწინაღები, ხელბორკილები, ელექტროშოკი. ელდარ გოგბერაშვილს სხეულზე საკმაოდ სერიოზული დაზიანებები აღენიშნება – სისხლნაჟღენთები და იარები. დაზიანებები აქვს მიყენებული თვალის არეშიც. გვიან იყო და სანებლიძე ვერ ვნახეთ, მაგრამ ამბობენ, რომ მას შინაგანი ორგანოები აქვს დაზიანებული. პატიმართა ადვოკატებმა ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვეს, რომელიც, ალბათ, უახლოეს დღეებში დაინიშნება და შესაბამის დასკვნას გააკეთებს.

სხვათა შორის, ჩემი ინფორმაციით, დაკავებულთა ადვოკატებს დაემუქრნენ, რომ მათ წინააღმდეგ საქმეს აღძრავდნენ," – განაცხადა ჩვენთან საუბრისას არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენელმა ნანა კაკაბაძემ.

პატიმრებს შეხვდა იუსტიციის სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, გადაცემა "60 წუთის" ჟურნალისტი ვახო კომახიძეც. **"შევხვდით მხოლოდ გია ვაშაკიძესა და ელდარ გოგბერაშვილს. ელდარ გოგბერაშვილს სხეულზე მრავლობითი დაზიანებები, სისხლჩაქცევები აღენიშნება, აშკარად ეტყობოდა, რომ სხეულის ნაწილები დამწვარ-დაფუფქული აქვს. პატიმრებმა განაცხადეს, რომ მათი ცემა სასაფლაოზე დაიწყო და წინასწარი დაკავების საკანში ელექტროშიკითა და აირწინაღებით გაგრძელდა. ელდარ გოგბერაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებების ხარისხი ნამდვილად არ ჰგავს დაკავებისას გაწეული წინააღმდეგობის შედეგად მიღებულ დაზიანებებს. სხვათა შორის, ითქვა, რომ დაკავებულთა წინააღმდეგ არსებობდა მტკიცებულებები, რის საფუძველზეც მოხდა მათი დაპატიმრებმა. თუ ეს ასეა, მაშინ რაღა საჭირო იყო მათი წამება იმისთვის, რომ აღიარებითი ჩვენებები მოეპოვებინათ? ანუ, თუ მტკიცებულებები ჰქონდათ, დაკავებულთა ჩვენებები რაღაში სჭირდებოდათ? ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეს მომენტია,"** – აცხადებს ვახო კომახიძე.

ორთაჭალის საპყრობილეში შეყვანისას, ბრალდებულთა სხეულზე მრავლობითი დაზიანებები და ექსკორაციები საპყრობილის ექიმმა-ექსპერტმაც აღმოაჩინა და შესაბამისი ცნობაც გააკეთა. თუმცა, როგორც ექიმის ცნობაშია ნათქვამი, პატიმრებმა განაცხადეს, რომ მათ დაზიანებები დაკავებისას მიიღეს.

ბრალდებულთა სხეულზე არსებულ დაზიანებებს საქმის გამომძიებელი მირიან ნიკოლაძე მათი დაკავების მომენტს უკავშირებს: **"დაკავებისას მათ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს, პოლიციამ კი კანონით გათვალისწინებული ზომები მიიღო,"** - ასეთია გამომძიებლის არგუმენტი.

ჩვენი წერილის მიზანი დანაშაულში ბრალდებულთა სიმართლის მტკიცება არ გახლავთ.

უბრალოდ, გავრცელებული ინფორმაციები დაკავებულთა ცემა-წამების შესახებ იმაზე მეტყველებს, რომ ძალოვანებს მყარი პოზიციები არ გააჩნიათ. ანუ, გარდა აღიარებითი ჩვენებებისა, მათ დაკავებულთა ბრალეულობის დამამტკიცებელი სხვა მყარი არგუმენტების მოპოვება ვერ შეძლეს. გამოდის, რომ პოლიცია კვლავ ვიშინსკისეული საბჭოური პრინციპებით – აღიარება მტკიცებულებათა დედოფალია - მოქმედებს და ზოგიერთმა კანონდამცველმა საქმის გახსნის ცივილიზებული მეთოდები ჯერ კიდევ ვერ აითვისა. ეს შემთხვევა იმაზე მიუთითებს, რომ ძალოვან სტრუქტურებში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ პროფესიონალიზმის დეფიციტია. სხვათა შორის, სამართალწარმოების ისტორიაში მრავლად მოიპოვება ისეთი საქმეები, რომლებიც სწორედ წამების შედეგად მოპოვებულ აღიარებით ჩვენებებზე იყო აგებული და რომელთა დაშლაც მოგვიანებით, სასამართლო პროცესებზე მოხდა.

ასე გაიხსნა თავდაპირველად სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობის საქმე, მაგრამ მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც დაკავებულმა რამიშვილმა შსს-ში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, აღმოჩნდა, რომ ამ მკვლელობაში სულ სხვა ჯგუფი იყო დამნაშავე და საქმეც ამიტომაც ხელმეორედ გაიხსნა; დეტალური აღიარებითი ჩვენება დააწერინეს 29 აგვისტოსა და გია ჭანტურიას საქმეზე დაკავებულ გიორგი მიქაძეს, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ არც ერთ ამ მკვლელობასთან მას არანაირი შეხება არ ჰქონია და რომ აღიარებითი ჩვენებები ახალგაზრდა რეჟისორის ფანტაზიის ნაყოფი იყო; ასეთივე მეთოდით გაიხსნა 9 თებერვლისა და მაისის ტერაქტები, ეჭვმიტანილებმა დეტალური ჩვენებებიც ჩაბარეს გამოძიებას, მაგრამ მათი დიდი ნაწილი ახლა გათავისუფლებულია, თანაც - გამართლებული.

ახალი ეპოქისკენ სვლა ძველი ტრადიციებით არ უნდა ხდებოდეს, შესაბამისად, თამაზ მაღლაკელიძის გათავისუფლების წარმატებული ოპერაციის დეტალები ეჭვქვეშ არ უნდა დამდგარიყო. მეტიც, რეფორმის სურვილით, ხელისუფლებაში მოსულ ახალ გუნდს საბჭოური მეთოდების გამეორების უფლება არ აქვს. მით უმეტეს, რომ ახლადდანიშნულმა შს მინისტრმა ძველი სისტემის ნგრევისა და ახლის შენების პირობა დანიშვნის პირველივე დღეს დადო.

„უკანონოდ მოპოვებული ქონება მუზეუმის საკუთრებაში გადავა"

ბექა სისაური
ქუთაისიდან

გუშინ პრეზიდენტის რწუნებული იმერეთში დავით მუმლაძე დილიდანვე განსაკუთრებულად აქტიურობდა და მხარის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამართალდარღვევების გამოვლენას ცდილობდა. რწუნებულის რისხვის ობიექტები გუშინ მარტვილის სატყეო სამმართველოს ხელმძღვანელი პირები და საგზაო პოლიციელები აღმოჩნდნენ.

წყალტუბოს ტერიტორიაზე მოძრავი "კამაზის" მარკის ხე-ტყით დატვირთული ავტომობილი სამეგრელოსა და იმერეთის უშიშროების სამსახურების თანამშრომლებმა დააკავეს. მარტვილიდან წამოსულ სატვირთო ავტომობილში აღმოჩნდა "წითელ წიგნში" შეტანილი ნეკერჩხლის უზარმაზარი მორები. სავარაუდოდ, მანქანა წყალტუბოს ტერიტორიაზე მოქმედი ერთ-ერთი სახერხისკენ მიემართებოდა. მორებზე თვალთვალი მათი მოჭრის ადგილიდანვე წარმოებდა. აღნიშნული ოპერაციის შემდეგ თანამდებობებს გამოემშვიდობნენ მარტვილის სატყეო სამმართველოს ხელმძღვანელები და ის საგზაო პოლიციელები, რომელთა "გუმოწყალებითაც " ნეკერჩხლის მორებმა წყალტუბომდე ჩააღწია. მუმლაძის განმარტებით, მარტვილიდან წყალტუბომდე მდგარ საგზაო პოლიციელებს საგუშაგოზე "კამაზის" მძღოლმა ფული გადაუხადა. გადახდილი თანხის ოდენობასა და საგზაო პოლიციელების ვინაობას ამჟამად უშიშროების სამსახური ადგენს. **"აღნიშნული ოპერაცია კარგა ხანია, რაც მუშავდებოდა. გარკვეულ პირებს ძვირფასი ჯიშის ხის - ნეკერჩხლის მორები გადაჰქონდათ. თანაც დოკუმენტალურად გაფორმებული იყო, რომ ნეკერჩხლის ნაცვლად, თითქოსდა, წიფელას ეზიდებოდნენ. "წითელ წიგნში" შეტანილი ხის უკანონო ჭრაში სახელმწიფო მოხელეები არიან ჩართულნი. ისინი, ძირითადად, მარტვილის რაიონის სატყეო სამსახურის ხელმძღვანელები არიან. ამავე დროს აკრძალული ხე-ტყით დატვირთული ავტომობილის მძღოლმა გზაზე არსებულ საგზაო პოლიციის ყველა საგუშაგოს თანხა გადაუხადა. უშიშროების სამეგრელოსა და იმერეთის სამსახურების კოორდინირებული მუშაობით ამ ძვირფასი ჯიშის ხეების უკანონო გადაზიდვა აღიკვეთა",** აცხადებს დავით მუმლაძე.

აღნიშნულმა ოპერაციამ გარკვეული კითხვის ნიშნები მაინც დატოვა. კერძოდ, რატომ არ აცალეს სამართალდამცავებმა, ტვირთი საბოლოო ადრესატამდე მიტანილიყო, რითაც მძღოლთან ერთად აღნიშნულ უკანონო ქმედებაში ჩართული ყველა პირი გამოვლინდებოდა? აღნიშნულ კითხვას უშიშროების სამინისტროს დასავლეთ საქართველოს მთავარი სამმართველოს უფროსმა გოჩა მიქაუტაძემ შემდეგნაირად უპასუხა:

"ოპერაცია უშიშროების მიერ ჯერ კიდევ სამი დღის წინ იყო დაგეგმილი და კონტროლირებადი. ამ დილით კი მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ტვირთის მოძრაობა შეგვეჩერებინა; რადგანაც ხანგრძლივი თვალთვალი ქმნიდა იმის საშიშროებას, რომ მძღოლს შევამჩნიეთ, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ავტომობილი მიეტოვებინა და გაქცეულიყო. დანარჩენ დეტალებს კი გამოძიება დაადგენს".

დასავლეთ საქართველოს უშიშროების სამმართველოში ვარაუდობენ, რომ საქმე კარგად ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან აქვთ, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობდნენ მარტვილის სატყეო სამმართველოს ხელმძღვანელებიც.

ხე-ტყის უკანონო ჭრისა და ტრანსპორტირების გამოვლენის შემდეგ დათო მუმლაძემ სადამსჯელო მზერა იმერეთის სამხარეო საპასპორტოს უფროსის, ზაზა გეგუჩაძის სახლკარს მიაპყრო. რწუნებულმა ჟურნალისტები გეგუჩაძის ახლად შეკეთებულ და მდიდრულ სახლთან მიიყვანა. მუმლაძემ გეგუჩაძის სახლის ალაყაფთან განაცხადა, რომ სახელმწიფო მოხელე, რომელსაც წლების განმავლობაში ბიზნესი არ ჰქონია, კანონიერი გზებით ასეთი ფეშენებლური სახლის აშენებას ვერ შეძლებდა. რწუნებული ამავე დროს საპასპორტოს უფროსისთვის ქონების ჩამორთმევის ინიციატივით გამოვიდა. მუმლაძე მაღალჩინოსნის სახლ-კარს ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს "ჰპირდება". **"ეს სახლი არის ერთი ტიპური მაგალითი შევარდნაძის სისტემაში სახელმწიფო მოხელის ცხოვრებისა. ბატონი ზაზა გეგუჩაძე 10 წელზე მეტია, რაც იმერეთის სამხარეო საპასპორტო სამსახურის უფროსია და მას ერთი დღეც არ ჰქონია კერძო ბიზნესი. მისი სახლი კი მართლაც რომ მუზეუმს გვაგონებს. ანალოგიურ მშენებლობას იგი ურეკშიც ასრულებს. აღნიშნული მშენებლობები საქართველოს მოქალაქეების ხარჯზე ხორციელდებოდა. მთელმა იმერეთმა იცის, რომ ერთი პასპორტის გაკეთება ასი დოლარი ღირდა. გეგუჩაძე წინა ხელისუფლებასთან შეხმატკბილებით მუშაობდა. ჩემთან კი ჯერ ლობისტები მოაგზავნა, შემდეგ კი მომმართა, ძველი სტილით ვიმუშაო, თუ რაიმე ახალ პირობებს შემომთავაზებთო. მე მას ვთავაზობ ახალ პირობებს: მის მიერ მოპოვებული უკანონო ქონება გადავა მუზეუმის საკუთრებაში,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას დათო მუმლაძემ.

რწმუნებულმა ზაზა გეგუჩაძის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე შეუთანხმა. ხვალიდან კი იმერეთის სამხარეო საპასპორტო სამსახურში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია და იმერეთის სამხარეო პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფი ერთდროულად იმუშავებს. ისინი გეგუჩაძის თანამდებობრივ გადაცდომის საკითხებს შეისწავლიან და მისი ქონებრივი პასუხისმგებლობისთვის იურიდიული საფუძველს მოამზადებენ.

პრეზიდენტის რწმუნებული ჟურნალისტებს საღამოს კიდევ ერთ სიურპრიზს ჰპირდებოდა; სავარაუდოდ, მუმლაძეს კიდევ ერთი იმერელი მაღალჩინოსნის წინააღმდეგ უნდა გაელაშქრა, თუმცა ბოლო მომენტში აღნიშნული ღონისძიება გაურკვეველი ვადით გადაიდო.

კონსტანტინე შავიშვილს ხვალ ექსპერტიზას ჩაუტარებენ

უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების ყოფილი რაზმის „ალფას" წევრს კონსტანტინე შავიშვილს ექსპერტთა ჯგუფი დღეს სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებს.

შავიშვილის ადვოკატმა მოსკოვის ჯანდაცვის დეპარტამენტიდან უკვე მიიღო პასუხი, რომელიც შავიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ჩასატარებელ მკურნალობის კურსს ეხება.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ კონსტანტინე შავიშვილი მოსკოვის №7 კლინიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში მკურნალობდა ხერხემლის მე-7 მალის მოტეხილობას და ხერხემლის დისკის გახლეჩას. კოტე შავიშვილი საავადმყოფოში იმყოფებოდა 2003 წლის 24 იანვრიდან 7 თებერვლამდე. "ოპერაცია გაიკეთა 30 იანვარს, რომლის დროსაც გაუკეთდა მე-7 მალის სუბტოტალური რეზექცია და დისკისა და მე-6-7 მალის სხეულის სისტეოფილების ამოკვეთა," – ნათქვამია მოსკოველი მედიკოსების მიერ გამოგზავნილ წერილში.

ავადმყოფობის ისტორიაში მითითებულია, რომ ავადმყოფი ოპერაციიდან ერთი წლის შემდეგ ჰოსპიტალიზებული უნდა იყოს გამოკვლევისა და შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის დასადგენად, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიცოცხლე საფრთხეშია. ადვოკატის კითხვას მოსკოვის №7 კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი აფანასიევი პასუხობს, რომ ავადმყოფს მსგავსი ოპერაციის გაკეთების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში ეკრძალება ფიზიკური დატვირთვა.

უშიშროების სააგენტო „GGK"-ს ხელმძღვანელი, უშიშროების ყოფილი პოლკოვნიკი და სპეცრაზმ "ალფას" ყოფილი მეთაური კოტე შავიშვილი და მისი ოთხი თანამშრომელი — თორნიკე პაპიძე, ჭიჭიკო გაბისონია, პაატა დარსმელია და ედუარდ ნაცვლიშვილი იარაღის უკანონო ტარებისა და პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით 18 დეკემბერს, პანტიკო თორდიას საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში დააკავეს. როგორც ცნობილია, კერძი დაცვის თანამშრომლები პანტიკო თორდიას დაცვას ახორციელებდნენ.

ეჭვმიტანილთა დაპატიმრების სანქცია თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლომ 21 დეკემბერს გასცა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ყველა დაკავებული, კოტე შავიშვილის გარდა, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გაათავისუფლეს. **მედია-ნიუსი**

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის coordiliation მხარდამჭერი
კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

ცხოვრებისეული ისტორიები

პატარა მერიკო და უცნობი ჯარისკაცი

29 სექტემბერს, როცა სოხუმს ვტოვებდით, ვიყავით აეროპორტში. ჩემი უფროსი შვილიშვილი – მერიკო მაშინ მხოლოდ ორწლინახევრისა იყო, რძალი უმცროს შვილიშვილზე იყო ფეხმძიმედ.

ჩვენი აეროპორტში ყოფნის დროს ცლიდნენ თვითმფრინავს, რომლითაც ჯარისკაცებისთვის ბანანები ჩამოეტანათ. ჩვენ ვუყურებდით, თუ როგორ ცლიდნენ თვითმფრინავს. უცებ ჩემს შვილიშვილს თავისი "ღამის ქოთანი" მოუნდა, ვერაფრით გადავათქმევინეთ. თურმე, ჩვენ ფუსფუსს უყურებდა ერთი ახალგაზრდა, ძალიან სიმპათიური ჯარისკაცი, რომელიც თვალყურს ადევნებდა თვითმფრინავიდან ბანანების გადმოტვირთვას. იგი ძალიან გაერთო პატარა მერიკოს ჭინჭყლობით.... მერიკო თავისი საქმის მოთავების შემდეგ უკვე იმით დაინტერესდა, რაც გარეთ ხდებოდა – მან ხომ პირველად დაინახა ბანანები! ის თვალს არ აცილებდა ბანანებს. ალბათ ჯარისკაცმა იგრძნო ბავშვის მზერა და როდესაც ბანანების თვითმფრინავიდან გადმოტვირთვას მორჩნენ, ჩვენთან მოვიდა, ორი ბანანი მოგვიტანა და მისცა მერიკოს. როცა ვუთხარი, ბავშვს ერთიც ეყოფა, მეორე თქვენთვის დაიტოვეთ მეთქი, მიპასუხა – არა, არავითარ შემთხვევაში! მან ორივე ბანანი მისცა ბავშვს და სწრაფად გაგვშორდა. ჩვენ ვასწავლეთ მერიკოს, თუ როგორ უნდა ეჭამა ბანანები და მანაც სულმოუთქმელად გადასანსლა ორივე.

მთელი დღის ლოდინით გატანჯულებმა მხოლოდ საღამოს შვიდ საათზე შევძელით თვითმფრინავში ჩასხდომა და სოხუმიდან თბილისში გამოფრენა...

გავიდა ერთი თვე... ერთხელ, მე და მერიკო პლეხანოვზე ვსეირნობდით, უცებ ბავშვმა ყვირილი ატეხა: "ბები, ბები! შეხედე ის ბიჭი, მე რომ ბანანები მომცა!" იმ ბიჭმაც შეგვამჩნია, მოირბინა ჩვენთან, ხელში აიყვანა მერიკო და ჰკითხა: "როგორ მიცანი?!" ბავშვმა ხელები შემოჰხვია ნაცნობ ჯარისკაცს და აკოცა... მე ისე დავიბენი, ვინაობაც კი ვერ ვკითხე, მისი არც სახელი ვიცი და არც გვარი...

გავიდა კიდევ ცოტა ხანი.. ვხედავ, ტელევიზორში აჩვენებენ იმ ყმაწვილის სურათს... გამოაცხადეს, რომ ის ყმაწვილი აფხაზეთში დაიღუპა... მერიკომაც დაინახა ის ბიჭი, იცნო და ისევ ყვირილი ატეხა: "ბები, ბები, ნახე ის ბიჭი, რომელმაც მომცა..ის..ის"... და ვერ გაიხსენა, რა მისცა იმ ბიჭმა. "ბანანი"- მეთქი, ვუთხარი, "ხო, ბანანი"- მიპასუხა ბავშვმა. ძალიან შევწუხდი და ტირილი ამივარდა...დაღუპული ნამდვილად ის ჯარისკაცი იყო, ჩემს შვილიშვილს ბანანები რომ მისცა სოხუმის აეროპორტში...

მას მერე უკვე ათი წელი გავიდა. ახლა მერიკო დიდი გოგოა, უკვე ცამეტი წლისაა. მერვე კლასში სწავლობს, ფრიადოსანია. კარგად ხატავს, ცეკვაზეც დადის, ანსამბლ "ერისიონში" ცეკვავს. მოკლედ, ჩვეულებრივი ყოველდღიურობით ვცხოვრობთ.. დღე დღეს მისდევს. ჩვენ კი სულ იმის მოლოდინში ვართ, რომ შინ დავბრუნდეთ.. მე მოხუცი ვარ და არ ვიცი, მოვესწრები თუ არა იმ დღეს, მაგრამ ბავშვებს ძალიან უნდათ სოხუმში დაბრუნება...

მე ხშირად ვიხსენებ ჩემს სახლს, ჩემს მეზობლებს. ჩვენ ძალიან მეგობრულად ვცხოვრობდით. მინდა ყველას მოკითხვა გადავცე, ჯანმრთელობა ვუსურვო და თუ ვინმეს ვახსოვარ მე, თინა კოკაია, ყველას მივესალმო...მე მათ ხშირად ვხედავ სიზმარში...

რუბრიკას უძღვება
ლელა მარგიანი

რადიოპროექტი - "ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ინგლისური საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიერ. ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".

მოკლედ

ხანძარი და ბრალდება

კლანურ დაპირისპირებას სოხუმში სააქციო საზოგადოება "სოხუმხელსაწყოს" ადმინისტრაციული შენობა ემსხვერპლა. აფხაზი მეხანძრეების შეფასებით, შენობას მე-5 კატეგორიის ხანძარი გაუჩნდა, რომლის ჩაქრობა ვერ მოხერხდა. აფხაზი სამართალდამცველები მომხდარს დივერსიულ აქტად აფასებენ.

გაერთიანება "სოხუმხელსაწყოს" გენერალური დირექტორი ასლან გიცბა შენობაში გაჩენილ ხანძარს განზრახულ ქმედებად აფასებს და მომხდარში პრეზიდენტ არძინბას კლანის იმ წარმომადგენლებს ადანაშაულებს, რომლებიც მისი და პარლამენტის ზოგიერთი წევრის წინააღმდეგობის მიუხედავად, საწარმოს პრივატიზაციას გეგმავდნენ.

მისივე ინფორმაციით, "სოხუმხელსაწყოში" 70-მდე მუშა იყო დასაქმებული, ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, საწარმოში უჟანგავი ლითონის ბურთულებისა და ლითონის კონსტრუქციების დამამუშავებელი საამქროები, ასევე სოციალური დანიშნულების ობიექტები ფუნქციონირებდა.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებამდე "სოხუმხელსაწყოში 2200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე იყო დასაქმებული და საწარმო ყოველწლიურად 230-250 მილიონი რუბლის პროდუქციას აწარმოებდა. **ინტერ-პრესი**

მძევლების აყვანა

ოჩამჩირის რაიონის სოფელ პრიმორსკოედან სამი აფხაზი მესაზღვრის გატაცების შემდეგ გალის რაიონის სოფელ გაგიდაში აფხაზი მილიციელების 40-კაციანი ჯგუფი შევიდა, რომლებმაც ამ სოფელში "წმენდა" ჩაატარეს - სოფელ გაგიდიდან და ქვემო ბარღებიდან 10 ქართველი მძევლად აიყვანეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების განყოფილებაში გაანცხადეს, ისინი არ ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად მიიყვანეს მძევლები. ქართველი სამართალდამცველები გატაცებში მონაწილე აფხაზ მილიციელებთან დაკავშირებას ცდილობდნენ, თუმცა, ჯერჯჯერობით, მათი ზუსტი ვინაობა და ადგილსამყოფელი ასევე დაუდგენელია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ აფხაზმა სამართალდამცველებმა გაგიდასა და ქვემო ბარღებში გადაადგილებისთვის რუსეთის სამშვიდობო ძალების კუთვნილი ჯავშან-ტექნიკა გამოიყენეს. ქართველი სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ მძევლად აყვანილი ქართველების სანაცვლოდ, აფხაზური მხარე სამი გატაცებული აფხაზი მესაზღვრის დაბრუნებას მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

არძინბიადა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას გადაყენებისა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით, აფხაზეთში მოქმედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების გააქტიურების მიუხედავად, სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტი არძინბას გადადგომასა და აფხაზეთის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას გამორიცხავს.

არშბას განცხადებით, არძინბას ჯანმრთელობის შესახებ არაჯანსაღი საუბრების მიუხედავად, აფხაზეთის მოქმედი პრეზიდენტი თავის მოვალეობას ასრულებს და აფხაზურ საზოგადოებაში სულ უფრო გაგებით ეკიდებიან მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში სწორედ კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადაში - 2004 წლის 3 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს. **ინტერ-პრესი**

ახალი ფორმულირება

რუსეთის ფედერაციის საბჭომ, 137 ხმით არც ერთის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა სახელმწიფო მეთაურის ვლადიმირ პუტინის მოსაზრებას - ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ფედერაციის შეიარაღებული ძალების მსახურების შესახებ.

როგორც ფედერაციის საბჭოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ ოზეროვმა განაცხადა, "სახელმწიფო მეთაურის მოსაზრება შემდეგ ახალ ფორმულირებას გულისხმობს: რუსული სამხედრო კონტინგენტი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში იმ დრომდე რჩება, ვიდრე კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარე ოპერაციის შეწყვეტას არ მოითხოვს". **პრაიმ-ნიუსი**

ვეტერანთა ღაღადი

აფხაზმა ვეტერანებმა თხოვნით მიმართეს დსთ-ს ვეტერანთა საკოორდინაციო კომიტეტს, მიიღოს სასწრაფო ზომები და ფინანსური დახმარება გაუწიოს მათ, რადგან უკიდურეს სილატაკეში ცხოვრობენ.

„გთხოვთ, არ დაუშვათ, რომ 1941-1945 წლების სამამულო ომის ვეტერანები, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ, შიმშილით დაიხოცონ," – წერია წერილში.

ცნობისათვის: ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობს მეორე მსოფლიო ომის 800-მდე ვეტერანი, აქედან 50 პროცენტი რუსულენოვანი მოსახლეა. მათი პენსია 120-180 რუბლამდე მერყეობს. „ეს თანხა კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლადაც არ არის საკმარისი. ჩვენი ყოფა გაუსაძლისი გახდა," – ნათქვამია აფხაზეთის ვეტერანთა საბჭოს მიერ მიწერილ წერილში. **მედია-ნიუსი**

მოლაპარაკებები გადაიდო

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, "გაერო-ს გენმდივნის საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის", კერძოდ, აშშ-ს, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რაც დეკემბერ-იანვარში იგეგმებოდა, თებერვლისათვის გადაიდო.

"ჟენევაში შეხვედრამდე აუცილებელია რაიმე მინიმალური პროგრესის მიღწევა, რათა მოლაპარაკებათა ეს ფორმატი ფორმალობაში არ გადაიზარდოს", - თქვა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

აფხაზთა სიამაყე

სსრკ-ს უშიშროების პოლკოვნიკი, აფხაზი ეროვნების ოთარ არშბა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი პრეზიდენტ პუტინის მხარდამჭერი "ედინნაია როსიას" პარტიული სიით გახდა. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ 7 დეკემბერს ჩატარებული რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შედეგების მიხედვით, რუსეთის პარლამენტში დეპუტატის სტატუსით მისი ნათესავი ოთარ არშბა იმოღვაწეოებს. **ინტერ-პრესი**

რადიო "მწვანე ტალღა"

ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.

FM 107,4

ვარდების რევოლუციის აჩრდილი იმელთან

ზაზა ფაჩუაშვილი

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ ახალი და უფრო დიდი ძალით განახლდა აფხაზეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანებული საბჭოს მიერ თვენახევრის წინათ დაწყებული აქციები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის გადაყენებისა და ახალი არჩევნების მოთხოვნით. ამ იდეის გარშემო გაერთიანდა აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებული ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაც ბოლოს აფხაზეთის დეპუტაციის უმრავლესობაც მიემხრო. როგორც ჩანს ნადარეიშვილის მხარდამჭერთათვის ეს იყო ბოლო წვეთი, რამაც მათ საპასუხო ნაბიჯისკენ უბიძგა.

მიტინგის მონაწილეები იმელის შენობის წინ.

ამრიგად "იმელის" შენობასთან იგივე სიტუაცია შეიქმნა, რაც ნოემბერში პარლამენტის ნინ სუფევდა. ოპოზიციის სამიზნე ობიექტს გამოუჩდნენ მხარდამჭერები, რომლებმაც მიტინგიც ჩაატარეს და ნადარეიშვილს შესაშური მხარდაჭერაც აღუთქვეს. მათი განცხადებით ნადარეიშვილის გადადგომა ყოვლად დაუშვებელია, თუნდაც იმიტომ რომ ამით მოიშლება ლეგიტიმურობის ინსტიტუტი, რაც აფხაზ სეპარატისტთა წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავს. თამაზ ნადარეიშვილმა კი თავის სიტყვაში ოპონენტები აფხაზ სეპარატისტებთან კავშირში დაადანაშაულა.

"ამ ბოლო ხნის განმავლობაში დაიწყო სერიოზული შემოტევები ჩემზე, ჩვენს სტრუქტურებზე და ბევრი კითხულობდა, თუ რატომ ხდება ეს. ამ კითხვაზე პასუხი გასცა გუშინდელმა განცხადებამ, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა გადასცეს ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. ამ განცხადებაში სულ სამი პუნქტია. ისინი აცხადებენ, რომ დიალოგი ქართულ სახელმწიფოსთან (თავის თავს გულისხმობენ აფხაზურ სახელმწიფოდ) შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლებამ დაკმაყოფილა სამი ძირითადი მომენტი.

პირველი - ხელი მოეწეროს თავდაუსხმელობის პაქტს საქართველოსა და აფხაზეთს შორის, ანუ დოკუმენტს, სადაც კატეგორიულად იქნება გამორიცხული აფხაზეთში დაბრუნება ძალის გამოყენებით.

მეორე - განადგურებული იქნას ყველა პარტიზანული შენაერთი და დაჯგუფება, რომელიც მოქმედებს მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

მესამე - თამაზ ნადარეიშვილის გადადგომა.

ეს არის ის მთავარი მიზეზი, რომლითაც აქ თბილისში ჩვენი საწინააღმდეგო აქციები დაიწყო. ადამიანები, რომლებიც კრიბავენ 100-150 კაცს საუბრობენ თქვენი სახელით. ისინი აყენებენ ზუსტად იმ წინადადებებს და მოთხოვნებს, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა გამოამჟღავნეს. ისინი აკეთებენ ყველაფერს იმისათვის, რომ ჩვენ აქ დარჩენილი ადამიანები, რომლებიც ვიბრძვით აფხაზეთის დასაბრუნებლად ერთმანეთს გადაგვამტერონ და ერთმანეთისგან გაგვთიშონ. სიტუაცია კი დაემსგავსოს სამაჩაბლოს ვითარებას, როცა არც სამაჩაბლო ახსოვს ვინმეს და არც იქაური დევნილები," - განაცხადა ნადარეიშვილმა.

ამის თაობაზე ნადარეიშვილის ოპოზიციის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, მოძრაობა "დაბრუნების" თავმჯდომარე მალხაზ პატარაია აცხადებს: " უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მოხდა აფხაზეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა საერთო შეთანხმება ნადარეიშვილის გადაყენებისა და ახალი არჩევნების თაობაზე. აქციები განახლდა 5 იანვარს, როცა გაიმართა ერთობლივი პრესკონფერენცია. 9 იანვარს ჩატარდა გამაფრთხილებელი აქცია იმელის შენობასთან. ეს აქციები სხვადასხვა ფორმით გაგრძელდება იქამდე, სანამ თამაზ ნადარეიშვილი ხელისუფლებას არ ჩამოცილდება.

- რამდენად არის მთელი ეს პროცესი დაკავშირებული აფხაზეთის პრობლემასთან და ხომ არ არის ეს ბრძოლა თანამდებობისთვის, რასაც მოჰყვება მხოლოდ ერთი ჯგუფის მეორეთი ჩანაცვლება?

- ამ აქციების მიზანი სწორედ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაა. ეს არ არის პირადული დაპირისპირება. ვარდების რევოლუცია პირადად შევარდნაძის წინააღმდეგ ხომ არ მომხდარა. რა თქმა უნდა, იგი უნდა გადადგარიყო, მაგრამ მთავარი მიზანი მისი სისტემის შეცვლა იყო. ამისათვის კი საჭიროა, რომ ხელისუფლებიდან წავიდეს შევარდნაძის სისტემის ყველა სერიოზული რგოლი, როგორსაც თამაზ ნადარეიშვილი წარმოადგენს.

- კი, მაგრამ ნადარეიშვილსაც იგივე მოთხოვნები აქვს, რაც თქვენ - საქართველოს რუსეთის აგრესიისაგან დაცვა და სამშვიდობო ძალების გაყვანა.

- ნადარეიშვილის რადიკალური ფრაზეოლოგიის მიღმა არაფერი დგას. რეალურად იგი იყო მხოლოდ ბუფერი დევნილებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, რომ არ მომხდარიყო დევნილების მღელვარება.

მისი მუშაობის სტილია ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გაკეთება. მან ერთი და იმავე პერიოდის განმავლობაში გააკეთა რამდენიმე ასეთი განცხადება: ჯერ თქვა, რომ საქართველო საკუთარი ძალით რუსეთს ვერ მოერევა და აფხაზეთს ვერ დაიბრუნებს; შემდეგ - აფხაზეთი სახელმწიფომ უნდა დაიბრუნოსო; მერე თავად მიდიოდა აფხაზეთში საომრად, სახელმწიფოს გარეშე; ბოლოს აქცენტი გააკეთა გაეროს მეშვიდე თავის ამოქმედებაზე, რაც არარეალურია თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთს ვეტოს უფლება აქვს, რასაც აუცილებლად გამოიყენებს.

ჩვენ ვამბობთ, რომ არ არის არავითარი საჭიროება გაეროს მეშვიდე თავის ამოქმედებისა და ყურადღებას ვამახვილებთ გაეროს მეექვსე თავზე. ეს არის კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგება. იქ არის 52-ე მუხლი, სადაც წერია, რომ მხარე, რომელიც მონაწილეობს კონფლიქტში თავს იკავებს კენჭისყრისაგან. ანუ, თუ ჩვენ გაეროში აფხაზეთის საკითხს სწორად დავსვამთ, როგორც რუსეთის აგრესია საქართველოში, მაშინ შეიძლება რუსეთის (აგრესორის), როგორც ვეტოს უფლების მქონე წევრის, ფაქტორის განეიტრალება.

ამასთან არსებობს სხვა სტრუქტურებიც - გაეროს ტრიბუნალი, გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელთათვის ნადარეიშვილს არ მიუმართავს.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ აფხაზეთის სტრუქტურების ცვლილებებზე, ბუნებრივია ველით იმ ცვლილებებს, რაც ამ ორგანომ უნდა განახორციელოს. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს უნდა ჰქონდეს ორი სერიოზული ფუნქცია. ის უნდა გახდეს აფხაზეთის რეალურად დაბრუნების ინსტიტუტი და მან რეალურად უნდა დაიცვას დევნილი მოსახლეობის ინტერესები. როგორც აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლობითი ორგანო, იგი უნდა იყოს უაღრესად ქმედითი, ცოცხალი და არა ისეთი, როგორიც დღეს არის. დღეს სახეზეა 12 წლის წინანდელი ორგანო, რომლის ხელმძღვანელი მთელი ამ წლის განმავლობაში ატყუებდა დევნილებს და მთელ საქართველოს. ნადარეიშვილი აცხადებს, რომ მზადდება მასზე თავდასხმა და ა.შ. ჩვენ არა მარტო მისი გადაყენებით ვართ დაინტერესებული, არამედ მისი ჯანმრთელობითაც, რათა შემდეგში შევძლოთ მისი გასამართლება მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის.

ჩვენ არ ვებრძვით აფხაზ ხალხს!

ოთარ ჟორდანია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის რექტორი, პროფესორი

10 წლის წინ საქართველოს შინაური თუ გარეშე დაუძინებელი მტრების ვერაგული საქმიანობის შედეგად დაეცა სოხუმი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო იურისდიქცია შეწყდა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, გარდა კოდორის ხეობისა. ათასობით მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა კონფლიქტში მონაწილე ორივე მხრიდან, ასიათასობით სხვადასხვა ეროვნების ადამიანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი. აფხაზეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში გაჩანაგდა სახალხო მეურნეობა, გადაინგა ასობით სოფელი და დასახლებული პუნქტი, მოიშალა კულტურისა და განათლების კერები...

წლების მანძილზე სრულიად საქართველოს მოსახლეობა იმედს არ კარგავდა, რომ ხელისუფლება შეძლებდა აფხაზეთის პრობლემის დადებითად გადაწყვეტას, აღადგენდა საქართველოს იურისდიქციას ამ ძირძველ კუთხეში, მიაღწევდა დევნილთა და ლტოლვილთა უპირობო დაბრუნებას.

საქართველოს ხელისუფლება წლების მანძილზე სარგებლობდა ხალხის ნდობით, რომელსაც გულწრფელად სწამდა, რომ ქვეყნის ლიდერებს ხელეწიფებოდათ ამ პრობლემის გადაწყვეტა, მაგრამ დრო გადიოდა და უიმედობა ისადგურებდა. მოსახლეობის ნდობის ფაქტორი თითქმის ამოიწურა. ხალხი ღღითიღღე რწმუნდებოდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ წარმოებული მოლაპარაკებები იყო მეტწილად უშედეგო ან საზიანო ქვეყნის ინტერესებისათვის, რაც იწვევდა მოსახლეობის საპროტესტო მოძრაობის გაძლიერებას. ქუჩაში გამოსული ხალხის მოთხოვნათა საფუძველზე ხელისუფლება იძულებული გახდა, კონსტიტუციაში შეეტანა ცვლილება და ფორმალურად მაინც დაეფიქსირებინა აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, სტატუსი, ხოლო პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოდან სამშვიდობო ჯარების გაყვანის შესახებ. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ჰააგის ტრიბუნალში ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით საქმის აღძვრის შესახებ...

აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში ჩვენ ვებრძოდით არა აფხაზ ხალხს, არამედ იმ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ დაერღვიათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ხელეყოთ საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პრინციპები. ამ პოზიციისათვის ჩვენს კოლექტივს არც სოხუმსა და არც თბილისში არ უღალატნია. ამის ნათელი დადასტურებაა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც დევნილობის დროს სოხუმის ფილიალში განხორციელდა.

სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა პატივი მიაგეს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის ხსოვნას, აღინიშნა მისი დაბადებიდან 150 წლისთავი. გაიმართა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფ. ზურაბ ანჩაბაძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა ნაშრომი, რომელშიც გაშუქებულია პროფ. ზურაბ ანჩაბაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები. ჩვენმა კოლექტივმა დიდი პატივი მიაგო თბილისში გარდაცვლილ აფხაზ სწავლულს, პროფ. ბელა აშუბას. აფხაზური კულტურისა და მეცნიერების არაერთ მოღვაწეს, მათ შორის, მიხეილ ბღაჟუბას, პროფ. სოკრატ არშბას და სხვათა ხსოვნის საღამო გაიმართა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიაში, სამედიცინო უნივერსიტეტსა თუ სხვა დაწესებულებებში. ზემოთქმულიდან კარგად ჩანს ჩვენი ერის კეთილი დამოკიდებულება აფხაზი ხალხისა და მისი კულტურისადმი. ეს გარემოება თვით აფხაზეთშიც არ დარჩენილა შეუმჩნეველი. ამით არის განპირობებული, რომ ჩვენს სასწავლებელში უმაღლეს განათლებას ეუფლებიან აფხაზეთის მკვიდრი აფხაზი ეროვნების სტუდენტები.

სოხუმის ფილიალში სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით ისწავლება აფხაზური ენა და ლიტერატურა, რომლისადმი სტუდენტები დიდ ინტერესს იჩენენ. ოთხწლიანმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ახლო მომავალში ჩვენ შევძლებთ გამოვაცხადოთ მიღება ახალ სპეციალობაზე "ქართული ენა და ლიტერატურა - აფხაზური ენა და ლიტერატურა". ამით კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგმება ქართველთა და აფხაზთა შორის ურთიერთნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისაკენ.

ჩვენს სასწავლებელში მომზადდა არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა აფხაზეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის, ფილოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლისმცოდნეობის საკითხებზე. გამოქვეყნდა არაერთი მასალა აფხაზი და ქართველი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ. დაწყებულია ზოგიერთი გამოჩენილი აფხაზი სწავლულის, მათ შორის, ცნობილი მკვლევრისა და საზოგადო მოღვაწის, პროფ. გიორგი ძიძარიას მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა.

ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც დღევანდელი აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ამოძირკვონ ქართული ენის კვალი აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. გალის რაიონის მოსახლეობაში აღვივებენ კუთხურ სეპარატიზმს. ასეთი საქმის ქმედება ამაო ცდაა და ისტორია ამ პოლიტიკის სულისჩამდგმელებს სამართლიან განაჩენს გამოუტანს. აფხაზი და ქართველი ხალხის ურთიერთდაახლოებაში კულტურულმა და მეცნიერულმა თანამშრომლობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას.

ჩვენთვის მიუღებელია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულება დევნილი სოხუმის ფილიალისადმი. ამ ათი წლის მანძილზე ხელისუფლებამ ვერ შეძლო, გამოეყო ფილიალისათვის სასწავლო კორპუსი, აღეჭურვა იგი ლაბორატორიებითა და კაბინეტებით ან თუნდაც უმნიშვნელო მატერიალური დახმარება გაეწია ჩვენთვის. პირიქით, ისინი ატარებდნენ სასწავლებლის კოლექტივის იგნორირების პოლიტიკას.

მრავალრიცხოვან მოლაპარაკებებს, ოფიციალურ შეხვედრებსა თუ მოსამზადებელ სამუშაოებს, როგორც წესი, ახლოსაც არ აკარებდნენ სოხუმის ფილიალის თანამშრომლებს. მაშინ, როდესაც მათში მონაწილეობდნენ ისეთი პიროვნებები, რომლებიც სათანადო სიღრმით არ ფლობდნენ მასალას აფხაზეთის კულტურის, ეკონომიკის, ისტორიის, სოციოლოგიისა თუ პოლიტიკის საკითხებზე, ბევრი მათგანი აფხაზეთშიც კი არ იყო ნამყოფი.

უფრო მეტიც, არც ერთი ოფიციალური დოკუმენტის პროექტი არ ყოფილა გადმოგზავნილი სოხუმის ფილიალში საექსპერტო დასკვნისათვის.

ჩვენ გამოვიქვამთ იმედს, რომ 2004 წელს სურათი კარდინალურად შეიცვლება და აფხაზეთის საკითხების გადაჭრაში ჩაბმული იქნებიან საქმის მცოდნე, პრინციპული ადამიანები, მათ შორის, ჩვენი სასწავლებლის თანამშრომლები. სოხუმის ფილიალის პოტენციალი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული აგრეთვე სახალხო დიპლომატიაშიც. როგორც ცნობილია, ადამიანური ფაქტორი, პირადი ნაცნობობა, ძველი მეგობრული ურთიერთობანი, ნათესაური თუ მეზობლური კავშირები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ამა თუ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში.

სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივს არაერთხელ გამოუთქვამს უკმაყოფილება იმის გამო, რომ აფხაზეთში დაუფარავად ხორციელდება ქართველთა კულტურული გენოციდი. ეს, უპირველეს ყოვლისა, აშკარად ვლინდება ქართული ენის დევნაში. ქართველი ეროვნების ბავშვებს არ აძლევენ უფლებას, განათლება მიიღონ მშობლიურ ენაზე. აფხაზეთში იკრძალება ქართული გაზეთის, წიგნის გამოცემა და თვით საუბარიც კი ამ ენაზე.

აფხაზეთში ქართველთა კულტურული გენოციდი ხდებოდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წაყრუებით, რაც ობიექტურად ხელს უწყობდა ამ პოლიტიკის გატარებას. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, დუმდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც, რადგან ისინი არ ხედავდნენ მაშინდელი მთავრობისაგან სათანადო რეაგირებას.

ქართული საზოგადოებრიობა არ შეურიგდება წაყრუების პოლიტიკის გაგრძელებას და გამოთქვამს იმედს, რომ უახლოეს მომავალში ეს პოლიტიკა ძირფესვიანად შეიცვლება და ხელისუფლება არა მარტო თავად მიიღებს სათანადო ზომებს, არამედ ამ პროცესისადმი საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღებასაც მიაპყრობს.

ბუნებრივია, ეს საკითხი ერთი დღის გადასაჭრელი არ არის, ამას დრო დასჭირდება, მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით ყოველდღე უნდა მიმდინარეობდეს. უნდა ხდებოდეს კონკრეტული ფაქტების ყოველდღიური გამოვლენა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის მისი გაცნობა.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ცდილობს გადაიბიროს ქართული ეროვნების ახალგაზრდობა, შეუქმნას მათ ხელსაყრელი პირობები რუსულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად, რათა ისინი საბოლოოდ მოსწყვიტოს ქართულ სამყაროს. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ამ პოლიტიკას წინ აღუდგა, ნაწილმა კი მიიღო შემოთავაზებული პირობები, რადგან სათანადო მხარდაჭერა ვერ იპოვა თბილისში. ჩემი აზრით, საჭიროა გაფართოვდეს დღეს მოქმედი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ამ რეგიონის აბიტურიენტების თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში უფასოდ მომზადებას. ასეთი მომზადების ერთ-ერთ კერად უნდა გამოცხადდეს აგრეთვე თსუ სოხუმის ფილიალიც.

ვფიქრობ, რომ ეს საკითხები მოგვარებადია და ახლო მომავალში ამ მიმართულებით გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები, რომელსაც მხარს დაუჭერს სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობა.

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

დღევანდელი მოდერნი ხვალ შეიძლება კლასიკად იქცეს

"ტიფლისის ოპერისა და ბალეტის თეატრის პრემიერი, ილიკო სუხიშვილი..." - ეწერა 1929 წლის აფიშაზე მაშინ, როდესაც ანსამბლი ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. არსებობს კიდევ ფოტო, რომელსაც აქვე ხედავთ და სადაც სრულიად ახალგაზრდა ნინო რამიშვილი ჩოხასა და ფაფახშია გამოწყობილი. ასე რომ, მოდერნად წოდებული პატარა ილიკოს დადგმები იმ ხნისაა, კლასიკადაც შეიძლება ჩავთვალოთ... ილიკო სუხიშვილმა ოჯახური ტრადიციები დიპლომითაც გაამყარა და მოსკოვში ВГИТИС-ი დაამთავრა, თეატრის პლასტიკის სპეციალობით. სპეციალობის პედაგოგს, გვარად კარპოვს, სახეზე არავინ იცნობდა, მაგრამ "მოსფილმის" ფილმებში თუ რაიმე ტრიუკი დადგმულა, ყველა მისი გაკეთებული იყო. ილიკოს ძალიან უნდოდა მის ჯგუფში მოხვედრა და ეს პროფესიის გარდა, შეიძლება ბიჭური ინტერესიც იყო - გაკვეთილებზე წაქცევის ხელოვნებას ეუფლებოდნენ, ნამდვილისგან არაფრით განსხვავებულად უნდა ეჩხუბათ, ერთმანეთისთვის ნივთები ისე უნდა ესროლათ, რომ არაფერი გატეხილიყო და თან ისე, რომ ერთმანეთი არ დაეზიანებინათ. დინასტიურად "ხანჯლურის" მოცეკვავე ილიკოს ამ საგანში საკმაოდ მაღალი ნიშნები ჰყავდა... და კიდევ ერთი "დინასტიური" თვისება - სუხიშვილების კონცერტზე ბილეთები ყველა დროში ჭირდა.

მაია ჭალაგანიძე

- პრესაში თითქმის არ ჩანხართ. რატომ?

- როცა ჩემს ინტერვიუებს ვკითხულობ ხოლმე, ის არ წერია, რაც მე ვთქვი. ზოგჯერ მეტყველებაში ზედმეტ სიტყვებს მოიშველიებ, მაგალითად, "იცით, რა... აი..." და ასეთებს, აი, ამ ზედმეტ სიტყვებს, სათაურში გამოტანილს ვხედავ. ეს რეკლამა არ არის და არაფერში არ მეხმარება.

- რამდენი ხანია, რაც აღარ ცეკვავთ და დადგმაზე გადახვედით?

- ამას თავისი ნიუანსები აქვს. ცეკვა ისეთი პროფესიაა, რომ შეიძლება, 20 წლის ასაკში პენსიონერი გახდე და შეიძლება 50 წლამდე იცეკვო. 12 წლიდან სცენაზე ვარ, სამი წელია, რაც ცეკვებს ვდგამ.

- მოცეკვავეების როტაცია სტაბილურად ერთსა და იმავე ასაკში ხდება?

- ასაკი განსაზღვრული არ არის. დასის ყველაზე ახალგაზრდა მოცეკვავე შეიძლება 16 წლის იყოს. უფროსი კი ინდივიდუალურადაა. ეს დამოკიდებულია შესაძლებლობებსა და გარეგნობაზეც კი - ზოგიერთი 60 წლამდე არ ჭაღარავდება.

- თქვენს მიერ შემოთავაზებული სიახლეები საზოგადოებამ არაერთგვაროვნად მიიღო. როგორც ვიცი, თავის დროზე, თქვენს ბებიას და ბაბუასაც სწორედ ამის გამო შეხვდათ წინააღმდეგობები...

- 30-იან წლებში სიახლედ აღიქმებოდა ყველაფერი, რასაც ილიკო და ნინო აკეთებდნენ - ცეკვებიც და კოსტიუმებიც აკადემიური გახადეს, კლასიკური სახე მისცეს იმას, რასაც ხალხი ქორწილებსა და ზეიმებზე ცეკვავდა. ამან გამოიწვია რეაქცია. გარდა ამისა, გაჩნდნენ ცეკვის ვარსკვლავები, რაც ადრე არასდროს ყოფილა. ბევრი ვეტერანი მოცეკვავე, მართლაც, ვარსკვლავი იყო.

- როდის დაერქვა სუხიშვილებს "ანსამბლი"?

- იმ დროს, როდესაც ანსამბლის შექმნა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. არანაირი საავტორო აზრი არ იყო მისაღები. ამიტომ, იდეა რომ შენარჩუნებულიყო და ანსამბლი შემდგარიყო, ბაბუამ მას "ხალხური ცეკვის" ანსამბლი დაარქვა. სინამდვილეში, ფესვები კი იყო ხალხური, მაგრამ ცეკვები სრულიად ახლად შექმნილი და იმ პერიოდისთვის ავანგარდული იყო. ავანგარდი და მოდერნი ყველა საუკუნეში არსებობს. დღევანდელი მოდერნი ხვალ შეიძლება კლასიკად იქცეს. ჩემი აზრით, ხალხი არასწორად აღიქვამს თანამედროვეობას. მაგალითად, ტანგო ყოველთვის მოდერნად დარჩება თავისი სტილით, მიმართვით, ფორმებით, გრძელი მუნდშტუკით. კონკრეტული დროის თანამედროვეობა - სიახლეა.

- როგორ მიიღო ანსამბლმა ახალი სტილი? ბატონი თენგიზის აზრიც საინტერესოა.

- თენგიზი სიახლეებისთვის წინასწარ არ შეგვიმზადებია. უბრალოდ, მუშაობის პროცესში რაღაც მომწიფდა, რაც ძველი და ახალი მოცეკვავეებისთვის საინტერესო აღმოჩნდა. მინოდების ახალი ფორმა გაჩნდა, შეიცვალა რეპეტიციის სტილი. ხანდახან შეკვეთაა და დასრულების ვადები გაქვს დაწესებული, მაგრამ როცა ასე არ არის, მუშაობის პროცესში, შეიძლება, ისეთი რამ გამოიკვეთოს, რაც ჩემთვისაც სიახლეა და საერთოდ არ ვაპირებდი ამის გაკეთებას.

როცა ნახაზი დასრულებულია, არსებობს ამ ნახაზის შევსების ბაზა - შეიძლება, ეს წამოვიდეს მუსიკიდან, შეიძლება სტილისტიკა ნახაზმა მოიტანოს.

ქართული ხელოვნების დიდი პრივილეგია მრავალფეროვნებაა. საქართველოში ერთმანეთისგან განსხვავებული ბევრი რეგიონია და ყველას თავისი სტილი აქვს - აჭარლებს, ქართლელებს, კახელებს, მთიელებს... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამგვარი მრავალფეროვნება არც ერთი ქვეყნის ფოლკლორში არ არსებობს. ცნობილია, რომ ესპანელებს ძალიან განვითარებული აქვთ საცეკვაო კულტურა და, ისე როგორც ჩვენთან, ბავშვობიდან დადიან ცეკვაზე - აქვთ სულიერი მიდგომა, ტემპერამენტი, მაგრამ მათ ის მრავალფეროვნება არ გააჩნიათ.

რა თქმა უნდა, დოლი და გარმონი ყველგან არის, მაგრამ რადიკალურად განსხვავებულია ხევსურული, ქართლის, ან კახეთის ცეკვა - სტილით, გადმოცემის ფორმით, ხასიათით - ერთმანეთისგან განსხვავდებიან.

- ხალხის რეაქციას განსაკუთრებულად ელოდით?

- ეს ცეკვები მუშაობის პროცესში შეიქმნა და ვადები განსაზღვრული არ ჰქონია. მართალია, მოლოდინი ყოველთვის არის, მაგრამ განსაკუთრებულად არ მიფიქრია იმაზე, თუ რას გამოიწვევდა - აღშფოთებაც იყო და სიმპათიაც.

ჩვენი მაყურებლის უმეტესობას ერთადერთი პრობლემა აქვს - როდესაც თავისი თანამემამულის კონცერტზე მიდის, ცუდის დასანახავად არის ჩასაფრებული. სხვა ქვეყნებში ხალხი დასასვენებლად, სიამოვნების მისაღებად, ახლის სანახავად მიდის კონცერტზე.

- ცნობილია, რომ უცხოელ მაყურებელს განსაკუთრებით ცეცხლოვანი ცეკვები მოსწონდა. შეიცვალა თუ არა მაყურებლის გემოვნება და ქართული ცეკვისადმი დამოკიდებულება?

- ჩვენ სხვადასხვაგვარ პროგრამას ვაჩვენებთ - გააჩნია, სად გამოვდივართ. ყველა სცენას თავისი ესთეტიკა აქვს. არის თეატრი, საოპერო სცენა, არსებობენ საფესტივალო, ღია სცენები. ხანდახან მხოლოდ "ასას" ჩატარების საშუალებაა, იმიტომ რომ დასის ყველა წევრს ვერ დაატევ სცენაზე...

ჩვენი ანსამბლი ბევრ ქვეყანაში რამდენჯერმე არის ნამყოფი და ბევრი ისეთი მოდის, ვისაც ჩვენი კონცერტი ნანახი აქვს. ასეთებს სიახლეები აინტერესებთ. ზოგჯერ, ისე როგორც ჩვენთან, კონკრეტულ რაღაცებზე უკრავენ ტაშს. შეიძლება, სამჯერ ჰაერში ტრიალზე ტაში არ დაუკრან, მაგრამ სწორ გასმაზე ოვაცია გაგიმართონ, ან "კინტაურს" აყვნენ ტაშით...

30-იან წლებში სიახლედ აღიქმებოდა ყველაფერი, რასაც ილიკო და ნინო აკეთებდნენ.

ქართული ხელოვნების დიდი პრივილეგია მრავალფეროვნებაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამგვარი მრავალფეროვნება არც ერთი ქვეყნის ფოლკლორში არ არსებობს.

დროის საგანგებოდ გასწრება და იმის მტკიცება, რომ წინ, ავანგარდში (რაც ქართულად ნიშნავს "ღობის იქით") ხარ, არ გამოვა.

- გულისხმობთ, რომ ქართველი მაყურებელი სიახლეებისთვის მზად არ აღმოჩნდა?

- პირიქით, ყველაზე "გათამამებული" და გემოვნებიანი ქართველი მაყურებელია. ყველაზე მეტად თბილისსა და საქართველოს ნებისმიერ კუთხეში გამოსვლისას ვნერვიულობთ. ქართველების 80 პროცენტს ბავშვობაში მაინც უცეკვია. შეიძლება, მომღერალი არ იყოს, მაგრამ სუფრაზე ყველა ქართველი მღერის. ასეა ცეკვაც.

სხვათა შორის, ეს მხოლოდ ქართული ხელოვნების მიმართ არ შეინიშნება. ჯაზის თუ სხვა სტილის უცხოელი ვარსკვლავების გამოსვლისას (ამას თავად შემსრულებლები ამბობენ) მაყურებელს ზუსტად იმ დროს აქვს რეაქცია, როცა საჭიროა. უცხოელებს ეს უკვირთ, რადგან მათ ჩვენი ქვეყანა სხვაგვარად წარმოუდგენიათ. ამერიკაში ეს იშვიათობაა - რეი ჩარლზი თვითონ რომ რაღაცას "ჩაახვევს" და სიხარულით ელის, რომ ხალხმა ეს გაიგოს, ქართველი მაყურებელი ზუსტად იქ იგებს...

- არის თუ არა ცეკვა ემოციების და გრძნობების გამოსახატავი ისეთივე ფორმა, როგორიც მხატვრისთვის ფუნჯი და მწერლისთვის კალამია?

- მწერალი ან მხატვარი ჩაუჯდება სახლში და ჩანახატებს გააკეთებს. ქორეოგრაფს კი თავში რომ რაღაც მოუვა, იმის განსახორციელებლად 80 კაცია საჭირო. განწყობილება და რამდენიმე მინიშნება შეიძლება ჩავიწერო, მაგრამ დადგმისთვის დაწვრილებითი სქემა არასდროს გამიკეთებია.

- დიქტატორი ხართ თუ ანსამბლში დემოკრატიაა?

- ანსამბლში სრული დემოკრატიაა. დიქტატურასა და მოთხოვნას შორის დიდი განსხვავებაა. უზარმაზარი შრომაა ჩადებული და ამის აგდებულად შეხედვის უფლება არავის აქვს.

გადაღების ან სპექტაკლის დადგმის დროს ნებისმიერი კარგი რეჟისორი, თუ მას საქმე უყვარს, მომთხოვნია. თუ თამაშობს და შემთხვევით არის მოხვედრილი, უაზრო დროებით წარმატებას წივილ-კივილით აღწევს. მთავარი ის არის, რომ ჩვენ გვაქვს ერთი მთლიანი ოჯახი, რომლის ნებისმიერი მოცეკვავე ოჯახის წევრია.

- თენგიზ სუხიშვილი როგორი აქტივობით ერევა პროგრამის შექმნაში, დადგმებში, საორგანიზაციო საკითხებში?

- თენგიზს, ჩემსა და ჩემს დას ნიანუს შორის ბუნებრივად გადანაწილდა ფუნქციები. რა თქმა უნდა, ყოველგვარ შემოქმედებით აზრს ერთად განვიხილავთ, მაგრამ თენგიზი უფრო ადმინისტრაციული და ორგანიზაციული საკითხებით არის დაკავებული, რაც ანსამბლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

- როგორ პირობებს ითხოვენ სუხიშვილები კონცერტში მონაწილეობის მისაღებად?

- პირველ რიგში, გამართული უნდა იყოს აპარატურა და განათება. ხშირად ასე არ არის და ძალიან მწყდება გული, როცა ვხედავ, რომ საზღვარგარეთ ნებისმიერ რიგით თეატრში უკეთესი ტექნიკური პირობებია, ვიდრე თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში. ჩვენთვის აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია, თავის შრომაში მოცეკვავემ ის ანაზღაურება მიიღოს, რაც მართლა ეკუთვნის, რადგან ეს უზარმაზარ შრომას მოითხოვს. ამიტომ, ფინანსური მხარეც პირობებში შედის.

ჩვენ სახელმწიფო ანსამბლი ვართ და ხშირად ოფიციალურ ღონისძიებებზე გვიწევდა გამოსვლა.

- ინაუგურაციაზე რას წარმოადგენთ?

- ეს ჯერ არ არის გადაწყვეტილი. საკითხავია, გევქნება კი ამის დრო? როცა საქმე კონკრეტულ მოვლენას ეხება, ყველამ წინასწარ იცის, რომ შეიძლება მაშინ დრო არ გვქონდეს - ან მოგზაურობაში ვიყოთ ნასული, ან დათქმულ ვადებში ახალი პროგრამა უნდა მოვასწროთ... რაც შეეხება ინაუგურაციას, მგონი, ორგანიზატორებს თავად არა აქვთ გადაწყვეტილი პროგრამის ტიპი - რა იქნება და როგორ.

- ახალს არაფერს ვიტყვი: საუკუნეა, ქართული ცეკვის კანონმდებლები ხართ. რა ურთიერთობა გაქვთ პლაგიატებთან?

- ჩვენი დადგმები, რა თქმა უნდა, ექსკლუზივია, მაგრამ ანსამბლებს შეუძლიათ, თქვან, ვინ დადგა ესა თუ ის ცეკვა და ვინ ასრულებს. ეს შეთანხმების საგანია. მეორე: ხელნერა ხელოვნების ნებისმიერ დარგშია საჭირო, ბევრი ამას ვერ ხვდება და კანონების უხეშად დარღვევით გადააქვთ რეპერტუარში. მაგალითად, "ხორუმის" ცნობილი გამოსვლა მარჯვნიდან უნდა ხდებოდეს და არა მარცხნიდან. ამით, რა თქმა უნდა, წესს არღვევენ, მაგრამ სასამართლოში არასდროს არავისთვის გვიჩივლია. ვინც ამას აკეთებს, აუცილებლად უნდა შეათანხმოს - თვითონ ჩავალ, სადაც არ უნდა იყოს ეს, აღვუდგენ და დავუდგამ, "ზეკარი" იქნება თუ "ჯუთა". მირჩევნია, ასე იყოს, ვიდრე მახინჯად შეაკოწიწონ.

- სუხიშვილებმა მთელი ეპოქა გაიარეს. ყველაზე ძალიან როდის უჭირდა ანსამბლს?

- უმძიმესი პერიოდები გადაუტანია. არც დარბაზი ჰქონდათ და დაშლის პირასაც ყოფილან მისული. ენთუზიაზმზეც უმუშავიათ... რა თქმა უნდა, მძიმე იყო ომის პერიოდი, მაგრამ ანსამბლი გადარჩა. პირადად მე 1990-1992 წლები მახსოვს. სამოქალაქო ომის მიუხედავად, რეპეტიციებს მაინც ვატარებდით, ბევრი სირთულე იყო. ზოგი მოცეკვავე რუსთავიდან დადის. იმ პერიოდში კი, გარდა იმისა, რომ არ იყო შუქი, გათბობა, ტრანსპორტი - სახიფათოც იყო ამ გზის გავლა და რეპეტიციაზე მოსვლა. მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობდით, რეპეტიცია არ ჩაგვეგდო.

- ვინ ცეკვავს დღეს ილიკო სუხიშვილივით?

- ძალიან ძნელად გასამეორებელი პლასტიკა ჰქონდა. შეიძლება, მუსიკალურად იმ თვლაში და რიტმში გააკეთო, მაგრამ მისი ინდივიდუალური სტილი რთული გასამეორებელია. არ მეგულება არავინ, ვინც ასე იცეკვებდა. ერთადერთი, რაც ოდნავ მიმსგავსებული გამოვიდა, ცეკვა "ილოურია." არსებობს 30-იან წლებში არტოს ბაღში გადაღებული რამდენიმე წამიანი "ილოური" ილიკოსა და ნინოს შესრულებით.

- ბებიას აზრი თუ იცოდით თქვენი შესრულების შესახებ და ხომ არ ამსგავსებდა დიდი ილიკოს სტილს?

- არასდროს ვყოფილვარ ვარსკვლავი და, მით უფრო, ილიკოს გვერდით ვერ დავდგები... ბებიას ქება არ უყვარდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ჩემი ცეკვა მოსწონდა.

- თქვენ და თბილისი, რომელიც ჭორების ქალაქია. ცხოვრობთ ქალაქგარეთ, არც მობილური გაქვთ. რატომ?

- მობილური არ მაქვს იმიტომ, რომ არ მჭირდება. ასე ვფიქრობ: ნივთი მაშინ უნდა გქონდეს, როცა საქმეში გეხმარება. მე არც ხელს მიშლის და არც მეხმარება. რაც შეეხება ქალაქგარეთ ცხოვრებას, ძალიან კარგია და თქვენც გირჩევთ.

ჭორებს ჩვეულებრივად ვხვდები, არ მაქვს აგრესია. როდესაც ჭორი რეალობას არ შეესაბამება, სულელური გამოდის და ჩვეულებრივად ვატარებ.

- ...და დოლის ხმა სულ თან გდევთ?

- ეს პროფესიონალი მოცეკვავეების ჩვევაა, მაგრამ დიდი ნაკლი აქვს - უარყოფითად მოქმედებს სმენაზე. შეგიძლიათ, ექსპერიმენტი ჩაატაროთ: დღეში 8 საათი უსმინოთ დოლის ტყაპუნს. ამის შემდეგ კიდევ შეიძლება შემთხვევით სადღაც აღმოჩნდეთ და გახარონ: აი, დოლი გვაქვსო...

- ცხოვრების დინამიკა, რიტმი შეიცვალა. თქვენს მიერ დადგმულ ცეკვებშიც ამიტომ მოხდა ეს?

- რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მიმაჩნია, რომ რაღაცები ქვეცნობიერად ხდება და, როგორც დრო მოქმედებს შენზე, ისე აღიქვამ იმ სფეროს, რომელშიც მუშაობ. დროის აჩქარება ყველგან იგრძნობა და, თავისთავად, ეს ცეკვაშიც გადმოდის. დროის საგანგებოდ გასწრება და იმის მტკიცება, რომ წინ, ავანგარდში (რაც ქართულად ნიშნავს "ღობის იქით") ხარ, არ გამოვა. დროს ეს თავისთავად მოაქვს.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

თეატრალური სარდაფი
პატრიკ ზიუსკინდი "კაფე როსინი" რეჟისორი ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

ᲙᲘᲜᲝ

რუსთაველი
"ნემოს ძიებაში" (ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 16:00; 18:00 სთ.

ამირანი
"ფრედი ჯეისონის წინააღმდეგ"
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

"რეალური სიყვარული"
დას: 15:00; 17:00 სთ.
ფასი: 5-8 ლარი

ᲪᲘᲠᲙᲘ

საახალწლო საცირკო პროგრამა
დას: 12:00; 15:00 სთ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

"ქარვასლა"
გეგა ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა III სართული

თანამედროვე ხელოვნების გალერეა
საახალწლო საშობაო გამოფენა "50 ახალგაზრდა მხატვრის საახალწლო სიუპრიზი"

ჰობი
თენგიზ მირზაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ფიროსმანის მოტივები" II დარბაზი

"საშობაო გამოფენა" I დარბაზი

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ჟიურის გადაწყვეტილებით, ყოველწლიური კონკურსის (2002-2003 წლების სეზონი) "საუკეთესო სცენური ნაწარმოებისთვის" მიენიჭათ:

1. სეზონის საუკეთესო წარმოდგენა
თავისუფალი თეატრის სპექტაკლი - "ტელემისტერია" – რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი

2. საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის
გოგი ჩაკვეტაძეს – სპექტაკლების "ნახვის დღე", "მშვიდობით ლომებო", "ქურდების მეჯლისი" განხორციელებისთვის თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში

3. მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის
შოთა ბეჟანიშვილს – პიტერ ბონას როლის შესრულებისთვის თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში "ქურდების მეჯლისი"

4. ქალის როლის (ახალგაზრდა შემსრულებელი) საუკეთესო შესრულებისთვის
ა) მაია ბესტავაშვილის – ნეას როლის შესრულებისთვის თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახლემწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში "ქურდების მეჯლისი"
ბ) მაკა გრემელაშვილს – ჯულიეტას როლის შესრულებისთვის თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში "ქურდების მეჯლისი"
გ) ქეთა ღორთქიფანიძეს – ლიზა-მელანიას როლის შესრულებისთვის ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში "აქ ერთ დროს ადამიანს უცხოვრია"

5. მამაკაცის როლის (ახალგაზრდა შემსრულებელი) საუკეთესო შესრულებისთვის
ზვიად აბაშიძეს – ჰექტორის როლის შესრულებისათვის თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში "ქურდების მეჯლისი"

6. საუკეთესო რეცენზიისათვის
დალი მუმლაძეს – "კაცია-ადამიანი?!" რუსთაველის თეატრში"
გამოქვეყნებული ჟურნალში "ომეგა" 2003, N4

ᲒᲐᲜᲣᲧᲠᲔᲚᲜᲘ

Stuck On You

ბობი და პიტერ ფერელების ფილმის გმირები, სიამის ტყუპები, ბობ და უოლტ ტენორები (მეტ დეიმონი და გრეგ კინერი) წვივით ერთმანეთზე არიან მიბმულნი. მიუხედავად ამისა, ისინი ჩინებულად გრძნობენ თავს და სხვაგვარი ცხოვრება არც წარმოუდგენიათ. ისინი იდილიურ კუნძულზე რესტორანში მუშაობენ და ნაირ-ნაირ სპორტულ შეჯიბრებებშიც დიდი წარმატებით მონაწილეობენ. პრობლემა მხოლოდ ერთია: ერთ-ერთ ძმას ჰოლივუდის ვარსკვლავობა უნდა, მეორეს კი – არა. და როცა მეორეც დათანხმდება, ძმის მიმართ სიყვარულს, ქალის სიყვარული დაჩრდილავს...

აი, ასეთ განსაცდელში აღმოჩნდნენ "განუყრელნი". მაგრამ დარდი არ გქონდეთ – ისინი ყოველგვარ გაჭირვებას მხიარულად და სასაცილოდ დაუძვრებიან.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ

ქართული თეატრის დღე - 14 იანვარი ბათუმშიც აღინიშნება. ამასთან ერთად, ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი დაარსების 10 წლის იუბილეს იზეიმებს.

ოპერის თეატრში გაიმართება კონცერტი, რომელშიც აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, სახელმწიფო კაპელა და თეატრის სოლისტები მიიღებენ მონაწილეობას. ბათუმის ოპერის თეატრის რეჟისორია გიზო ჟორდანია, რომელიც თეატრს დაარსებიდანვე ხელმძღვანელობს.

ოპერის თეატრის დასი 1993 წელს მაყურებლის წინაშე პირველად წარდგა სპექტაკლით – "აბესალომ და ეთერი". სოლო პარტიებს მაშინ ალექსანდრე ხომერიკი და მარინა ჯახუტაშვილი ასრულებდნენ.

ოპერის თეატრში დღეს თბილისელ სტუმრებსაც ელიან. **მედიანიუსი**

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲐᲜᲓᲔᲛᲘ

დიზაინერები ზალიკო ბერგერი და სალომე სულაბერიძე უახლოეს მომავალში თეატრალიზებული ჩვენების მოწყობას გეგმავენ. ჩვენებაზე ბერგერი 20-მდე საღამოს კაბასა და აქსესუარებს წარმოადგენს. გაზაფხულისთვის კი თექის მწარმობელ კომპანია "კრავთან" ერთობლივი ჩვენების მოწყობას აპირებს. თბილისის შემდეგ ეს ჩვენება ბაქოშიც მოეწყობა. **ინტერპრესი**

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲐᲠᲐᲩᲝᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

თეატრის საერთაშორისო დღეს მსოფლიო მარტში აღნიშნავს და, თუ არ ვცდები, ის "კომედი ფრანსეზის" ისტორიას უკავშირდება. საქართველოში პროფესიული თეატრის დღეს 14 იანვარს აღნიშნავენ: 1850 წლის 14 იანვარს თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში, სცენისმოყვარეთა დასმა, ***გიორგი ერისთავის*** *რეჟისორობით, მისივე პიესა –* ***"გაყრა"*** *წარმოადგინა. თუმცა, თეორეტიკოსები თეატრის ისტორიას უძველეს, ქურუმთა საქმიანობასაც უკავშირებენ; ისტორიის კანონებს საქართველოც ემორჩილება: თეატრის ისტორიკოსები თრიალეთის უძველეს ვერცხლის თასზე მიგვითითებენ, სადაც ძველ ოსტატს მისტერია და ფერხული გამოუსახავს. ქართული თეატრის ისტორიაში ჩემი აზრით, მაინც ყველაზე შთამბეჭდავი დავით მაჩაბელის დასის ამბავია: ეს სასახლის კარის თეატრის – "სახიობის" დასი გახლდათ. აი ისინი, "ფიცხელ ომში რომ დაეცნენ". ეს 1795 წელს მომხდარა, კრწანისის ბრძოლის დროს. დღევანდელ დღეს თეატრალური საქართველო და თბილისი ქართული თეატრის დღეს თელავში, ვაჟა-ფშველას სახელობის დრამატულ თეატრში აღნიშნავს. დაწესებულია პრემიებიც, მათ შორის დავით მაჩაბლის სახელობის პრემიაც. უფრო დაწვრილებით თეატრალური თელავის შესახებ ჩვენი გაზეთის მეშვეობით ცოტა მოგვიანებით შეიტყობთ.*

მარჯანიშვილის თეატრი ხარაჩოებში

გიორგი ერისთავი

თბილისის ვაჟთა გიმნაზია

ქართულ თეატრზე საუბარს სოხუმის თეატრით დავიწყებ: თეატრის დასი უკვე ორი წელია, არც მეტი არც ნაკლები, კონტროლის პალატის შენობაშია და ამ შენობის ორი ოთახი უკავია. სოხუმელებმა ამ ორი წლის მანძილზე რამდენიმე სპექტაკლი ითამაშეს "მსახიობის სახლში", რუსთავის თეატრალურ ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა და სიმბოლურად "უცნობის" ვიდეო-კლიპის "ქორწილის" მთავარ გმირებად მოგვევლინენ. დასი, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შესანიშნავ ფორმაშია და ბოლოს და ბოლოს სცენას, ან, უკეთეს შემთხვევაში, მშობლიურ სცენას იმსახურებს.

14 იანვრისთვის სტატიის დაწერას რომ ვაპირებდი, ცხინვალის თეატრის დირექტორს, ბატონ ზაზა თედიაშვილს დავურეკე, მონდოდა გამეგო, თბილისში ყოფნის აგერ უკვე ცამეტი წლის შემდეგ, დასი თავს როგორ გრძნობდა და ახალს რას აკეთებდა. ბატონმა ზაზამ მითხრა, რომ რეჟისორი ნუკრი ქანთარია, ირაკლი სამსონაძის პიესაზე მუშაობს. პიესის სახელწოდებაა "ვიღაც ნამდვილად მოდის".

ქართულ თეატრალურ რეალობაში ვიღაც რომ ნამდვილად მოვიდა, ეს ფაქტია: 2003-2004 წლების სეზონს თბილისის წამყვანი თეატრები ხარაჩოებში ხვდებიან და ამ ხარაჩოების ავტორი ცდილობს, რომ ინკოგნიტოდ დარჩეს. ცდილობს, მაგრამ არ გამოსდის, იმიტომ რომ, რაც ნაკლებად რეკლამირებადია, ან ამ შემთხვევაში სულაც არ არის რეკლამირებადი, უფრო ხილვადია. ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს წმინდა წყლის ქველმოქმედებასთან, რაც დღევანდელ დღეს სასწაულის ტოლფასია.

"თავი სიზმარში მგონია" – მეუბნება მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი ბატონი გაიოზ კანდელაკი და ერთად ვიწყებთ თეატრის ისტორიის გახსენებას: სიმბოლურია, შენობა 1908 წელს ცნობილ მეცენატს, ზუბალაშვილს აუგია. **Народный дом им . Зубалова** – ეს წარწერა დღემდეა შემორჩენილი თეატრის შესასვლელთან, თაღზე. თავისთავად საინტერესო ეპოქა იყო და საინტერესო საზოგადოება იკრიბებოდა "სახალხო სახლში", იმართებოდა პოეზიის საღამოები. პარტერი დამრეცი არ ყოფილა, მაგრამ პატარა სცენა მაინც არსებობდა და სპექტაკლებიც იდგმებოდა. მაგრამ თეატრის ისტორია ფაქტობრივად მაშინ დაიწყო, როცა ქუთაისიდან, თავისი დასით თავად კოტე მარჯანიშვილი გადმოვიდა. ეს 1928 წელს მოხდა.

დღეს თეატრის ფასადი თუ ექსტერიერი, იატაკიდან ჭერამდე ხარაჩოებშია ჩასმული და თანაც მშენებლების გარდა, აქ რესტავრატორებიც ხელებდაკაპიწებულები მუშაობენ, იმიტომ, რომ ცენტრალურ ფოიეში გუდიაშვილის კედლის მხატვრობა გამოიკვეთა. "ჯერ კიდევ 9 წლის წინ ვარაუდობდა ცხონებული დიმა თაყაიშვილი, რომ აქ გუდიაშვილის აღმოჩენა შეიძლებოდა." – ამბობს ბატონი გაიოზი.

რესტავრატორებმა რუსთაველის თეატრში, ლეგენდარულ კაფე "ქიმერიონში," სუდეიკინის, გუდიაშვილისა და კაკაბაძის ხელით მოხატულ ფრესკებსაც არ დააკლეს ხელი. მაშინდელმა თბილისის მხატვრულმა ბოჰემამ, სწორედ დღევანდელ დღეს, 14 იანვარს, 1920 წელს გადაუხადა ტიციანსა და ნინა მაყაშვილს ქორწილი. სუფრას თურმე "ქიმერიონის" მზარეულები და ოფიციანტები ემსახურებოდნენ.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, რუსთაველის განახლებული თეატრი თავის 125-ე სეზონს, ალბათ, პომპეზურად (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) გახსნის. პომპეზურად-თქო იმიტომ ვამბობ, რომ უკვე ვიხილე თავად ბატონი რობერტ სტურუას მიერ შერჩეული თეატრის აქსესუარების ფოტოები: სკამები, ბრები, ქანდაკებები და გრანდიოზული ჭაღი. და დაახლოებით მივხვდი, რომ ეს იქნება კლასიკის ზეიმი მთელი თავისი ბრწყინვალებით. თავის 124-ე სეზონს კი რუსთაველის თეატრიც ხარაჩოებში ხვდება. თავად მაესტრო ამჟამად მოსკოვში იმყოფება და დიდი თეატრის სცენაზე "მაზეპას" დადგმითაა დაკავებული. პრემიერა 30 იანვარსაა დანიშნული.

ხარაჩოები უკვე ჩამოიხსნა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში. დასი მაესტროს დაბადების დღისათვის ემზადება. 6 თებერვალს, მიხეილ თუმანიშვილის დაბადების დღეს, კინომსახიობთა თეატრი საზეიმოდ გაიხსნება. ცოტაც დავიცადოთ და უფრო დაწვრილებით გიამბობთ ულტრათანამედროვე საგრიმიოროებისა, სარეპეტიციო დარბაზებისა და განათების შესახებ და კიდევ იმის შესახებ, რომ რეკონსტრუქციის მიუხედავად, ხელუხლებელი დარჩა სცენა, პრინციპულად ფარდის გარეშე, სამივე მხრიდან შეჭრილი მაყურებელთა დარბაზში. ეს მიხეილ თუმანიშვილის პრინციპი გახლდათ: - მოესპო ზღვარი მაყურებელსა და სცენას შორის, ისე როგორც ეს შექსპირის "გლობუსში" ხდებოდა.

ამ დღეებში მიხეილ თუმანიშვილის ჩანაწერებს ვკითხულობდი. ის თეატრის რანდენიმე სახეობას ჩამოთვლის: **1. თეატრი-ფურგონი** – ტრუბადურები, ოსტატობის დონე ძალიან დაბალი, **2. პომპეზური სანახაობები** (ნერონისა) – არსებული წყობის, მთავრობის განმადიდებელნი. გაქრა სიმართლე, ქადაგებენ ტყუილს. **3. ფსევდოპოლიტიკური** – სამთავრობო, ნებადართული, დისიდენტური თეატრი. **4. თეატრ-სტუდია** - აქ მუშაობენ. რაღაცის სწამთ, ცოტა გულუბრყვილო თეატრია. საზოგადოებრივ პრობლემებს თავს არიდებს, ან ოდნავ ეხება მათ. **5. ფსევდოსტუდია** – "პიჟონები"; თეატრის ყველაზე ცუდი და ყალბი ფორმა. **6. დამბანგველი თეატრი** – გამამხიარულებელი თეატრი, ოპერეტა. **7. პოლიტიკური თეატრი** – ტრიბუნა, მიტინგი. **8. საყოველთაო** (სამოქალაქო) – ეს ესქილეს თეატრია. შორიდან არც თუ ისე გასაგები, მაგრამ ხალხისთვის საჭირო თეატრია.

ამ კატეგორიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენთან ყველანაირი თეატრია. ამ ბოლო დროს კი საკმაოდ მომძლავრდა ნერონის ტიპის თეატრები, პომპეზური, ქუჩის მაამებელი, სამთავრობო სანახაობები. და კიდევ, მათ ვისაც გონიათ, რომ პოლიტიკურ თეატრს აკეთებენ, სინამდვილეში, მე-3-ე კატეგორიას განეკუთვნებიან, ე.ი. დიდი მაესტროს სიტყვებით რომ ვთქვათ, სინამდვილეში ფსევდოპოლიტიკურ თეატრს აკეთებენ და ნებედართული დისიდენტები ბრძანდებიან. საბედნიეროდ საყოველთაო თეატრიც გვაქვს, "შორიდან არც თუ ისე გასაგები" – დავაკონკრეტებ და, ალბათ, ყველა დამეთანხმება – ეს მაინც რუსთაველის თეატრია.

საერთოდ კარგია, ამდენი თეატრი რომ გვაქვს, გინდათ პომპეზური სანახაობები ნახეთ და გინდათ "პიჟონური", გინდათ პოლიტიკური და გინდათ ფსევდოპოლიტიკური. ყველაფერი ხომ დიდი ხნის წინათ, უფრო ოფიციალურად კი 1850 წლის 14 იანვარს დაიწყო. გილოცავთ.

P.S. ქალაქში ხმა დაირხა ჭოლა "ხანუმას" დგამსო: მივედი და რეპეტიციასაც დავესწარი. "ეს გამომშვიდობება იქნება ძველ თბილისთანო" – მითხრა რეჟისორმა და მერე დაამატა: "ახალი დრო დგება, დღეს უკვე ასე მგონია ასეთი საქართველო, როგორსაც ჩვენ შეჩვეულები ვიყავით, აღარ იქნება. გაუთავებელი ქეიფების, სადღერძელოების დრო წავიდა, დროსა და განათლებას მეტი ფასი ედება. ეს გარდაუვალია. ეს კარგიც არის და სევდიანიც"-ო.

რობერტ სტურუა რეპეტიციაზე

რუსთაველის თეატრის სპექტაკლი "სტიქსი"

ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲗᲔᲝᲜᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

უკანასკნელი საჩუქარი ტომ ფორდისგან

თამარ ბაბუაძე

ორი "მამა", შემოქმედებითი და ფინანსური, ტომ ფორდი და დომენიკო დე სოლე "გუჩის" სახლს აპრილში სამუდამოდ მიატოვებენ. ამას ტომ ფორდის მრავალი თაყვანისმცემელი ძალზე მტკივნეულად აღიქვამს, თუმცა, "გუჩის" ჯგუფში, რომელსაც ფორდის შემცვლელი ჯერჯერობით ნაპოვნი არ ჰყავს, სიცოცხლე მაინც გრძელდება. ამაზე ის სიახლეებიც მეტყველებს, რომელთა შესახებაც ხელმძღვანელები მოდის ჟურნალებს პერიოდულად უმხელენ ხოლმე. სიახლეებს შორის, პირველ რიგში, ორი ახალი სუნამო უნდა გამოვყოთ – "გუჩი" მამაკაცისათვის და "გუჩი II" ქალებისთვის, რომლებიც საქართველოში მისმა ოფიციალურმა პარტნიორმა "ისი პარის" მაღაზიათა ქსელმა შემოიტანა. ცხადია, ჩვენს ქალაქში, სადაც იტალიელებისთვის დამახასიათებელი ისტერიკულობითა და სიამაყით ანადგურებენ "გუჩის" ლოგოთი დამშვენებულ ხელჩანთებს, მის ძველ, მაგრამ დაუვიწყარ "ენვისა" და "რაშს", ამ სიახლემ საკადრისი ყურადღება დაიმსახურა. თუმცა, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ასეა მთელ მსოფლიოში. სხვადასხვა ინტერნეტ-გვერდებზე განთავსებულ ვებ-ფორუმებში "გუჩის" თაყვანისმცემლები აღნიშნავენ, რომ ამ ახალი სუნამოებისთვის ლოდინი ღირდა; რომ ორივე – მამაკაცებისა და მანდილოსნების განკუთვნილი არომატი თანაბრად ამართლებს "გუჩის" პრესტიჟულობას, ხარისხსა და დახვეწილობას.

"გუჩი II" ქალებისთვის

ძლიერების ახალი ფორმულა "გუჩისგან"

ასე რომ, ფორდი, რომელმაც ერთხელ თქვა, ბოლო 13 წლის განმავლობაში "გუჩი" ჩემს ცხოვრებად იქცაო, მიდის ("ვოგის" ცნობით, სავარაუდოდ მან ბედი კინოპროდიუსერობაში უნდა სცადოს) და თან ვარსკვლავთა მთელი ამალა მისტირის; მაგრამ რაც არ უნდა ირონიული იყოს, ორივე ახალი სუნამო, რომლებმაც მსოფლიო უკვე აალაპარაკა, სწორედ მისი ხელდასმითაა შექმნილი.

გაინტერესებთ, რით "ჩაიჭირა" ყნოსვაგამახვილებული პუბლიკა ამჯერად ლეგენდარულმა დიზაინერმა? მაშ ასე, მოგახსენებთ: ტომ ფორდი თავადაც ელეგანტური მამაკაცია და შესანიშნავად ესმის, როგორ დაეხმაროს ძლიერი სქესის წარმომადგენლებს საკუთარი ძლიერების წარმოჩენაში.

მამაკაცთა ეს ეპოპეა "გუჩიმ" 1998 წელს "ენვის" გამოშვებით დაიწყო, 2000 წელს "რაშით" გააგრძელა, ახლა კი ამ უკვე სუპერწარმატებულ არომატებს ახალს, Gucci Pour Homme-ს უმატებს. პირველი – "ენვი" (ალბათ, კარგად გახსოვთ ამ სუნამოს ეროტიკული სარეკლამო ფოტო) სურვილის სფეროდან იყო, მეორე – "რაში" თანამედროვეობიდან გახლავთ, მესამე – Gucci Pour Homme კი მამაკაცებს ფუფუნების სამყაროდან ეწვია. ფორდი ამტკიცებს, რომ ეს სურნელი მარადიულ მამაკაცურ ფასეულობებს – თვითრწმენას, მგრძნობიარობას და წარმატების მაცდუნებელ ძალას წარმოაჩენს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სურნელი დახვეწილი და კლასიკურია, ის ზედმიწევნით თანამედროვეც გახლავთ. "გუჩის" მიერ შექმნილი "ახალი მამაკაცი" (მას სარეკლამო ფოტოზე მოდელი დევიდ სმიტი წარმოადგენს) თანამედროვე, მაცდუნებელი და ძლიერია. ამ უკანასკნელ ასპექტს კი შესანიშნავად გადმოსცემს თავად ფლაკონიც – მასიური ოთხკუთხედი შუშა, მძიმე არქიტექტურული ფორმებითა და ყავისფერი მეტალის თავსახურით.

რაც შეეხება, ქალებს, ტომ ფორდი ხომ, პირველ რიგში, სწორედ მათი გულთამპყრობელი და მესაიდუმლე იყო. ასეა Gucci Eau De Parfum II-ის შემთხვევაშიც. თუ "გუჩის" თაყვანისმცემელი ხართ, აუცილებლად გემახსოვრებათ, რომ პირველი Gucci Eau De Parfum-ი 2002 წელს გამოვიდა – ისიც მასიური შუშის ფლაკონში, შოკოლადისფერი სითხით. 2003 წლით დათარიღებულ მეორე ვარიანტს ორიგინალისგან "აზიურობა" განასხვავებს. "გვსურდა, ახალი მომხმარებელი მიგვეზიდა; ისინი, ვინც ჩვენგან აღმოსავლურ განწყობას ელოდნენ", - აცხადებენ "გუჩის" წარმომადგენლები და პუბლიკის კიდევ უფრო დასაინტრიგებლად დასძენენ: "ვარდისფერი უფრო გაფერმკრთალდა, თვალები დაწვრილდა, სახე შეიცვალა, პირველი სუნამო ამერიკული იყო, მისი უმცროსი და კი აზიელი გახლავთ. თუმცა, ორივე თვითრწმენით სავსე, მგრძნობიარე, თავხედური და ბუნებრივია. ახალს სურნელს რომაული ციფრი – II ამშვენებს – როგორც ორი ჩინური ჩხირი, ან სამეფო ტრიუმფი, ანდა გამარჯვების ნიშანი".

როგორც ხედავთ, ფორდს შემოქმედებითი დირექტორის რანგში შემოქმედებითი მიდგომა არასდროს ღალატობს. მან ძველ რომაულ ციფრსაც კი აზიური დატვირთვა მოუძებნა და ის ჩინური საჭმლის ჩხირებთან გააიგივა – სურნელის აღმოსავლურობის ხაზგასასმელად.

თუმცა, ცივი არომატების მოყვარულებს "გუჩის" ახალი ინტრიგა აზიურობის შესახებ ნუ შეაშინებს. ვარდისფერი "გუჩი II", თავისი ქარვისფერი წინამორბედისგან განსხვავებით, გრილი და ყვავილოვან-ხილოვანია, რასაც მანდარინი, მწარე ფორთოხალი და ჟასმინი უზრუნველყოფს. რაც შეეხება სურნელის თავხედურობას, მას ვიდეოგოლზე დადებული მუსიკაც გამოხატავს – ჯგუფ White Stripes-ის პროვოკაციული და ძალზე რიტმული ჰიტი Seven Nation Army. სწორედ ამ ენერგიული და გადამდები სიმღერის ფონზე წარმოგვიდგენს "გუჩი" თავის ახალ კონცეფციას – როგორ მდიდრდება აზიური სინაზე და სიფრთხილე თანამედროვე ქალების თავხედობითა და გაბედულებით...

ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ

ამერიკელების დამსახურებული სახალხო არტისტი ლამაზმანია

"ოსკარების" ცერემონიალამდე სულ რაღაც ორი კვირაა დარჩენილი, მაგრამ გარკვეული პროგნოზების გაკეთება უკვე შესაძლებელია. ვარაუდებისთვის მეტად გამოსადეგია ის შედეგები, რითაც გასულ შაბათ-კვირას კალიფორნიაში ორი პრემიის გადაცემის ცერემონიალი დამთავრდა. ამერიკაში ხალხისა და კრიტიკოსების არჩევანი გახდა ცნობილი.

ჯულია რობერთსი


მელ გიბსონი

"ხალხის არჩევანი" ამერიკულ კინო და ტელეიმპერიებში ყველაზე დემოკრატიულადაა მიჩნეული. პრემიის ფავორიტები "გელაპის ინსტიტუტმა" ინტერნეტით მიმდინარე არჩევნების შედეგების შეჯამებით გამოავლინა. ჯილდო კინოსა და ტელევიზიაში მიღწეული წარმატებებისთვის თვრამეტ ნომინანტს მიენიჭა. ყველაზე მეტი რაოდენობის სახალხო ჯილდო, ტრადიციულად, კინემატოგრაფიის მოღვაწეებს გადაეცათ. პრემია რამდენიმე თავისებურებით გამოირჩევა. მაგალითად, გამარჯვებულ მსახიობებთან არ მოიხსენიება მათი კონკრეტული როლები. ხოლო, ხმების უმრავლესობა შეიძლება მიიღოს მსახიობმა, რომლის მონაწილეობითაც იმ წელს არცერთი ფილმი არ გამოსულა ეკრანებზე.

2003 წლის ფავორიტი მსახიობები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში არ ბრწყინავდნენ შემოქმედებითი მიღწევებით. ჯულია რობერთსი, რომელიც უკვე მეცხრედ ხალხის რჩეული, 2003-ში გადაიღეს სუსტ ფემინისტურ დრამაში "მონა ლიზას ღიმილი", ხოლო მელ გიბსონი, გამობრწყინდა მხოლოდ ასევე ძალიან სუსტ მიუზიკლში "მომღერალი დეტექტივი". სწორედ ეს ორი მსახიობი მიიჩნევა ჰოლივუდური კინოს ბრწყინვალეებად. ჯულია რობერთსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი მართლაც ამერიკელების ყველაზე საყვარელი მსახიობია. რობერთსთან ერთად წელს ჯილდოს ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ: სანდრა ბალოკი, კამერონ დიასი, ჰოლი ბერი და ჯენიფერ ლოპესი. როგორც ამერიკაში ამბობენ, ჯულია რობერთსი ახლა იქ ისეთი პოპულარულია, როგორც მეოცე საუკუნის 40-50-იანი წლების ჰოლივუდის სუპერვარსკვლავები. რეჟისორი ჰარი მარშალი, რომელმაც რობერთსი გადაიღო ფილმებში: "ლამაზმანი" და "გაქცეული პატარძალი", ამბობს კიდეც, რომ ჯულია რობერთსი ოდრი ჰეპბერნისა და ლიუსილ ბოლის ჰიბრიდია... ჯულია რობერთსის შემთხვევაში ყველაზე საოცარი ისაა, რომ მსახიობმა მოახერხა დარჩენილიყო ამერიკელების სიმპათიად, იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მის პირად ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები საჯარო განხილვის თემადაც იქცა.

"ხალხის არჩევანის" პრემია მიენიჭა საუკეთესო კომედიის ნომინაციაში გამარჯვებულ ფილმს "ყოვლისშემძლე ბრიუსი"; საუკეთესო დრამის ტიტული მიენიჭა – "ბეჭდების მბრძანებლის" მესამე ნაწილს; საუკეთესო ფილმად კი (კინოს ჟანრებისგან დამოუკიდებლად) "კარიბის ზღვის მეკობრეები" აღიარეს. პრემია "ყველა დროის შოუმენი" ტომ ჰენქსს მიანიჭეს.

სატელევიზიო კატეგორიების საუკეთესო ნომინანტების არჩევისას არანაკლებ ტრადიციული აღმოჩნდა რიგითი მაყურებელი. საუკეთესო სერიალის ტიტულით აღინიშნა "მეგობრები" (წელს ექვსი ნიუ იორკელის ისტორია და თავგადასავლები მეათედ, ბოლოჯერ გამოჩნდება ეკრანებზე); საუკეთესო ტელემსახიობად მიიჩნიეს ჯენიფერ ენისტონი, რომელიც ამავე სერიალშია გადაღებული; საუკეთესო ტელეწამყვანი კი ოფრა უინფრი აღმოჩნდა.

"ხალხის არჩევანის" გამოვლენამდე ერთი დღით ადრე ქალაქ პასადენაში, "ბევერლი ჰილზის" სასტუმროს ჰოლში ყოველწლიური ჯილდოები გასცა კინოკრიტიკოსების ამერიკულმა ასოციაციამ. "ხალხის არჩევანისგან" განსხვავებით, 182 კრიტიკოსი არჩევანი მკაცრი ელიტარული კანონებით ხელმძღვანელობს.

რიგითი მაყურებლისგან ცოტა "დაჩაგრულ" ახალზელანდიელ რეჟისორს პიტერ ჯექსონს ამჯერად გაუმართლა და იგი კრიტიკოსების ფავორიტი აღმოჩნდა: კრიტიკოსებმა მისი მასშტაბური საგა "ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება" საუკეთესო ფილმის, მუსიკისა და მსახიობთა დასის პრემიებზე წარადგინეს. საუკეთესო მსახიობად აღიარეს შონ პენი (შავ კრიმინალში – "საიდუმლო მდინარე"), ხოლო საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის დააჯილდოეს ტიმ რობინსი (რომელიც იმავე ფილმში თამაშობს შონ პენის ბავშვობის მეგობრის გმირს). "საიდუმლო მდინარის" რეჟისორი კლინტ ისტვუდი კინემატოგრაფიულ კარიერაში მიღწეული წარმატებებისთვის დააჯილდოეს.

მანდილოსნებს შორის საუკეთესო როლის შესრულებისთვის პრემია მიიღო შარლიზ რტერონმა (ფილმში "სასნაული"); ხოლო საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის – "რენე ზელვეგერმა" (ფილმში "ცივი მთა").

წლის საუკეთესო ანიმაციურ ფილმად აღიარებულია "ნემოს ძიებაში"; საუკეთესო უცხოურ ფილმად კი – კანადელი დენი არკანის Les Invasions barbares. რიგითი მაყურებლების ფავორიტი "კარიბის ზღვის მეკობრეები" ამერიკელმა კრიტიკოსებმა მხოლოდ "ოჯახური კინოს" ნომინაციის გამარჯვებულად აღიარეს. ასე რომ, მითი, თითქოს ამერიკელი ერი ერთი მთლიანი და მეგობრული ოჯახია, კიდევ ერთხელ "დადასტურდა".

მორიგი ცეკვა მგლებთან და სიყვარული პუერტო რიკოში

ორიოდე სიტყვა 2004 წლის ახალი კინოპროექტების შესახებ

ზოგი ბერტოლუჩის "მეოცნებენის" პრემიერას ელის, ზოგი კი ანტონი მინგელას "ცივი მთის" მიმართ არ იშურებს თბილ სიტყვებს. იწყება "ოქროს გლობუსისა" და "ოსკარის" სეზონიც და მოკლედ, სიცოცხლე მსოფლიო კინოში დუღს.

ამას ისიც ადასტურებს, რომ დღეში რამდენიმე ახალი კინოპროექტის შესახებ მაინც კეთდება განცხადება. აი, რამდენიმე სიახლე, რომელსაც ცნობილი მსახიობები და რეჟისორები გვთავაზობენ:

ინგლისელი ჯერემი აირონსი, როგორც თავად აცხადებს, "ზეციურ სამეფოში" მიემგზავრება. სწორედ ასე ჰქვია რიდლი სკოტის ახალ რომანტიკულ ფილმს, რომელშიც მოქმედება მე-12 საუკუნის ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში ხდება.

110 მილიონ დოლარიანი ბიუჯეტის მქონე პროექტს "ფოქსი" ახორციელებს. აირონსთან ერთად ფილმში ლიამ ნისონიც თამაშობს, ხოლო ახალგაზრდა გლეხის როლს ასრულებს ორლანდო ბლუმი, რომელიც სამეფოს გადაარჩენს და მშვენიერი პრინცესა (ევა გრინი) შეუყვარდება. გადაღებები 12 იანვარს მაროკოში დაიწყო და ესპანეთის რამდენიმე ქალაქში გაგრძელდება, კერძოდ კი, გრენადაში, კორდობაში, ხერესში, სეგოვიასა და სევილიაში.

კევინ კოსტნერი ახალ ვესტერნს იღებს

რაც შეეხება აირონსს, მას თავისი წილი "ოსკარი" 1991 წელს ფილმისთვის Reversal of Fortune ერგო. ბოლოს კი მან მაყურებლის მოხიბლვა რამდენიმე სურათით შეძლო: ფრანკო ძეფირელის "მუდამ კალასითა" და კლოდ ლელუშის "ახლა კი ქალბატონებო და ბატონებო".

რიდლი სკოტს მხარს უბამს კევინ კოსტნერიც. "ოსკარით" დაჯილდოებული "მგლებთან ცეკვისა" და შარშანდელი "ღია არეს" შემდეგ, რეჟისორად ქცეული მსახიობი ახალ ვესტერნზე იწყებს მუშაობას. "ჰორიზონტი" ასე ჰქვია ფილმს, რომელშიც კოსტნერი მთავარ როლს თავად შეასრულებს. მას იმედი აქვს, რომ "ჰორიზონტი" წარმატებებს მოუტანს, რადგან ვესტერნებში კოსტნერს, როგორც წესი, უმართლებს ხოლმე. იგივე "ცეკვა მგლებთან" შვიდი "ოსკარით" აღინიშნა, მათ შორის იყო ჯილდოები საუკეთესო ფილმისა და რეჟისურისთვის. კოსტნერმა ითამაშა ასევე წარმატებულ ორ ვესტერნში – "უაიტ ერპი" (1994 წ.) და "სილვერადო" (1985 წ.).

ასევე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ახალი პროექტია "რომის დღიური", რომელსაც ბენისიო დელ ტორო იღებს. ამის შესახებ განცხადება ჯერ კიდევ ნოემბერში გაკეთდა, გადაღებები კი დეკემბრიდან უნდა დაწყებულიყო.

დებიუტანტი რეჟისორი და ცნობილი მსახიობი "რომის დღიურს" ჰანტერ ტომპსონის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით იღებს. ფილმში ასევე თამაშობენ ნიკ ნოლტი, ჯონი დეპი და ჯოშ ჰარტნეტი.

წიგნი ავტობიოგრაფიული დეტალებითაა სავსე და მოქმედება 1959 წელს ხდება. მიდლტაუნის პატარა გაზეთში მუშაობისას ტომპსონს ტკბილეულის გასაყიდი ავტომატი მოატყუებს და ის მანქანას წიხლს ჩაცხებს. ამ საქციელისთვის 22 წლის რეპორტიორს სამსახურიდან დაითხოვენ, რის შემდეგაც ის პუერტო რიკოში მოხვდება და ყოველდღიური რეპორტაჟების პარალელურად რომანის წერას დაიწყებს...

თავიდან წიგნის გამოქვეყნებაზე ტომპსონმა უარი მიიღო. რომანი მწერლის არქივებიდან მხოლოდ 40 წლის შემდეგ ამოიღეს და 1998 წელს გამოსცეს.

ახლა 66 წლის პუბლიცისტი და ათზე მეტი წიგნის ავტორი, რომელიც რეგულარულად თანამშრომლობს ჟურნალ "როლინგ სტოუნთან", მთლიანად ბენისიო დელ ტოროს კინოპროექტზეა გადართული. ის პუერტო რიკოში გატარებული ახალგაზრდული წლების შემდეგ პირველად აპირებს უკან დაბრუნებას და გადაღებებზე დასწრებას.

"არც ვიცოდი ჯონი დეპმა მსახიობობა მართლა თუ იცოდა, სანამ მან მე არ განმასახიერა ჩემი რომანით გადაღებულ ფილმში "შიში და სიძულვილი ლას ვეგასში", - განაცხადა მწერალმა. ახლა ის კინოს "ცუდი ბიჭების" მთელ ბანდას – დეპის, დელ ტოროსა და ნოლტის პუერტო რიკოში კიდევ ერთხელ შეხვდება, სადაც ხელახლა გათამაშდება ტომპსონის ალკოჰოლით, კარიბული სიცხითა და ვნებით სავსე რომანი.

სიახლე აქვთ ირლანდიელებსაც. მალე ფილმად აქცევენ 1998 წლის ომაჰის ტერორისტულ აქტსაც, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის 30-წლიან კონფლიქტში ყველაზე სისხლიანი შეტევა იყო. 1998 წლის 15 აგვისტოს, ომაჰის ბაზარში 500-ფუნტიანი ბომბის აფეთქებას, რომელიც მანქანაში იყო ჩამონტაჟებული, 29 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის იყო ფეხმძიმე ქალი, რომელიც ტყუპებს ელოდა. "ხალხს ბოლომდე არ ესმის ის ტრაგედია, რაც დაღუპულთა ოჯახებმა გადაიტანეს. ფილმის საშუალებით მათ ტკივილს უფრო მეტი ადამიანი გაიზიარებს", - აცხადებენ პროექტის ავტორები. ფილმს ირლანდიის ფილმის საბჭო, სახელმწიფო სატელევიზიო კომპანია RTE და ბრიტანეთის მეოთხე არხი აფინანსებს. პრემიერა რამდენიმე თვეში შედგება.

აი, მოკლედ ახალი კინოპროექტების შესახებ, რომელთაც მხოლოდ კომერციულსა და ჰოლივუდურს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. ეს კი, თავის მხრივ, იმის გარანტია, რომ საინტერესო და სისხლსავსე ცხოვრება საერთაშორისო კინოში "ოსკარის" – 29 თებერვლის შემდეგაც გაგრძელდება.

ახალი წელი, ახალი იმედები, ახალი პერსპექტივები

გიგა გურასაშვილი

2003 წლის ქართული სპორტის მონაგარი გუშინაც შეგვახსენეს. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში შარშანდელი შედეგებისთვის თვალის გადასავლებად სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი მეძმარიაშვილმა მიგვიწვია. მიგვიწვია გასული წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე, რომელსაც, 2003 წლის მიღწევების შეხსენების გარდა, სხვა დატვირთვაც ჰქონდა – ახალი წელი ახალი იმედებით, ახალი პერსპექტივებით.

მეძმარიაშვილმა თავიდანვე აღნიშნა, რომ 2003 წლის შედეგები კარგად იქნა შეფასებული, მაგრამ წინ გაცილებით სერიოზული დღეები და თვეები გველის. ახლოვდება ათენის ოლიმპიური თამაშები. მასში მონაწილეებისთვის კი ჯერ ლიცენზიებია მოსაპოვებელი. ფედერაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ოლიმპიური ლიცენზიების 90 პროცენტი უკვე მოპოვებულია. დარჩენილ 10-პროცენტიან დანაკლისს რამდენიმე თვეში ავინაზღაურებთ. ამას მოყვება ფორსირებული ვარჯიშები. მთლიანობაში 30-მდე ლიცენზიანტის ყოლაა ნავარაუდევი.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დეპარტამენტის მიერ გაწეულ სამუშაოზეც ისაუბრა. გაირკვა, რომ დეპარტამენტმა 2003 წელს 125 სპორტული ღონისძიება დააფინანსა, მათ შორის, ბორჯომის საერთაშორისო კროსი, ცხენოსნობაში კავკასიის თასის გათამაშება, რიგი საჩოგბურთო ტურნირები...

საუბარი შეეხო პრემიებსაც. თუ, მაგალითად, 2002 წელს პრემიალურებზე 264 ათასი ლარი დაიხარჯა, შარშანდელი შედეგებისთვის დაწესებულმა პრემიალურმა 220 ათასი ლარი შეადგინა, მაგრამ არა ფინანსური სიდუხჭირის გამო, არამედ იმიტომ, რომ 2003 წლის მონაგარი წინამორბედთან შედარებით მოკრძალებული გამოდგა. საუბარი შეეხო სპორტსმენთა კვების პროგრამასაც. ამ მხრივ სურათი, მართლაც, შთამბეჭდავია. 2000 წელთან შედარებით, ანუ, თუ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებსა და ათენის თამაშებს შორის პარალელს გავავლებთ, ირკვევა, რომ სპორტსმენთა კვების პროგრამა 300 პროცენტითაა გაზრდილი. ამას მოყვა "სპორტის რაინდის" წოდების შემოღების ერთგვარი პრეზენტაცია. კერძოდ, დღეის იქით სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების ნაცვლად იარსებებს "სპორტის რაინდის" წოდება. მისი მინიჭება ბევრად უფრო რთული და პრესტიჟული იქნება, რადგან რაინდის წოდება გადაეცემათ მხოლოდ ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონებს. იქნება გამონაკლისიც, თუმცა, არც ესაა იოლი მისაღწევი. როგორც მეძმარიაშვილმა გვითხრა, "სპორტის რაინდის" წოდება მიენიჭება იმას, ვინც, ვთქვათ, ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის თასს დაეუფლება. სპორტსმენთა გარდა, დაჯილდოვდებიან ის ადამიანები, რომლებიც ზოგადად სპორტს განსაკუთრებულ სამსახურს გაუწევენ. "სპორტის რაინდის" ორდენი ოქროს მედალიონია და ეროვნულ ზარაფხანაშია დამზადებული. სხვათა შორის, დღესვე გახდება ცნობილი პირველ ორდენოსანთა ვინაობა. ასეთი კი სულ ხუთი პიროვნებაა. ვიდრე ორდენოსანთა ვინაობის შეტყობას ვცდილობდით, პრესკონფერენციის მასპინძელმა სპორტული მოძრაობის მაღალ დონეზე გაშუქებისთვის ჟურნალისტთა მოზრდილი ჯგუფი სიგელებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვა.



ირაკლი მეძმარიაშვილი "სპორტის რაინდის" ორდენით ხელში

ფეხბურთი

დევიდ ბექჰემი: "ჩვენ აბრამოვიჩის არ გვეშინია!"

ტრავმირებული ბექჰემის არყოფნაში მადრიდის "რეალის" საქმეები არც ისე კარგად მიდის. სამეფო კლუბმა ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი "რეალ სოსიედადთან" წააგო (0:1) და ლიდერობაც დათმო. მოედანზე დაბრუნებას ბექჰემი "ბეტისის" წინააღმდეგ მომავალ მატჩში აპირებს. მას კვლავინდებურად სჯერა, რომ "რეალს" ჰეთ-თრიქის შესრულება შეუძლია..

- უკანასკნელ მატჩებში "რეალი" არცთუ ისე კარგად თამაშობს. შენ აკლიხარ გუნდს?

- პირიქით, მე მაკლია გუნდი. მოუთმენლად ველი მოედანზე დაბრუნებას. ბოლო ორი მატჩი, მართლაც, ცუდად ჩავატარეთ. შედეგი არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კრიზისში ვართ.

- შენ პირველი ფეხბურთელი ხარ, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონატის, ესპანეთის თასისა და ჩემპიონთა ლიგის ერთდროულად მოგების სურვილი გამოთქვა. ისევ ფიქრობ, რომ სამივე ტიტულის მოპოვება შესაძლებელია? ამისთვის კიდევ ერთი ვარსკვლავის შეძენა ხომ არ არის საჭირო?

- დიახ, ჩვენ შეგვწევს ამის უნარი. ცხადია, ძნელია ყველაფრის ერთად მოგება, მაგრამ ჩვენ გავაგრძელებთ სამ ფრონტზე ბრძოლას. ჩვენი საქმე თამაშია, ახალი ფეხბურთელების შეძენაზე კი პრეზიდენტმა იფიქროს.

- ყველაზე მეტად რომელი ტურნირის მოგება გსურს?

- სამივესი, არც ერთს არ გამოვყოფ. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ქვეყნის ჩემპიონატის მოგება მეტად მნიშვნელოვანია, ასევე ჩემპიონთა ლიგის. თუმცა, ჩვენ ჰეთ-თრიქი გვინდა.

- შენი ტრავმის საქმე როგორ არის და როდის გეგმავ დაბრუნებას?

- მე ახლავე მინდა თამაში, თუმცა, ბურთის დარტყმისას ტკივილი ძველებურად მაწუხებს. იმედი მაქვს, "ბეტისის" წინააღმდეგ მომავალ მატჩში უკვე შევძლებ თამაშს.

- რას იტყვი "სოსიედადთან" მატჩზე?

- "რეალს" უკეთესადაც უთამაშია, ეს ცხადია. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვენ სტუმრად ვთამაშობდით, ეს კი ყოველთვის რთულია. არც იღბალი იყო ჩვენს მხარეს. ვიმუშავებთ და შეცდომებს გამოვასწორებთ.

- ეთანხმები იმ აზრს, რომ გუნდმა საგრძნობლად უკლო თამაშს? ამ თემაზე არ გქონიათ საუბარი?

- ამაზე ბევრი არ გვილაპარაკია, მაგრამ მოგვიწევს, თუ სიტუაციას არ გამოვასწორებთ. უკანასკნელმა მატჩებმა იმედი გაგვიცრუა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ ისევ ლიდერთა შორის ვართ და წარმატების მიღწევის კარგი შანსი გვაქვს.

- პრეზიდენტმა განაცხადა, რომ "რეალის" მომავალი შენაძენი პრემიერ-ლიგის ფეხბურთელი იქნება. შენ ვის აირჩევდი?

- ეს ფეხბურთელი დიდ ცვლილებებს ვერ მოახდენს გუნდზე, რადგან ჩვენ ისედაც ძალიან ძლიერები ვართ. ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიადესი გუნდი ვართ და, ცხადია, დიდი გუნდები ყოველთვის ცდილობენ საუკეთესო ფეხბურთელების შეძენას. არ ვიცი, ვინ იქნება "რეალის" მომდევნო შენაძენი, მაგრამ ჩვენი გუნდი და გულშემატკივრები მას მხურვალედ მიიღებენ.

- წინა კვირას დიდი სკანდალი ატყდა რონალდოს ლონდონში გამგზავრებასთან დაკავშირებით. შენც უნდა დაეკითხო კლუბს, როდესაც სადმე მიემგზავრები?

- მე ყოველთვის ვაფრთხილებ კლუბს, როდესაც ინგლისში მივემგზავრები. მაგრამ ეს, ძირითადად, დასვენების დღეებში ხდება. რონალდო მხოლოდ კომერციული მიზნების გამო იყო ინგლისში, ხალხი კი საკუთარ ვერსიებს იგონებს.

- გესმის, თუ რატომ იწვევს შიშს რომან აბრამოვიჩის სახელი?

- არ ვიცი. ის კი ცხადია, რომ ამ ადამიანს უდიდესი ქონება აქვს. აბრამოვიჩმა უამრავი ვარსკვლავი შეიძინა, მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მისი. ჩვენ ხომ "რეალი" ვართ!

ბექჰემს თამაში მოენატრა

სპორტი და მედიცინა

სპორტული მედიცინა უეცარი სიკვდილის წინააღმდეგ

გიგა გურასაშვილი

თანამედროვე სპორტი სპორტული მედიცინის გარეშე სულ უფრო წარმოუდგენელი ხდება. ამის დასტურია ბოლო დროს სპორტსმენთა შორის უეცარი სიკვდილის ფაქტების მომრავლება. ასეთი ფატქები ადრეც ყოფილა, მაგრამ ჩვენში რატომღაც სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

მოწინავე ქვეყნები განსაკუთრებით ზრუნავენ სპორტული მედიცინის განვითარებაზე. ამ მხრივ სიტუაცია ჩვენშიც უკეთესობისკენ მიდის. ამის დასტურია ის, რომ შარშან ამოქმედდა სპორტული მედიცინის ასოციაცია, რომელსაც ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი უდგას სათავეში. გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ზურაბ კახაბრიშვილმა და ასოციაციის ვიცეპრეზიდენტმა ვალერი ახალკაცმა, რომელიც ასევე ოლიმპიური გუნდის ექიმიცაა, ერთგვარი ბრიფინგი ჩაატარეს. თემა: ბოლო დროს სპორტში გახშირებული უეცარი სიკვდილის ფაქტები. "უეცარი სიკვდილის ფაქტები ხშირია ფიზიკური დატვირთვის დროს ან დატვირთვიდან ერთ საათში, - განმარტავს ახალკაცი. - ასეთი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად უამრავი რამაა გასაკეთებელი. პირველ რიგში, სათანადო დონეზე უნდა იდგეს გუნდებში თითოეული სპორტსმენის საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება. ანუ, ვიდრე ფატალურ შედეგს მივიღებთ, დიაგნოზია დასასმელი. დიაგნოზის დასასმელად კი მწვრთნელთა და გუნდის ხელმძღვანელთა მხარდაჭერაცაა საჭირო".

ამას მოყვა იმ მწვრთნელთა მკაცრი კრიტიკა, რომლებიც სპორტსმენის სარფიანად გაყიდვის გამო ბევრ რამეზე თვალს ხუჭავენ. "არ გეგონოთ, ამგვარი პრობლემები მარტო საქართველოშია. ამის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ჰოლანდიის "აიაქსს", რომელიც საფეხბურთო სამყაროს ერთ-ერთი გრანდია, კამერუნელი ვარსკვლავი ნვანკო კანო ჰყავდა გუნდში. ლეგიონერი გულის მანკით იყო ავად.

მაგალითისთვის ასევე კამერუნელი მარკ-ვივიენ ფოეს უეცარი სიკვდილის მოყვანა შეიძლება. ფოეს სიკვდილის მიზეზად ერთნი აკრძალულ პრეპარატებს ასახელებდნენ, მეორენი – ნაწლავურ ინფექციას. არადა, მიზეზი სულ სხვა რამ გახლდათ – ჰიპერტროპიული კარდიომიოპათია. ერთი სიტყვით, სიკვდილის მიზეზს გულის (კუნთის) დაავადების უკანასკნელ სტადიასთან მივყავართ. საერთოდ, მსოფლიოში ეს დაავადება სპორტსმენთა 36 პროცენტს აღენიშნება".

ბრიფინგზე კიევის "არსენალის" 23 წლის ქართველი ლეგიონერის შალვა აფხაზავას დაღუპვის ფაქტიც გაიხსენეს. ამის შესახებ ჩვენშიც ბევრი ითქვა და დაიწერა.

კამერუნელი ფოე უეცარი სიკვდილის მსხვერპლი გახდა

კახაბრიშვილმა და ახალკაცმა მსგავსი ფაქტების სხვა ბევრი მაგალითიც ჩამოთვალეს. გამოსვალი კი იმაშია, რომ სპორტული მედიცინისადმი სერიოზული მიდგომაა საჭირო. უფრო სწორად, მწვრთნელის, სპორტსმენისა და ექიმის მჭიდრო სამკუთხედის შეკვრაა საჭირო. არადა, ჩვენში ბევრი სპორტულ მედიცინას ალმაცერად უყურებს და ზედმეტადაც მიიჩნევს. "სამწუხაროდ, საქართველოში უმეტეს საფეხბურთო გუნდებში მოთამაშეები ისე გადიან მინდორზე, რომ ექიმი არ უნახავთ. იმისთვის, რომ დაზღვეულები ვიყოთ, სპორტსმენს დიაგნოზი ადრეულ ასაკშივე უნდა დავუსვათ, რადგან არიან ბავშვები, რომლებიც სპორტს ამ დაავადებით (ჰიპერტროპიული კარდიომიოპათია) და გულის მანკით მიყვებიან", - ამბობს ზურაბ კხაბრიშვილი.

ბოლოს ბრიფინგის მასპინძლები ათენის ოლიმპიურ თამაშებს შეეხნენ და შეგვპირდნენ, რომ არც ერთ სპორტსმენს, რომელიც ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდება, ამ მხრივ არავითარი საშიშროება არ ელისო.

ინფოთეკა

ფეხბურთი. "ბარსელონას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ განაცხადა, რომ ფრანკ რაიკაარდი კატალონიური კლუბის მწვრთნელად მომავალ სეზონშიც დარჩება. თავის სამუშაო ადგილს ჰოლანდიელი გუნდის შედეგების მიუხედავად შეინარჩუნებს. ამჟამად "ბარსელონა" პრიმერადივიზიონში მეშვიდე ადგილზეა და "ვალენსიას" 16 ქულით ჩამორჩება. ბოლო 8 მატჩში კატალონიელებმა მხოლოდ 2-ჯერ გაიმარჯვეს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედმა" კონტრაქტი გაუფორმა ჩინელ ფორვარდ დონგ ფანჩჟოუს. სატრანსფერო თანხამ 500 000 გირვანქა სტერლინგი შეადგინა. თანხა შეიძლება გაიზარდოს იმ შემთხვევაში, თუ 18 წლის ფორვარდი გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას შეძლებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ფრანგულმა "ნიცამ" მცველი ალკალი კამარა იჯარით "სედანს" გადაულოცა. კამარა ამ კლუბის ღირსებას სეზონის ბოლომდე დაიცავს. "ნიცას" შემადგენლობაში ფეხბურთელს ერთი მატჩიც კი არ გაუმართავს.

■ ■ ■

ფეხბურთი. "მანჩესტერ იუნაიტედის" ნორვეგიელი ფორვარდის, ოლე გუნარ სოლსკიაერის გუნდში დაბრუნების პროცესი ჭიანურდება. ნორვეგიელმა მუხლის ტრავმა მიიღო და ჯერ აღდგენა ვერ მოასწრო. სოლსკიაერს გუნდის დუბლშემადგენლობაში "ბირმინგემის" წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მაგრამ ამის ნაცვლად მას კიდევ ერთი კვირით დასვენება მოუწევს. სოლსკიაერი 16 სექტემბრის შემდეგ მინდორზე აღარ გამოჩენილა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "პორტსმუთის" ფორვარდმა ტედი შერინგემმა განაცხადა, რომ ადვილი შესაძლებელია, საფეხბურთო კარიერა მიმდინარე სეზონის ბოლოს დაამთავროს. "თამაშისადმი ინტერესი არ დამიკარგავს. თუმცა, ახლა მატჩიდან მატჩამდე აღსადგენად უფრო მეტი დრო მჭირდება, – განაცხადა ინგლისის ნაკრების ვეტერანმა, – ვხვდები, რომ ჩემი კარიერა დასასრულისკენ მიექანება და უნდა ვიფიქრო იმაზე, მომავალში რას გავაკეთებ. ვნახოთ, როგორ იასპარეზებს ჩემი გუნდი. მე ჯერ არაფერი გადამიწყვეტია, მაგრამ შეიძლება მენეჯმენტით შევიქციო თავი".

■ ■ ■

ფეხბურთი. ლასინა დიაბატემ ფრანგულ "აიაჩოსთან" გააფორმა კონტრაქტი. დიაბატე შარშანდელი ზაფხულიდან უგუნდოდ იყო დარჩენილი. ეს უკვე მესამე ფეხბურთელია, ვინც იანვარში "აიაჩოსთან" კონტრაქტი გააფორმა. ადრე ლაურენტმა და ლოკომ გააფორმეს შეთანხმება.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლა კორუნიას "დეპორტივოს" ბრაზილიელმა ვეტერანმა მაურო სილვამ კლუბთან კონტრაქტი 2005 წლამდე გააგრძელა. ამის შემდეგ სილვა საფეხბურთო კარიერის დასრულებას გეგმავს. 2005 წელს მას 37 წელი შეუსრულდება. მაურო სილვას ახლანდელ კონტრაქტს წლეულს, ივნისში გასდის ვადა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "ტომას" კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი და "იუვენტუსის" ნახევარმცველი პაველ ნედვედი იტალიის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელებად აღიარეს. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ორშაბათს გაიმართა. საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელის ნომინაციაში ტოტიმ "მილანის" მცველ პაოლო მალდინისა და "ინტერის" ფორვარდ კრისტიან ვიერის აჯობა. ნედვედი სერია A-ს საუკეთესო ლეგიონერად აღიარეს. ჩეხმა აჯობა რომაელ ემერსონსა და "ჩელსიში" გადაბარგებულ, რუმინელ ადრიან მუტუს, რომელიც შარშან "პარმას" ღირსებას იცავდა.

■ ■ ■

ჩოგბურთი. მაროკოელი იუნეს ელ-აინაუი Commonwealth Bank exhibition-ის საგამოფენო ტურნირიდან მოიხსნა. ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე მისი მონაწილეობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. თვითონ ჩოგბურთელი "დიდი სლემის" პირველ ტურნირში მონაწილეობის შანსებს აფასებს, როგორც – 50:50-ზე.

■ ■ ■

ფორმულა 1. "ზაუბერის" ახალმა ბოლიდმა C23, რომლის პრეზენტაციაც ორშაბათს გაიმართა, ვერ ჩაბარა "ფიას" მიერ დაწესებული სავალდებულო კრაშ-ტესტი. ბოლიდის განმეორებითი გამოცდა უახლოეს ორ კვირაში უნდა გაიმართოს. "ჩვენ ვცდილობდით, C23, წინამორბედისგან განსხვავებით, შეგვემცირებინა და ამისთვის მკაცრად დავისაჯეთ", – განაცხადა გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა ვილი რამპფმა.

■ ■ ■

ჰოკეი. "ლოს-ანჯელესმა" ზიგმუნდ პალფი სეზონის ბოლომდე დაკარგა. პალფიმ მარჯვენა მხარზე ოპერაცია გადაიტანა. აღდგენისთვის კი, სულ ცოტა, ექვსი თვე სჭირდება.

■ ■ ■

ჰოკეი. ამიერიდან "ბოსტონში" 8 ნომრით უკვე აღარავინ ითამაშებს. ეს ნომერი, რომლითაც კემ ნილი თამაშობდა, "ბუფალოსთან" მატჩის წინ უკვდავყვეს. მატჩი "ბოსტონმა" – 4:3 მოიგო. ნილი მხოლოდ მეათე "დათვია", რომელსაც კლუბისგან ამგვარი პატივი ერგო.

ჩოგბურთი

AUSTRALIAN OPEN – ლიდერებს კარგავს

კიმ კლიისტერსი AUSTRALIAN OPEN-ს გამოტოვებს

19 იანვარს მწვანე კონტინენტზე სეზონის პირველი "დიდი სლემის" ტურნირი კი იწყება, მაგრამ დიდი შანსია, რომ შეჯიბრებამ, განსაკუთრებით ქალთა თანრიგში, რამდენიმე აღიარებული ლიდერის გარეშე ჩაიაროს.

კიმ კლიისტერსმა საკუთარი პერსონა მოხსნა adidas International-ის ტურნირიდან, რომელიც სიდნეიში გაიმართება და განაცხადა, რომ მისი მონაწილეობა სეზონის "დიდი სლემის" პირველ ტურნირზე – ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. კიმ კლიისტერსმა ალისია მოლიკთან შეხვედრაში ტერფი დაიზიანა და ამის გამო პერტის ტურნირი უკვე გამოტოვა.

მას შემდეგ ბელგიელი კორტზე აღარ გამოჩენილა. ორშაბათს ჩოგბურთელმა 20-წუთიანი ვარჯიში ჩაატარა და თქვა, რომ თავს კარგად ვერ გრძნობს. "დღეს დილას საქმე გამირთულდა. ფეხმა შემაწუხა და ეს ყველაფერი ცოტათი მაშინებს. გადავწყვიტე, რომ სიდნეიში ჩემი შესაძლებლობების 100 პროცენტით წარმოჩენას ვერ მოვახერხებ", – განაცხადა კლიისტერსმა.

ბელგიელმა, რომელიც პროფესიონალ ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში მეორე ადგილზეა, განაცხადა, რომ ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე არ ითამაშებს, თუ მცირე შანსიც კი იქნება იმისთვის, რომ სერიოზული ტრავმა მიიღოს.

ასე რომ, "დიდი სლემის" პირველი ტურნირი ქალთა თანრიგში ფავორიტს ფავორიტზე კარგავს. ცოტა ხნით ადრე შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა სერენა უილიამსმა, რომელსაც შარშანდელი აგვისტოს შემდეგ აღარ უთამაშია.

ავსტრალიის ღია ჩემპიონატს უგანა მისმა ორგზის გამარჯვებულმა, ამერიკელმა ჯენიფერ კაპრიატიმაც. მან შეჯიბრებაში მონაწილეობაზე ზურგის ტკივილის გამო განაცხადა უარი. კაპრიატიმ, რომელმაც ნოემბერში მიიღო ტრავმა, ჰონკონგის ტურნირი უკვე გამოტოვა.

შეჯიბრებაში მონაწილეობას არ მიიღებს ფრანგი მარი პირსი, რომელმაც ავსტრალიის ღია ჩემპიონატი 1995 წელს მოიგო. პირსის უარის მიზეზი არასათანადო სპორტული ფორმაა. მწვანე კონტინენტზე, ალბათ, არ ითამაშებს სერბი ელენა დოკიჩიც, რომელიც ტურნირს 2001 წლიდან უწევს იგნორირებას.

ამასობაში შედგა წლის პირველი რეიტინგი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ფრანგი ნიკოლა ესკუდე, რომელმაც ამას წინათ დოხის ტურნირი მოიგო. ATP-ის რეიტინგი, რა თქმა უნდა, პირობითია, რადგან შეჯიბრებები მხოლოდ წინა კვირაში დაიწყო და მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებს მათში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ქალთა ნახევარში კი საუკეთესო ათეულმა ერთადერთი ცვლილება განიცადა. მეათე საფეხურზე ამიერიდან იაპონელი აი სუგიამა დამკვიდრდა. ამას წინათ იაპონელმა Australian Hardcourt-ის ტურნირი მოიგო. ფინალურ მატჩში სუგიამამ რუსი ნადეჟდა პეტროვა დაამარცხა. პირველობას კი, იმის მიუხედავად, რომ წინა კვირაში კორტზე არ გამოსულა, ბელგიელი ჟიუსტინ ენინ-არდენი ინარჩუნებს.

გაგაცნობთ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგის პირველ ათეულებს.

ვაჟები:

1. ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი)	50
2. დომინიკ ჰრბატი (სლოვენია)	35
2. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	35
2. კარლოს მოია (ესპანეთი)	35
5. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)	25
6. პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი)	24
7. აგუსტინ კალიერი (არგენტინა)	22
7. ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი)	22
9. ტეილორ დენტი (აშშ)	15
იარკო ნიემინენი (ფინეთი)	15
ტომი როზრედო (ესპანეთი)	15
სიენგ შალკენი (ჰოლანდია)	15

ქალები:

1. ჟიუსტინ ენინი (ბელგია)	6603
2. კიმ კლიისტერსი (ბელგია)	6373
3. სერენა უილიამსი (აშშ)	3916
4. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	3194
5. ლინდსეი დევენპორტი (აშშ)	2770
6. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2766
7. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	2581
8. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2383
9. აი სუგიამა (იაპონია)	2369
10. ჩანდა რუბინი (აშშ)	2235

ცოდვილი მაკინროი შემცდარი რუსედსკის დასჯას ითხოვს

ამერიკელი ჩოგბურთელის სკანდალური აღსარება

ნინო პირველი

გრეგ რუსედსკი დანაშაულს არ აღიარებს

19 იანვარს სეზონის პირველი დიდი საჩოგბურთო ტურნირი - ავსტრალიის ღია ჩემპიონატი აიღებს სტარტს. დიდი სლემის ეგიდით ჩატარებული ყველა შეჯიბრება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის პირდაპირ ეთერში ჩვენებას არაერთი ქვეყნის ტელეარხი აპირებს. რა თქმა უნდა, სხვებს არც ამერიკელები ჩამორჩნენ და ავსტრალიაში მიმიდნარე მოვლენების გასაშუქებლად ცნობილი ჩოგბურთელი ჯონ მაკინროი მიავლინეს. მაკინროი ჯერ წესიერად არც იყო დაბინავებული სიდნეიში, რომ "დეილი ტელეგრაფის" ჟურნალისტს სკანდალური ინტერვიუ მისცა და აკრძალული პრეპარატების მოხმარებაში მხილებული ინგლისელი გრეგ რუსედსკის მკაცრად დასჯა მოითხოვა. 30 წლის ბრიტანელ ჩოგბურთელს დოპინგ-კონტროლის გავლისას შარდში ნანდროლონი აღმოუჩინეს. რუსედსკის საქმეს 9 თებერვალს განიხილავენ, მანამდე კი ინგლისელს არ ეკრძალება ტურნირებზე გამოსვლა. ამ სკანდალმა ბრიტანელს, დეპრესიაში ჩავარდნის ნაცვლად, ათმაგი ძალა შესძინა. რუსედსკიმ უკვე მოასწრო ადიდასის ტურნირზე არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელას დამარცხება და წარმატებით დასრულებული მატჩ-ბოლის შემდეგ მიაშურა საკონფერენციო დარბაზს, სადაც მას უკვე უცდიდნენ ჟურნალისტები. რუსედსკი მამაცურად იცავდა თავს ცნობისმოყვარე კორესპონდენტების ჯვარედინი დაკითხვებისგან: "ყველას დავუმტკიცებ, რომ უდანაშაულო ვარ!", - ასე დაიწყო მან პრესკონფერენცია. როგორც ამ ბრიფინგზე გაირკვა, რუსედსკის კოლეგებს და გულშემატკივრებს თურმე არ სჯერათ, რომ გრეგი ნანდროლონს იღებდა: "ყველა თანამიგრძნობს - მწვრთნელებიც, კოლეგებიც, ფანებიც. ჩოგბურთელები გასახდელში მხარზე ხელს მარტყამენ და კორტზე წარმატებას მისურვებენ. გულშემატკივრებიც აქტიურად მიჭერენ მხარს. არავის სჯერა, რომ მე, მართლაც, დამნაშავე ვარ. ასეთმა ერთსულოვანმა თანადგომამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ ყველა უსიამოვნება იოლად გადავიტანე", - თქვა რუსედსკიმ. ჟურნალისტები ელოდნენ, რომ ბრიტანელი ჩოგბურთელი უკომენტაროდ არ დატოვებდა ჯონ მაკინროის ფრაზას იმის შესახებ, რომ დოპინგ-ტეტსზე ჩავარდნილი რუსედსკი აუცილებლად მკაცრად უნდა დასჯილიყო, მაგრამ კრიტიკის ობიექტმა თავი შეიკავა და მაკინროის პროვოკაციულ განცხადებას არ გამოეხმაურა.

მაკინროიმ, მართლაც, საქმე გაუჩინა სენსაციების მოყვარულ ბულვარულ პრესას. "დეილი ტელეგრაფისთვის" მიცემული ინტერვიუდან ნაწყვეტები ლამის მთელი მსოფლიოს გაზეთებში გამოქვეყნდა. სათაურებიც მყვირალა იყო: "მაკინროიმ წარსულში ჩადენილი ცოდვა აღიარა", "დოპინგ-დისკურსი ჩოგბურთში", "მაკინროი რუსედსკის დასჯას ითხოვს"... ამერიკელის აღსარება, მართლაც, მოულოდნელი აღმოჩნდა. საკვირველია, ამდენ ხანს მაინც რატომ დუმდა, თუ ამდენი რამ ჰქონდა სათქმელი. "ისინი წამალს მაძლევდნენ და მეც ექვსი წლის განმავლობაში ვყლაპავდი, ისე რომ, არც კი ვიცოდი, რა იყო", - ასე იწყება მაკინროის აღიარება. მაინც ვინ არიან "ისინი"? გვარების დასახელებისგან მაკინროი თავს იკავებს. მიაჩნია, რომ ახლა, როცა უკვე ამდენი დრო გავიდა, ამას უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარა აქვს. "ეს სტიმულატორი ეგრეთ წოდებული ლეგალური სტეროიდი გახლდათ. ასეთ რამეს ადრე ცხენებს აძლევდნენ, მერე კი დაასკვნეს, რომ ეს პრეპარატი თვით ცხენებისთვისაც კი ძალიან ძლიერი იყო", - ამბობს დაზარალებული. საწყალი მაკინროი, თურმე, მისი ორგანიზმი ცხენისასზე უფრო ამტანი ყოფილა. ცოტა ხნის წინ მაკინროის ყოფილი ცოლი ტატუმ ო`ნილი ამტკიცებდა, რომ მისი მეუღლე 1998 წლიდან მოყოლებული რეგულარულად იღებდა ანაბოლიკს, რაც საშინლად მოქმედებდა მის ნერვულ სისტემაზე. "თუ დამარცხდებოდა, წყობიდან გამოდიოდა. ყვიროდა, აგრესიული ხდებოდა, წაგებას მე და ბავშვებს გვაბრალებდა. ვეხვეწებოდი, შეეწყვიტა პრეპარატის მიღებდა, რადგან დღითი-დღე სულ უფრო მეტად კარგავდა კონტროლს საკუთარ თავზე და ძალადობაზე გადადიოდა, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე". რაკი შეგონებით ვერაფერს გახდა, ჰოლივუდის ყოფილმა მსახიობმა, ყოველდღიური ჩხუბისა და სტრესის ატანას, მაკინროისთან გაყრა ამჯობინა. საერთოდ, ჯონ მაკინროი მუდამ გამოირჩეოდა ფეთქებადი ხასიათით. კორტზე სკანდალის მოწყობა და მსაჯებთან დავა მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. მუდამ ეჩვენებოდა, რომ ჩაგრავდნენ და ყველა მის წინააღმდეგ იყო განწყობილი. ასეთი არასტაბილურობის მიუხედავად, მან სამჯერ შეძლო უიმბლდონის მოგება და დაუღალავად ებრძოდა იმ პერიოდის ნომერ პირველ ჩოგბურთელს, შვედ ბიორნ ბორგს.

44 წლის მაკინროი ახლა უკვე აღარ არის ისეთი იმპულსური და გაუწონასწორებელი, როგორც კარიერის საუკეთესო წლებში იყო. უფრო მშვიდი და წყნარი გახდა. იქნებ იმიტომ, რომ უკვე აღარ იღებს სტიმულატორებს. "რომ მცოდნოდა, რაში იყო საქმე, რა თქმა უნდა, არაფერს არ დავლევდი. ამიტომაც მიმაჩნია, რომ სპორსტმენები მკაცრად უნდა აკონტროლონ. ზოგჯერ ტკივილგამაყუჩებლებს და ანტიბიოტიკებსაც კი აქვთ ისეთი შემადგენლობა, რომელიც ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. სწორედ ამის გამო ვფიქრობ, რომ რუსედსკი მკაცრად უნდა დაისაჯოს", - ასეთი წმინდანი გახდა ყოფილი ცოდვილი. გრეგ რუსედსკის საქმის განხილვა კი 9 თებერვლიდან დაიწყება და, შესაძლოა, ბრიტანელი ჩოგბურთელი, მართლაც, ვერ გადაურჩეს გრძელვადიან დისკვალიფიკაციას.

კალათბურთი

ვინცხამ "ლეიკერსი" დათარსა, იმის...



ბრაიანტმა სერიოზული ტრავმა მიიღო

სანდრო ნავერიანი

როგორც ჩანს, "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" ვიღაცამ ისე დათარსა, რომ კალიფორნიაში ასეთი ხუმრობაც კი გაჩნდა: თუ გინდა, კარიერა ტრავმით დაასრულო, "ლეიკერსში გადადი სათამაშოდ. საქმე ის არის, რომ კალიფორნიული გუნდის ოთხი სუპერვარსკვლავიდან სამი ტრავმის გამო გამოთიშულია აქტიურ კალათბურთს. კარლ მელოუნი, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ტრავმის მსხვერპლი არასოდეს გამხდარა და თუ ტრავმა ჰქონია, მაშინ აუცილებლად რამდენიმე დღეში უშუშდებოდა, ახლა მთელი ორი კვირაა, გამოთიშულია და არავინ იცის, როდის დაუბრუნდება მოედანს. შაკილ ო`ნილი, რომლის გარეშეც "ლეიკერსი" საერთოდ ვერ თამაშობს, კარგა ხანია, ტრავმირებულია და ექიმები არავითარ დასკვნებს არ აკეთებენ. ასე რომ, არავინ იცის, როდის დაუბრუნდება შაკი მოედანს. ახლა კი ამ ყველაფერს კობი ბრაიანტის ტრავმა დაემატა, რომელიც ასევე საშიშია. ნამდვილად ცოდონი არიან საწყალი კალიფორნიელები. ერთადერთი, გერი პეიტონი დარჩა და, ალბათ, მასაც მოუღებენ ბოლოს - ლაზარეთში გაუშვებენ საკმაოდ დიდი ხნით. უკანასკნელი მატჩი, რომელიც "ლეიკერსმა" კლივლენდელ კავალერებთან ჩაატარა, წარმატებით დაასრულა, მაგრამ, ვაი, ამ წარმატებას! თამაშის შემდეგ ფილ ჯექსონმა ხუმრობით განაცხადა: "აღარ ვიცი, რა ვქნა, ერთი თამაშიც და, ალბათ, მთელი გუნდის წარმოდგენა მე მომიწევს. არც მეშინია, მაგრამ აღარ ვარ ისეთ ფორმაში, როგორც ოცი წლის წინ. მინდა, გაგახაროთ და გითხრათ, რომ სულ მალე მოედანზე "ლეიკერსის" მაისურით ფილ ჯექსონს იხილავთ. რა თქმა უნდა, ეს ხუმრობაა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, მაშინ კალიფორნიელებს, უბრალოდ, სხვა გზა არ ექნებათ. კობი ბრაიანტმა მხრის ტრავმა მიიღო. ეს ის მხარია, რომელზეც ოპერაცია აქვს გადატანილი. ექიმები ამბობენ, რომ შეიძლება ამ ტრავმას გართულებები მოყვეს. ამან კი შეიძლება რამდენიმე თვით ან სეზონის ბოლომდე გამოთიშოს ბრაიანტი კალათბურთს.

კერძოდ, იმ მატჩის, რომელიც "ლეიკერსსა" და "კავალიერს" შორის გაიმართა და ლებრონ ჯეიმსისა და კობი ბრაიანტის დუელად შერაცხეს, პირველი ორი მეოთხედი საშინელი სანახავი გამოდგა. ვერც ლებრონმა და ვერც კობიმ ვერ აჩვენეს ის თამაში, რასაც მათგან გულშემატკივარი ელოდა. მეორე მეოთხედის ბოლოსკენ ბრაიანტმა ტრავმა მიიღო და მოედანზე აღარც შემოსულა. აქედან გამომდინარე, დუელიც შეწყდა და ლებრონ ჯეიმსს "მოტივაცია" დაეკარგა. ამიტომ იყო, რომ მან 16 ქულის მეტი ვერ გააკეთა. კავალერთა შემადგენლობაში კი ყველაზე შედეგიანი ლიტველი ჟიდრუნას ილგაუსკასი გამოდგა (19 ქულა). კალიფორნიელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანად გერი პეიტონი მოგვევლინა (13). ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კიდევ სამი თამაში გაიმართა. "გოლდენ სთეით უორიორზმა" "მემფის გრიზლის" უმასპინძლა და მატჩი 113:115 დათმო. ოქროს შტატელების რიგებში ყველაზე შედეგიანი ერიკ დამპიე და ნიკ ვან ექსელი იყვნენ (23-23). "ორლანდო მეჯიქმა" და ზაზა ფაჩულიამ "ფილადელფია სევენთისიქსერზს" და ალენ აივერსონს უმასპინძლეს. ფლორიდული კალათბურთი, უკვე რა ხანია, კრიზისს განიცდის. ამ საქმეს ვერც მაკგრეიდი შველის და ვერც ვინმე სხვა. მაკგრეიდიმ 32 ქულა გააკეთა. ზაზა ფაჩულიამ 4 ქულა და 6 მოხსნა შესძინა საკუთარ გუნდს. ფილადელფიელთა რიგებში კი ყველაზე შედეგიანი ალენ აივერსონი იყო (26). "ნიუ-იორკ ნიქსმა" "დალას მავერიქსს" უმასპინძლა. მატჩი დალასელმა მოხეტიალეებმა მოიგეს. "ნიქსის" შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო მარბერი (38), ხოლო დალასელთა შორის - ნოვიცკი (31).

TV–სპორტი

ოთხშაბათი. 14 იანვარი

НТВ+ФУТБОЛ
07:00 NBA TV. დღიური
07:30 NBA TV "LOS ANGELES CLIPPERS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS".პირდაპირი ტრანსლაცია
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" – "იტერა"
14:45 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "დინამო" (უკრაინა) – "ლოკომოტივი" (რუსეთი)
16:40 თავისუფალი დარტყმა
17:00 "გამჟღავნება"
17:30 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:25 განვლილი სეზონის საუკეთესო მატჩები. ბრაზილიის ჩემპიონატი. "კრუზეირო" – "ვასკუ და გამა"
20:10 "დარტყმა გოლისთვის"
20:25 თავისუფალი დარტყმა
20:40 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "ნიუკასლი"
22:30 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "იუვენტუსი" – "გალათასარაი". შესვენებისას (23:20) - თავისუფალი დარტყმა
00:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:25 "დარტყმა გოლისთვის"
01:40 01:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV – NBA შიგნიდან
05:00 NBA TV. დღიური
05:30 NBA TV. "SAN ANTONIO SPURS" - "MINNESOTA TIMBERWOLVES". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ
11:00, 14:15, 20:00 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 კალათბურთი. ფიბა ევროლიგა. "ხიმკი" (რუსეთი) – "პერისტერი" (საბერძნეთი)
13:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
15:00 ბოულინგი. PBA Tour ომაჰაში (აშშ)
15:55 ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი. შესვენებისას (17:00) – პრესცენტრი
17:45 "NHL – პლიუსი"
18:00 ფრენბურთი. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი აზერბაიჯანში. ქალები. ფინალი
19:30 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "Power week – NHL-ის კვირა"
21:00 ათენის გზაზე
22:00 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 "NHL – პლუს"
00:15 ბრძოლა წესების გარეშე. "Ultimate Fighting Championship". შესვენებისას (01:00) – ახალი ამბები
01:50 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
02:20 "Power week – NHL-ის კვირა"

EUROSPORT
11:30 რალი – რეიდ დაკარი
12:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:30. ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი ესპანეთში
14:45 რალი – რეიდ დაკარი
15:15 მულტისპორტი
15:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვენიაში
16:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვენიაში
17:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
19:00 ჩოგბურთი. საჩოგბურთო ისტორიები
19:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრალიაში
20:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
21:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი ესპანეთში
23:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი ესპანეთში
01:30 რალი – რეიდ დაკარი
02:00 ახალი ამბები
02:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
03:45 რალი – რეიდ დაკარი
04:15 ახალი ამბები

ქრისტეფორე კოლუმბი

მკვდარი კოლუმბის ცოცხალი მტრები

დღემდე მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კოლუმბს სულაც არ აღმოუჩენია ამერიკა. ძნელი სათქმელია, რა ამოძრავებს ამ ადამიანებს — ალბათ ექსტრავაგანტურობისკენ მისწრაფება.

მაგალითად, ინგლისელი საზღვაო ოფიცერი და ოკეანოლოგი **გეივინ მენზისი** ამტკიცებს, რომ ამერიკის აღმოჩენისა და დედამიწის გარშემო ნაოსნობის პრიორიტეტი ჩინელ ადმირალს, **ჩენ ხეს** ეკუთვნის. მან თურმე ამერიკის კონტინენტს 1421-1423 წლებში მიაკვლია. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, განა ამერიკის "აღმოჩენა" მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ვიღაცამ ნაპირზე ფეხი დაადგა? — მაშინ აღმოჩენის პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, ე. წ. კოლუბამდელი ამერიკის მრავალრიცხოვან მოსახლეობას ეკუთვნის, რომელთა წარმომადგენლები მაშინაც ეკუთვნოდნენ კაცთა მოდგმას, როცა ესპანელებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა მათ შესახებ არაფერი იცოდნენ. "აღმოჩენაში" უნდა ვიგულისხმოთ ფაქტის საყოველთაო გამოქვეყნება და აღმოჩენილი ტერიტორიის ათვისება "აღმომჩენთა" მიერ. ამით კი მხოლოდ ევროპელები დაიკვეხნიან, რა თქმა უნდა, თუ ძალადობის ერთმნიშვნელოვან გაკიცხვას არ მივუყენებთ იმ ეპოქებს, როცა ძალადობა ჩვეულ მოვლენად ითვლებოდა.

გაცილებით უფრო სერიოზულ არგუმენტებს ასახელებენ ის მოყვარული თუ პროფესიონალი მკვლევარები, რომლებიც ქრისტეფორე კოლუმბს თაღლითობაში ადანაშაულებენ. მათ შორისაა ინგლისელი ისტორიკოსი **უილიამ კიგანი**.

მისი უმთავრესი არგუმენტი ისაა, რომ მოვლენის დასამტკიცებლად მხოლოდ თვით კოლუმბის მოწმობა არსებობს, უფრო ზუსტად, კოლუმბის დღიური. მაგრამ ეს ტექსტი, ამბობს კიგანი, წინააღმდეგობრივი და შეუსაბამოა. განვიხილოთ ინგლისელი მეცნიერის სხვა არგუმენტები:

1. კოლუმბი განგებ აყალბებდა ნაოსნობის ანგარიშებს. მართლაც თვით ტექსტში ხშირად გვხვდება მინიშნება, რომ დღის განმავლობაში გავლილი მანძილი არაზუსტადაა ჩაწერილი. შესაძლებელია, ამგვარი გაყალბება საჭირო იყო ეკიპაჟის სულიერი მდგომარეობის მხარდასაჭერად.

2. არ არსებობს არავითარი არქეოლოგიური მონაცემები კოლუმბის ეკიპაჟის ამერიკის კონტინენტზე 1492 წელს გადმოსხდომის შესახებ. არავის უპოვია სანტა-მარიას ნარჩენები, არც კოლუმბის მიერ დაარსებული ფორტის ნანგრევი, არც კოლუმბის მიერ აბორიგენებისათვის დარიგებული საჩუქრების კვალი. მაგრამ ძალიან ძნელია ხის გემის ხუთასწლოვანი ნარჩენის იდენტიფიკაცია, კოლუმბის მიერ დაარსებული დასახლება შეიძლება ღერწმისგან დაწნული სახლებით ყოფილიყო შედგენილი და ნანგრევები არ დაეტოვებინა, რაც შეეხება საჩუქრებს, ახლადაღმოჩენილი მიწებით გამოწვეული ბუმი იმდენად ძლიერი იყო, 1492 წლის შემდეგ ტრანსატლანტიკური ექსპედიციები იმდენად გახშირდა, რომ კოლუმბის მიერ სამი ხომალდით წაღებული რამდენიმე შუშის მძივისა და ფერადი ქუდის აღმოჩენა გაცილებით უფრო საკვირველი იქნებოდა, ვიდრე მათი უკვალოდ დაკარგვა, არაფერი რომ არა ვთქვათ ნივთების იდენტიფიკაციაზე.

3. კოლუმბის დღიურის საფუძველზე შეუძლებელია დავადგინოთ გადმოსხდომის ზუსტი ადგილმდებარეობა. მაგრამ გაცილებით უფრო საკვირველი იქნებოდა, ამ ადგილის კოორდინატები ზუსტად რომ გვეპოვა კოლუმბის დღიურში. არც ტექნიკური საშუალებები, არც ინფორმაციის იმდროინდელი დონე დასავლეთ ატლანტიკის შესახებ, უკეთესი აღწერის საშუალებას არ იძლეოდა. რომელი ორიენტირის მიხედვით უნდა დაეფიქსირებინა კოლუმბს ზღვაში დაკარგული პატარა კუნძულის კოორდინატები, როცა ყველაზე ახლობელი ცნობილი მიწა ათასობით მილის მანძილზე იყო, ხოლო გრძედის განსაზღვრის პრობლემა არც კი იდგა?

4. კოლუმბის დღიურში ვერ ვპოულობთ ვესტ-ინდოეთის კუნძულთა დამაჯერებელ აღწერას. კოლუმბის მიერ აღწერილი აბორიგენები შეიცავენ მაშინდელი ევროპელებისათვის უკვე ცნობილი ნახევრად ველური ხალხებისა წიგნებიდან მოპოვებული ინფორმაციის ელემენტებს. მაგრამ ესეც სრულიად ბუნებრივია, რადგან უცნობი რეალობის აღსაწერად მისი შედარება ცნობილ რეალობასთან აღწერის გავრცელებული და ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ხერხია. თვით **მარკო პოლო**, რომელმაც სუმატრაზე ყოფნისას ევროპელთაგან პირველმა იხილა მარტორქა, ეს ცხოველი, ერთი მხრივ, წიგნებიდან ცნობილ მითიურ არსებას შეადარა, მეორე მხრივ კი ევროპელებისათვის უკვე ცნობილი ცხოველების — ტახისა და სპილოს — მსგავსებაც მოიხმარა მისი აღწერისას. გასაგებია, რატომ ადარებს კოლუმბი მის მიერ ნანახ ადამიანებს ხან ჩინელებს და ხან კანარის კუნძულების ბინადართ.

თუკი კოლუმბი დღიურში მართლაც არარსებულ "ოქროს ქალაქს" მოიხსენიებს, არგუმენტად ვერ გამოდგება: არავინ ამტკიცებს, რომ დღიურში მოცემული ტექსტი აბსოლუტური სიმართლეა, მაგრამ ამის საფუძველზე არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის აბსოლუტური ტყუილია. გასაგებია, რომ კოლუმბი აზვიადებს მის მიერ აღმოჩენილ რეალობას, რათა მომავალი ექსპედიციების დაფინანსება მიიღოს. ასევე აზვიადებდნენ მისიონერები მათ მიერ უცხო ქვეყნებში გადატანილ სიძნელეებს.

5. XV საუკუნის ტექნიკური საშუალებებით ოკეანის გადალახვა საეჭვოა. მაგრამ რატომ არ ეპარება უილიამ კიგანს ამგვარივე ეჭვი, როცა ამერიკის აღმოჩენის პრიორიტეტს ჩინელებს მიაწერენ: წყნარი ოკეანე ხომ გაცილებით უფრო დიდ მანძილზეა გადაჭიმული და ვერც კუნძულთა სიმრავლეს მივიჩნევთ ხელშემწყობ ფაქტორად.

კიგანი ამტკიცებს, რომ კოლუმბმა დაუთმო ახმობოხებულ მეზღვაურებს და შუაგზიდან უკან გაბრუნდა. მან თითქოს პირობა წაუყენა ეკიპაჟს, არ გაემხილათ ეს ამბავი. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლუმბის დღიურში მოცემული ტყუილის მოგონება (მით უმეტეს, რომ ამ ტყუილის ამდენი ცოცხალი მოწმე არსებობს) გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე ამერიკის ნაპირამდე მიღწევა.

6. კიგანი ვარაუდობს, რომ ახალ კონტინენტს ამერიკა იმიტომ დაერქვა იტალიელი წარმოშობის ესპანელი ზღვაოსნის, **ამერიგო ვესპუჩის** პატივსაცემად, რომ მაშინვე არსებობდა ეჭვები კოლუმბის კეთილსინდისიერების გარშემო. მაგრამ უაზრობაა, პრიორიტეტთა დაცვა მოვთხოვოთ ეპოქას, რომელშიც არც არსებობდა საავტორო უფლებების ცნება. კოლუმბმა თავის ადგილს საზოგადოებაში თვითონვე გამოუტანა განაჩენი, როცა იმ დროს აღიარების ერთადერთ საშუალებაზე, მეფის მიერ ბოძებულ ფეოდზე თქვა უარი.

როგორც ეტყობა, თვით უილიამ კიგანს სხვა უძველესი ბოღმა არ ასვენებს: ინგლისსა და ესპანეთს შორის არსებული საუკუნოვანი მეტოქეობა ატლანტის ოკეანეში ბატონობაზე. იმედია, ეს ბოღმა მომავალშიც მხოლოდ ამგვარი ექსტრავაგანტური ისტორიული თხზულებებით იქნება გამოხატული, ფოლკლენდის კონფლიქტის მსგავსი უბედურება კი აღარასოდეს განმეორდება.

კარაველა პინტას თანამედროვე მაკეტი<None>

კარიბის ზღვის აბორიგენები. XVI საუკუნის ნახატიდან

კონსტანტინოპოლის დამხობამ ევროპას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაპირების გზა გადაუკეტა და იძულებული გახადა დასავლეთისკენ მიემართა იმედიანი მზერა.

ხალხურ ფანტაზიაში გიბრალტარის, ანუ ჰერკულესის სვეტების დასავლეთით წყლით დაფარული უსასრულო სივრცე იყო, საიდანაც ვერავინ დაბრუნდებოდა. რა მანძილზე იყო გადაჭიმული ეს საშიში და იდუმალი ოკეანე? რას მალავდა მისი უკიდეგანო უფსკრული? ამ შეკითხვებზე მხოლოდ სრულიად ფანტასტიკური პასუხები არსებობდა. საუკუნეთა განმავლობაში, ფილოსოფოსები, თეოლოგები და სწავლულები ლამის ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ატლანტის ოკეანედ წოდებული ზღვა ნაოსნობისათვის მიუწვდომელი იყო.

მხოლოდ 986 წელს გაბედეს ნორმანებმა იქ შეცურვა და გრენლანდიის ნაპირებამდე მიაღწიეს. 1000 წელს გაიმეორეს ეს მამაცური წამოწყება და ახალი კონტინენტიც აღმოაჩინეს, მაგრამ რახან ეს ახალი ქვეყანა უკაცრიელი ეჩვენათ, ზურგი აქციეს მას და მშობლიური ფიორდებისაკენ გაეშურნენ.

ნორდიკული საგების მიერ შემონახული ეს ცნობები მომავლმა თაობებმა არ დაიჯერეს, მაგრამ მოვიდა დრო და ახალგაზრდა გენუელი მეზღვაურის ფანტაზია ამ თქმულებებმა აღანთო. სანამ დასავლეთისკენ თავის უკვდავ მოგზაურობას წამოიწყებდა, **ქრისტეფორე კოლუმბმა** უკვე იმოგზაურა სკანდინავიაში და იქაურ რეალობასაც გაეცნო.

კოლუმბი ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიის ზღვისპირა ქალაქ გენუაში დაიბადა 1451 წელს. მისი მშობლები ესპანეთიდან გადმოსახლებული ღარიბი ებრაელი ფეიქრები იყვნენ. კოლუმბის ბავშვობაში მამამისი მევალეებს გაექცა გენუადან სავონაში და იქ მედუქნის ადგილი იშოვა. სიღარიბემ მისი შვილების განათლება დააბრკოლა, ამიტომ ისინი ადრეული ბავშვობიდანვე სავაჭრო გემებზე უბრალო მეზღვაურებად მუშაობდნენ.

1471 წელს ქრისტეფორე კოლუმბი კაპიტნად დააწინაურეს. ხუთი წლის შემდეგ ლისაბონისკენ მიმავალ მის ხომალდს მეკობრეები დაესხნენ თავს და ჩაძირეს. კოლუმბი ძლივს გადარჩა — ექვსი საათის განმავლობაში ხის ნაჭერს ჩაჭიდებული მიაპობდა ზღვის ტალღებს. 1477 წელს სკანდინავიაში გაემგზავრა და იქ გაიგო ახალი კონტინენტის აღმომჩენი ვიკინგების ამბავი. მაგრამ კოლუმბმა იფიქრა, რომ ნორმანებმა ახალ მიწას კი არ მიაკვლიეს, არამედ ინდოეთისა და ჩინეთისკენ ახალი გზა აღმოაჩინეს. ეს ახალი გზა ევროპას ახალი სიმდიდრეებისაკენ მიიყვანდა, თანაც ოსმალთა ფლოტიც არ გადაეღობებოდა წინ.

ხომალდის კაპიტანს შორეული ნაოსნობისას საკმაო თავისუფალი დრო ჰქონდა და კოლუმბიც ბევრს კითხულობდა. საფუძვლიანად შეისწავლა იმხანად ხელმისაწვდომი გეოგრაფიული და ისტორიული წიგნები, მათ შორის **პლინიუს უმცროსის** თხზულებები და **მარკო პოლოს** ცნობილი ნაწარმოებიც. ჩინეთისა და ინდოეთის იქ აღწერილმა სასწაულებმა კიდევ უფრო აღაგზნო ახალგაზრდა მეზღვაურის წარმოდგენები. მით უმეტეს, რომ მარკო პოლოს გამოთვლებით, აზიის უახლოესი კუნძული ლისაბონიდან აღმოსავლეთით სულ რაღაც 5000 მილის მანძილზე მდებარეობდა. ფლორენციელი ექიმის, **პაოლო ტოსკანელის** გამოთვლებით ამ კუნძულის მისაღწევად ამდენივე უნდა გაევლო პორტუგალიიდან დასავლეთით მიმავალ ხომალდს.

კოლუმბის ბიოგრაფები ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ ცნობებმა გადააწყვეტინეს კაპიტანს ატლანტის ოკეანის დალაშქვრა.

თავისი პირველი კატასტროფის შემდეგ ლისაბონში დასახლებულმა ქრისტეფორემ პორტუგალიის მეფეს მისწერა და სამი კარაველა სთხოვა. თან დაწვრილებით აუწერა ის დიდება და სახელი, რომელსაც მეფეს აზიის მოსახლეობის ქრისტიანობაზე მოქცევა მოუტანდა. მორწმუნე, მაგრამ საკმაოდ სკეპტიკურმა მეფემ კოლუმბის თხოვნა გეოგრაფოსთა კომისიას გადასცა განსახილველად. მეცნიერებმა ეს თხოვნა უარყვეს, რადგან მათი ანგარიშით ევროპასა და აზიას შორის ატლანტის ოკეანეზე გამავალი მანძილი გაცილებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამას კოლუმბი ამტკიცებდა. ამ გზაზე მდებარე კონტინენტის შესახებ, რა თქმა უნდა, ჯერ არავინ ფიქრობდა.

მაშინ კოლუმბმა გენუასა და ვენეციას მიმართა, მაგრამ ორივე საზღვაო რესპუბლიკამ უარით გაისტუმრა მამაცი მეზღვაური. ბოლოს იდეით შეპყრობილი კაპიტანი ესპანეთის ხელმწიფეებს, და-ძმას, **ფერდინანდოსა** და **იზაბელას** ეახლა. აქაც პორტუგალიის ისტორია განმეორდა და იმედგაცრუებულმა, მაგრამ დაუმარცხებელმა კოლუმბმა საფრანგეთში გამგზავრება გადაწყვიტა. მეგობარმა, აბატმა **პერესმა** იზაბელასთან მოუწყო შეხვედრა. დედოფალთან კოლუმბისთვის შუამდგომლობდა ერთი მინისტრიც, მონათლული ებრაელი **ლუის დე სანტანდერი**. ამ უკანასკნელმა დედოფალს ისიც უთხრა, რომ პირადად დააფინანსებდა ექსპედიციას, თუ მონარქები სახელმწიფო სახსრების გაღებას არ ისურვებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ფერდინანდო და იზაბელა დათანხმდნენ.

რამდენიმე დღეში შეგროვდა ორი მილიონი მარავედი (ესპანური ფული) და მომზადდა სამი კარაველა: **პინტა**, **ნინია** და **სანტა მარია**. ეს უკანასკნელი საადმირალო გემი იყო, მისი წყალწყვა 233 ტონას უდრიდა, სიგრძე კი 35 მეტრს. სამივე გემზე გრანიტის ჭურვების მსროლელი ქვემეხები იდგა და კიდევ ეგრეთ წოდებული სპინგარდები — შედარებით მომცრო ყალიბის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ტყვიისგან ჩამოსხმულ ბურთულებს ისროდა. კარაველების ტრიუმები ღვინით, მტკნარი წყლითა და საკვებით აავსეს. ყოველი მეზღვაურის დღიური ნორმა იყო 350 გრამი ორცხობილა, 280 გრამი ხორცი ან თევზი და 2 ლიტრი ღვინო. გარდა ამისა, გემი დატვირთეს რამდენიმე ცენტნერი ხახვითა და ყველით. არც მრავალი ხელის სარკე, შუშის სამკაული და ნაირფერი ქუდები დავიწყნიათ — ეს ყოველივე კატაისა და სიპანგის მცხოვრებლებისთვის უნდა დაერიგებინათ საჩუქრად (ასე ეძახდნენ მაშინ ჩინეთსა და იაპონიას).

ადმირალმა კოლუმბმა ნინიასა და პინტას წინამძღოლობა ორ ძმას მიანდო — **მარტინ ალონსო პინსონსა** და **ვისენტე იანეს პინსონს**, რომლებიც მაშინდელი ესპანეთის უდიდეს ნაოსნებად ითვლებოდნენ.

1492 წლის 3 აგვისტოს სამი კარაველა ზარზეიმით გაემგზავრა პალოსის ნავსადგურიდან. რამდენიმე დღის შემდეგ პინტას ავარია შეემთხვა და მისი გამოსწორება კანარის კუნძულებზე მოუხდათ. უქარობამ ერთი თვით დააყოვნა გამგზავრება.

ყოველ მწუხრზე ხომალდის ეკიპაჟი გემბანზე იყრიდა თავს სალოცავად, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ მეზღვაურთა სულიერი სიმტკიცე შეირყა. დროდადრო ზოგიერთი მათგანი ღოცვისას მუხლებზე ვარდებოდა და უფალს მიწის გამოჩენას ევედრებოდა. ზოგჯერ ჰორიზონტისკენ იშვერდნენ თითს, მაგრამ შეცდომის გამომჟღავნებისას ყველას სასოწარკვეთილება ეუფლებოდა.

ერთხელ ამბოხიც კი მოუწყვეს და უკან დაბრუნება მოსთხოვეს. ადმირალისგან უარი რომ მიიღეს, მეზღვაურებმა მისი მალულად მოკვლა განიზრახეს. შეთქმულება გამოაშკარავდა და ერთ-ერთმა პინსონმა კოლუმბს ურჩთა ჩამოხრჩობა ურჩია: "თუ თქვენ უარზე ხართ, ამას მე ვიზამ" — დასძინა კაპიტანმა. მხოლოდ ამის შემდეგ დაშოშმინდნენ ამბოხებული მეზღვაურები.

11 ოქტომბერს პინტას ეკიპაჟმა წყლიდან ღერწმის ღერო და გათლილი ჯოხი ამოიღო. ეკიპაჟმა მუხლი მოიყარა და უფალს მადლობა შესწირა. ადმირალმა ყარაულებს სიფხიზლე უბრძანა, რადგან მიწა ახლოს იყო. ერთხელაც ღამის ორ საათზე პინტას ქვემეხის გასროლამ გააღვიძა ყველანი: ვინმე **როდრიგო დე ტრიანამ** ნაპირი შეამჩნია და მეფის დანაპირები ათასი მარავედიც დაიმსახურა.

დილას კარაველების ეკიპაჟებმა აღმოაჩინეს რომ მწვანით მოსილი კუნძულის ყურეში იდგნენ, კუნძულზე კი უხვად იყვნენ ეგზოტიკური ფრინველები და შიშველი ადამიანები. კუნძულზე გადმომსხდარმა ადმირალმა მიწაზე თავისი საკუთრება გამოაცხადა ფერდინანდოსა და იზაბელას სახელით. კუნძულის მოსახლეობას კი მხოლოდ ჩამოსულთა უცნაური სამოსი და სირაქლემას ფრთების პლიუმაჟები აინტერესებდა. ახალაღმოჩენილ მიწას კოლუმბმა **გუანაჰანი** უწოდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ აზიას მიაგნო. ორიოდე კვირის განმავლობაში მოგზაურობდა ახლომდებარე კუნძულებზე და გარემოს ეცნობოდა. ყველაზე მეტად ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობამ და მშვიდობიანობამ გააკვირვა. კოლუმბმა დღიურში ჩაწერა: "კარგი მონები იქნებიან — მთელი არქიპელაგის მოსახლეობის დასამორჩილებლად ორმოცდაათიოდე შეიარაღებული კაცი იკმარებს". იმდროინდელი ქრისტიანული კაცთმოყვარეობის თვალსაზრისით, ყველაზე უარესი მაგალითი არ ყოფილა.

28 ოქტომბერს კარაველები კუბის ნაპირს მიადგნენ. აქაც ძალიან მხიარულად შეხვდა მათ ადგილობრივი მოსახლეობა. ნაპირზე გადმოსულ და ლოცვად დამდგარ მეზღვაურებს ზოგიერთმა აბორიგენმა გალობაში აუწყო ხმა, სხვებმა პირჯვრის გადაწერა სცადეს, რამაც ძალიან გაახარა ადმირალი. ტომის ბელადმა თავის ტერიტორიაზე მიუთითა და წარმოთქვა სიტყვა "კუბანაკამ" (შიდა კუბა). ეს სიტყვები კოლუმბმა გაიგო როგორც el gran khan (დიდი ხანი) და კვლავ იფიქრა, რომ ჩინეთში იმყოფებოდა. ადმირალმა ქვეყნის შიგნით ექსპედიცია გააგზავნა ხანის რეზიდენციის საპოვნელად. მაგრამ დაბრუნებულმა მეზღვაურებმა მოახსენეს, რომ არემარე მხოლოდ ისეთივე შიშველი და ცხვირიდან ბოლის გამომშვები ინდიელებით იყო სავსე. ასე აღმოაჩინეს ევროპელებმა თამბაქო.

არავინ იცის, იგემა თუ არა თუთუნის ბოლი თვით ადმირალმა. მისი ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება ეჭვი გამოვთქვათ: ეს იდეით შეპყრობილი ნამდვილი ასკეტი იყო და ასეთ სისულელეს გემოს ვერ ჩააყოლებდა. კოლუმბის ერთადერთი სურვილი ჩინეთის თუ ინდოეთის დაპყრობა და ესპანეთის ქვეშევრდომთა რიცხვის გამრავლება იყო.

სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა კონფლიქტი კოლუმბსა და მარტინ პინსონს შორის. ამ უკანასკნელმა პინტა მოიტაცა და დამოუკიდებლად გაემართა ოქროს საძიებლად. ცოტა ხანში სანტა მარია კლდეს შეეჯახა და ჩაიძირა. ტვირთის დიდი ნაწილი გადაარჩინეს და ნინიაზე აიტანეს.

კოლუმბის ერთადერთი ხომალდი ევროპისკენ გაეშურა. აზორის კუნძულებთან დარჩენილმა პინსონმა დატოვა მისი ბორტი, სხვა გემზე გადავიდა და ესპანეთისკენ მარტომ გასწია, რათა კოლუმბისათვის დაესწრო. მრავალჭირნახულმა ნინიამ მხოლოდ მრავალი კვირის შემდეგ შეძლო პალოსის მოზეიმე ნავსადგურში ღუზის ჩაშვება. აქ ფერდინანდოსა და იზაბელასგან ბარსელონაში მიწვევა დახვდა: მონარქებმა უკვე იცოდნენ, რომ ექსპედიცია წარმატებით დაგვირგვინდა, მაგრამ პინსონს უარი უთხრეს მიღებაზე — პირველობა ადმირალს უნდა რგებოდა.

ადმირალი მეფეთა წინაშე ინდიელთა ამალის თანხლებით წარდგა. ინდიელებს ოქრო მოჰქონდათ და ჭრელ-ჭრელი თუთიყუშები ეპყრათ ხელთ. კოლუმბი ექვსი დღე დიდი პატივით ცხოვრობდა სასახლეში. მან დაუყოვნებლივ მიიღო ახალი ექსპედიციის სახსრები და ცოტა ხანში უკვე ჩვიდმეტი ხომალდი აღჭურვა. ხომალდებზე ევროპული ფაუნის წარმომადგენელი ცხოველები და ხუთი მღვდელიც აიყვანეს, რათა გაეკეთილშობილებინათ იმ გაუნათლებელი მიწების ტყეებიცა და მათ ბინადართა სულიც.

ამ ექსპედიციიდან კოლუმბი 1496 წელს დაბრუნდა და თან 500 ადგილობრივი მონა წამოიყოლია. მათგან ორასამდე აბორიგენი გზაში დაიღუპა, დანარჩენებმა კი ძველი სამყაროს ჰავასა და ცხოვრების წესებს ვერ გაუძლეს და ორი წლის განმავლობაში დაიხოცნენ.

1498 წელს კოლუმბი მესამე ექსპედიციაში გაემგზავრა. ახლა უკვე აბორიგენების მხრიდან მედგარი წინააღმდეგობა დახვდა. კოლუმბმა სასტიკად ჩაახშო ამბოხება და ტროპიკული კუნძულები სახრჩობელებით აავსო. დიდი ნაოსანი ძალიან ცუდი მმართველი აღმოჩნდა: გუბერნატორი თავისი მრისხანებითა და ბოღმიანი ხასიათით ხელმძღვანელობდა. იმდენი უბედურება დაატრიალა, რომ ფერდინანდომ და იზაბელამ 1500 წელს თანამდებობიდან გადააყენეს და შემცვლელი გამოუგზავნეს.

ფრანსისკო დე ბობადილიამ, ახალმა გუბერნატორმა, კოლუმბის დამსახურებას არავითარი ხათრი არ გაუწია და ბორკილდადებული გაამგზავრა იგი ესპანეთში. ფერდინანდომ საბოლოოდ აჰყარა ყოველგვარი პატივი კოლუმბს, მაგრამ შეუნარჩუნა მის საკუთრებაში მყოფი ახალაღმოჩენილი ტერიტორიები. ყოფილმა ადმირალმა ძლივს მოიპოვა მეფის კეთილგანწყობა და 1502 წელს მეოთხედ გაეშურა ახალ სამყაროში, მოინახულა ჰონდურასი, ნიკარაგუა, კოსტა რიკა და იამაიკა. აქ, 1505 წელს, ფლოტი ძლიერ შტორმში მოყვა და კოლუმბი უკვე მოუთმენლად ელოდა სამშობლოში დაბრუნებას.

მაშინ იგი 58 წლის იყო, მაგრამ გაცილებით უფრო მოხუცი ჩანდა. თმები სრულიად გაუთეთრდა, სახეზე ღრმა ნაოჭები დაეტყო, ქრონიკული ართრიტის გამო კოჭლობდა. ფერდინანდოს წინაშე გამოცხადებულმა სთხოვა ადმირალის პატივში აღდგენა, მაგრამ მეფემ მხოლოდ დიდი მამული უბოძა კასტილიაში. კოლუმბმა ძღვენი არ მიიღო, რადგან არ იცოდა, როგორ გამოეყენებინა ის.

რამდენიმე თვეში სიკვდილმა ბოლო მოუღო ქანცგაწყვეტილი ნაოსანის მწარე და შავბნელ მარტოობას.

ადმირალი ქრისტეფორე კოლუმბი

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი

როგორ გაერთო ჯენიფერ ანისტონი და მთელი მსოფლიო

ბრიტნი სპირსის ელვის სისწრაფით დაქორწინება-განქორწინებამ ჯენიფერ ანისტონს ახალი გასართობი გაუჩინა. კომიკოს ჯიმი ფელონთან ერთად მან კომიკურ შოუში "ღამის ცხოვრება" პოპ-ვარსკვლავის "გაბედნიერება" გადმოსცა.

გაზეთ "ბილდში" აღწერილია ანისტონი, რომელიც ბრიტნის ასახიერებს. მას ჯინსი აცვია და ბეისბოლის კეპი ახურავს. ანისტონისეული ბრიტნი ტახტზე გორავს, ფეხები მამაკაცურად აქვს გაჩაჩხული და ხელში უკვე ჩამქრალი სიგარეტი უჭირავს. ჯიმი ფელონი, რომელიც მის ნორჩ მეგობარს, ჯეისონ ალექსანდერს თამაშობს, პატარა ბოთლიდან წრუპავს სასმელს.

მინი-ბარის გადაქექვის შედეგად წყვილმა კბილის გასათეთრებელი საღეჭი რეზინი აღმოაჩინა. "ეს ნიშანია! ჩვენ უნდა დავქორწინდეთ!" გადაწყვიტა ბრიტნიმ. ისინი საკურთხევლისკენ გარბიან, და ერთგულების ფიცის შემდეგ კოცნისას ჯეისონს მარცხი მოსდის. ბრიტნი ცოფდება: "დააბოყინე! მკოცნიდი და დააბოყინე! საზიზღარი ხარ. მე განქორწინებას ვითხოვ!"

ნამდვილ ბრიტნის სულ სხვა, ნამდვილი რამ აქვს სადარდებელი. ხმისჩამწერი ფირმა Jive ითხოვს, რომ მან ალკოჰოლიზმისგან მკურნალობის კურსი გაიაროს – ეს ამბავი ინტერნეტ-სამსახურმა Imdb-მ გაავრცელა. ბრიტნიმ თავი ხელში აიყვანა და მკურნალობაზე დათანხმდა.

ბრიტნი სპირსის ახალი სინგლის, "ტოქსინის" ბაზარზე გასვლა გადაიდო – შიშობენ, რომ სულელური ქორწინების ამბავი გაყიდვას ხელს შეუშლის.

სიმღერის წარმატებას არც ის დაეხმარება, რომ ბრიტანულ გაზეთში News of the World გამოქვეყნებული მასალის თანახმად, გასული წლის 31 დეკემბერს უგონოდ მთვრალ ბრიტნის თავის ძვირფას ჯეისონთან და ერთ-ერთ თავის მოცეკვავესთან ერთად ისეთი ამბავი აუტეხავს, თამამად რომ შეიძლება, ორგია ეწოდოს. ისინი არც ქორწინების შემდეგ იქცეოდნენ სამაგალითოდ: ბრიტნი, ჯეისონი და მათი რამდენიმე მეგობარი უძვირფასეს სასტუმროებსა და ბარებში დაიარებოდნენ და უმსგავსობებს სჩადიოდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი თვითმხილველი მოყვა, რომ ღამის ორ საათზე, არყის კოქტეილების უზომო რაოდენობით სმის შემდეგ, ბრიტნიმ მთელი დარბაზის გასაგონად გამოაცხადა: "მადონა როცა დაბერდება და ვეღარ დაორსულდება, ჩემს საკვერცხეებს მივცემო". მოკლედ, ძალიან აურევია პაწია ბრიტნის, იმდენად, რომ დაცვის თანამშრომელმა ხელი სტაცა და ბარიდან გაათრია.

ახლა უკვე ყველა ალაპარაკდა. იმასაც ჰყვებიან, რის შესახებ საუბარიც მანამდე ერიდებოდათ: რომ ახალი წლის მთელი დღე ბრიტნიმ ჯეისონთან ერთად ლოგინში იკოტრიალა და იქვე 30-ზე მეტი ჭიქა ყავაც დალია. წყვილი 2 იანვარსაც 6 ათას დოლარიან ნომერში იყო შეკეტილი, ისინი მხოლოდ საღამოს გამოძვრნენ ლოგინიდან, რომ მეგობრებთან ერთად სმა გაეგრძელებინათ, შამპანურისა და არყის სმის შემდეგ კი კვლავ განმარტოვდნენ...

მოკლედ, ბრიტნიმ მოახერხა და ჟურნალისტებს და კოლეგებს იმდენი სალაპარაკო მასალა მისცა, გაზაფხულამდე რომ ეყოფათ. ეს მხოლოდ ბრიტნის ვნებს, თორემ სხვებს – არანაირად. ასე, ჯეისონ ალექსანდერის სახელი არასოდეს არავის სმენოდა, ახლა კი მასზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს, და ჯენიფერ ანისტონმაც მთელი შოუ გამართა – უწინ რა საქმე ექნებოდა ბრიტნი სპირსსთან?



ნიკოლ დე სილვა

უიღბლო მზეთუნახავი

21 წლის ნიკოლ დე სილვა გერმანიის ულამაზესი პოპ-ვარსკვლავია. "ფლეიბოის" თებერვლის გამოცემაში მსოფლიო ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რადგან ჟურნალის ცამეტ გვერდზე მისი ეროტიკული ფოტოსურათები იქნება დაბეჭდილი.

პირველად გოგონამ 9 წლის ასაკში იმღერა, 14 წლისამ პირველ კონტრაქტს მოაწერა ხელი. მისი ყველაზე დიდი წარმატება ლათინური ჰიტი Enjoy your life იყო.

მაგრამ, გაზაფხულიდან ნიკოლ დე სილვა გაქრება, მას თრიშელი შეცვლის: "რადგან სტილის შეცვლას ვაპირებ," გაუმხილა ნიკოლმა "ფლეიბოის" რეპორტიორებს.

მან ჟურნალისტებს კიდევ ერთი საიდუმლო გაანდო – სიყვარულში უიღბლო ყოფილა. "ყოველთვის არასწორ კაცს წავაწყდები ხოლმე. სამწუხაროდ, ასეა. ზოგიერთებმა მითხრეს, გვეშინოდა, რომ მიგვატოვებდი, რადგან ვარსკვლავი ხარო. რა სისულელეა! მე ხომ ჩვეულებრივი გოგო ვარ და ჩვეულებრივი ბიჭი მჭირდება".

იმედია, თებერვალში მაინც გამოჩნდება ვინმე. ნიკოლსაც ამის იმედი აქვს.

სკანვორდი



TV პროგრამა

14 იანვარი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **09.50** მხ. ფილმი "სამი მუშკეტერი" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** კურიერი **11.15** მხ. ფილმი "სამი მუშკეტერი" **14.15** მულტფილმი "გატაცებულნი" **16.00, 17.00, 18.00, 21.00** კურიერი **16.15** მულტფილმი "გატაცებულნი" **16.45** მხ. ფილმი "ვაგზალი ორისათვის" **19.30** მუსიკა **22.00** მხ. ფილმი "ძარცვა იტალიურად". მთ. რ-ში: მარკ უოლბერგი, შარლიზზ ტერონი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბასკერვილების ოჯახი" **10.10** მხ. ფილმი "ჯადოქრები" მე-2ს. **11.20** "გლობუსი" **12.00, 15.00, 20.00, 00.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** "წლები გასულან"-თეატრი გვილოცავს **15.15** მხ. ფილმი "ჭრიჭინა" **17.00** სერიალი "ჩემი ყველაზე მშვენიერი არდადეგები" **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **21.45** ქართული თეატრის დღე **22.30** "ქეთო, კოტე და სანტაკლაუსი" **00.40** მხ. ფილმი "ლურჯი ფრინველი"

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "შხეფი" რეჟ. ტომ ჰენკსი, დერილ ჰანა. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "კეთილი იყოს თქვენი მოსვლა კოლინვუდში" მთ.რ-ში სემ როკუელი, უილიამ ხ. მეისი. **01.40** "ღამურა" "სონი" მთ.რ-ში ბრენდა ბლეტნი, სკოტ კაანი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 შოუ "არდადეგები ყინულზე" **10.00** სერიალი "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" **11.00** მხ. ფილმი "სანტა კლაუსი 2" **12.50** მხ. ფილმი "ეს შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო" **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.10** მხ. ფილმის გაგრძელება **15.40** მხ. ფილმი "გადახურებული თავები" **17.10** მხ. ფილმი "გადახურებული თავები-2" **18.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" მე-3 ს. **19.00** სერიალი "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "ნიანგი დანდი" **22.30** მხ. ფილმი "ბანდიტები" **00.45** რეი ჩარლზის შოუ ყინულზე

მეორე არხი

19.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.55** კინოსეანსი "სიყვარული, ხანძარი და პომპიერო" **21.10** თ. ჩანტლაძე - მინიატურა **21.50** მხ. ფილმი "ქეთო და კოტე" **23.20** შვიდეული (საახალწლო)

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "დიდი დედილოს სახლი" **13.30** მხ. ფილმი "გენერალი" **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში 3" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "უკვდავნი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ოთხი პერი" **00.30** მუსიკა

იბერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** დოკ. ფილმი **11.00** მხ. ფილმი **12.50, 14.50, 18.30, 23.30, 01.05** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** დოკ. ფილმი **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "ლამაზანი და ურჩხული" **17.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00, 21.00** დოკ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "თეთრი შობა"

მესხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15,** 15,40, **19.40, 20.20** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ტურების ბუნაგი" **13.15** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **16.00** სერიალი "ზამთრის ალუბალი" **16.35** დოკ. სერიალი "ველური ვარსკვლავები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **17.50** ტელემეტრი **18.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ზამთრის ალუბალი" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.10** სერიალი "მოჯადოება" **22.10** კონცერტი **23.00** მოკლ. მხ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი "მშვიდი ამერიკელი"

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 10.00, 11.05, 13.15, 17.20, 00.45** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.30** ქართ. სერიალი "რეისებს შორის" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სპორტ. პროგრამა "ესტაფეტა" **15.15** მხ. ფილმი "ავანტიურისტები" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.30** ქრონიკა **17.30** "არტ-ბულვარი" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** მხ. ფილმი "ოსკარი" **22.50** მხ. ფილმი "დოულაპია ინსპექტორი"

არხი

08.00, 14.00, 18.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.10, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოოსტი" **09.20** სათავგადასავლო ფილმი "იასონი და არგონავტები" **11.05** მულტსერიალი **12.20** ფილმი-ფანტასტიკა "ვარსკვლავური ომები" საპასუხო დარტყმა **14.25** საახალწლო ტრადიციები აჭარაში **14.40** "გალერეა" **14.50** Новогодние поздравления звезд Российской эстрады **16.20** მულტსერიალი "ვუდი ვუდპეკერი" **17.10** კომედია "სახლი თავდაყირა" **19.30** მუსიკა **19.50** ფილმი-ფანტასტიკა "ვარსკვლავური ომები" ჯედაის დაბრუნება **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მელოდრამა "ყელსაბამის ისტორია" **03.40** სათავგადასავლო ფილმი "შვიდი ნელი ტიბეტში" **05.50** მუსიკა

ОРТ

07.00 Доброе утро! **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Худ.фильм "Запомните, меня зовут Рогозин!", 2 с. 11.30. 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.40** Мультсериал "Чудеса на виражах" **13.20 Сериал "Неудача Пуаро" 14.20** Спецназ **15.00** Город женщин **16.20** Угадай мелодию **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** Большая стирка **19.30** Смехопанорама **21.00** Кто хочет стать миллионером? **22.00, 00.30** Время **22.30 Худ.фильм "Железнодорожный романс", 1 с. 23.40** Тайны века **00.50** Теория невероятности **01.20** Сканер **01.50** Русский экстрим **02.20 Худ.фильм "Обмен телами" 04.20 Худ.фильм "Профессионалы"**

РТР

06.00 Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "Русские амазонки-2" 10.50** "Короткое замыкание". Ток-шоу **11.45, 14.45, 17.25, 00.50** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30, 00.00** Вести-Москва **12.50** Ток-шоу "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Неотложка" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Маросейка, 12" 19.05 Сериал "Навеки Джулия" 20.00 Сериал "Тайны следствия. Мягкая лапа смерти" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "Русские амазонки-2" 23.00 Сериал "Неотложка" 00.20** Авторитет с Дмитрием Киселевым **01.05 Худ.фильм "Дом свиданий" 02.50** Синемания **03.20** Дорожный патруль **03.30** Горячая десятка **04.30** Агентство одиноких сердец **04.55 Сериал "Ангелы Чарли"**

НТВ

07.00 Утро на НТВ **09.55 Сериал "Таксистка" 11.00** Сегодня утром **11.25** Кулинарный поединок: Салтыков - Илюхина **12.15** ТТок-шоу "ССтраанаа советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Овод" 15.30** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.25 Сериал "Она написала убийство" 19.30** Протокол **20.45 Сериал "Как в старом детективе". 3 с. 21.50 Сериал "Таксистка". 3 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.50 Худ.фильм "Американская история Икс" 02.35** Ленивая ночь

მშვიდობით, ანიტა!

ანეტა მუი

ჩინელი მომღერალი ანიტა მუი აზიაში სუპერვარსკვლავი იყო – ისეთივე, როგორიც მადონაა. ორშაბათს ის ჰონკონგში დაკრძალეს. 30 დეკემბერს, 40 წლის ასაკში გარდაცვლილ ანიტას უკანასკნელ გზაზე 6 ათასი თაყვანისმცემელი და მეგობარი აცილებდა.

დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად ცალკეული ფანები შაბათს ჩადგნენ რიგში. გზა, რომელიც მუის ცხედარს უნდა გაევლო, გვირგვინებით, თეთრი ვარდებით და მისი ფოტოსურათებით იყო დამშვენებული. ეკრანებზე ცნობილი მომღერლის ვიდეოკლიპებს უშვებდნენ.

ჭირისუფალთა შორის მსახიობი ჯეკი ჩანიც იყო. საგანგებოდ ამ დღისთვის ჰონკონგში ტაივანიდან დისიდენტი ვუ ერ კაისი ჩაფრინდა – 1997 წლის, ანუ ქალაქის ჩინეთისთვის დაბრუნების შემდეგ ის იქ პირველად იყო ჩასული. ვუ ერი 1989 წელს პეკინის ტიანმენის მოედანზე სისხლით ჩახშული საპროტესტო გამოსვლების დროს სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წინამძღოლი იყო, გარდაცვლილი მუი კი დემოკრატიულ მოძრაობას უჭერდა მხარს.

მუი ბავშვობიდანვე გასართობ პარკებში მღეროდა და შემდგომაც ბრწყინვალე შოუებით იყო ცნობილი. მას 40-ზე მეტ კინოფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული.

ტკბილი ცხოვრება

"ტკბილი ცხოვრება" - აფიშა

მილანში ძველი ნაცნობი გამოჩნდა, თან ფრიად შთამბეჭდავად: იტალიური მოდის დედაქალაქი დიდი ჟრიამულით შეხვდა ჟილ სანდერის დაბრუნებას. მის მიერ წარმოდგენილი მამაკაცების მოდის კოლექცია ამ ზამთარში ვიწრო სილუეტების მშვენებას უსვამს ხაზს. ფერადი აქცენტებისთვის დიზაინერმა ხავერდი, ბეწვი და რბილი, ბუნებრივი ფერის ტყავი გამოიყენა.

ამჯერად ტყავი დონატელა ვერსაჩესთვისაც ძირითადი მასალაა. ვერსაჩეს სახლისთვის ტიპურ ახალგაზრდულ მოდასთან, როკ-ვარსკვლავის სახეებთან ერთად მან ელეგანტური შავი სამოსიც წარმოადგინა.

სამაგიეროდ, 2004-2005 წლების ზამთრისთვის ვივიენ ვესტვუდი ხაზგასმით ჭრელ ტანსაცმელს გვირჩევს. კოლექციაში "ისინი, ვინც მახვილით ცხოვრობენ", მან გალანტური, თითქმის რაინდული მამაკაცობის ხაზგასმა დაისახა მიზნად – ვესტვუდის მოდელები რობინ ჰუდისა და ბეტმენის სახეების გაერთიანების მცდელობას ჰგავს.

დიზაინერების დუეტის, დოლჩესა და გაბანას კოლექცია თავის ტრადიციას არ ღალატობს – ნამუშევრები კვლავ ორიგინალური და ხაზგასმით ლამაზია. მათი შოუ ფრედერიკო ფელინის ფილმის, "ტკბილი ცხოვრების" ერთგვარი გადამღერება იყო – გახსოვთ, შადრევანში მობანავე ანიტა ეკბერგი?

მილანში ჩვენება ხუთშაბათამდე გაგრძელდება. მაყურებლები ამჟამად რალფ ლორენის კოლექციის მოლოდინში არიან.

ფსიქოთერაპიული ცენტრი "არსი"
(ხელმძღვანელი პროფ. გივი მერაბიშვილი)

კურნავს ფსიქიკურ აშლილობას. ახორციელებს მშობელთა კონსულტაცია-ტრენინგებს და ამზადებს სპეციალისტებს.

ტელ: 93-11-05, 57-37-13.

ტარანტინო იგვიანებს

კადრი ფილმიდან "მოკალი ბილი"

კვენტინ ტარანტინოს თაყვანისმცემლებს დაგეგმილზე დიდხანს მოუწევთ ლოდინი – "მოკალი ბილი, თავი მეორე" კინოთეატრებში ჯერ-ჯერობით არ გამოჩნდება.

ინტერნეტსამსახური "ანანოვა" იუწყება, რომ კინოგამქირავებელი ბუენა ვისტას ცნობით, ფილმს კინოთეატრებში ორი თვის დაგვიანებით გაუშვებენ, ანუ არა 20 თებერვალს, არამედ 16 აპრილს. რატომ – არ ვიცით, მიზეზებს არავინ ასახელებს.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.